DK

მცირე ენციკლოპედია

# ხელოვნება



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა




I PRESSED THE FIRE CONTROL... AND AHEAD OF ME ROCKETS BLAZED THROUGH THE SKY
WHAAM!



**გოგონა კატით. ფერნანდო ბოტერო**
1989 წ. (მეტი ინფორმაციისთვის იხ. გვ. 41)

## მცირე ენციკლოპედია

# ხელოვნება

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

A DORLING KINDERSLEY BOOK
www.dk.com

მცირე ენციკლოპედია
**ხელოვნება**

ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ:
მთარგმნელი: **გიორგი ბენაშვილი**
რედაქტორი: **რუსუდან გორგაძე,**
კონსულტანტი:
**ნინო თარხან-მოურავი**
დამკაბადონებელი: **გიორგი კევლიშვილი**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა, 2010
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150,
თბილისი 0112. ტელ: 91 09 54.

ყველა უფლება დაცულია.
ამ წიგნის არც ერთი ნაწილი
(იქნება ეს ტექსტი, ფოტო თუ სხვა)
არანაირი ფორმითა და საშუალებით
(იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური)
არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

**www.sulakauri.ge**

ISBN 978-9941-15-152-1

**Original English Title:**
**CHILDREN'S BOOK OF ART**

Copyright © 2009 Dorling Kindersley Limited,
London A Penguin Company

First published in Great Britain in 2009 by
Dorling Kindersley Limited,
London A Penguin Company

Georgian edition published in 2010
by Bakur Sulakauri Publishing,
Tbilisi, Georgia

Jacket images: Front: The Bridgeman Art Library: Monasterio de El Escorial, Spain / Giraudon tr (Durer); Musee Conde, Chantilly, France / Giraudon tl (Book of hours); Private Collection/Christie's Images c (Degas); Van Gogh Museum, Amsterdam, The Netherlands / Giraudon br (Van Gogh); Corbis: Burstein Collection bl (Hokusai); Marco Simoni / Robert Harding World Imagery (Gaudi); ©The Andy Warhol Foundation for the Visual Arts t (Warhol); Lasar Segall, 1891 Vilna – 1957 São Paulo, Collection of the Lasar Segall Museum, São Paulo, National Institute of the Historical Artistic Patrimony, Brazilian Ministry of Culture: c (Segall)



## როგორ გამოვიყენოთ ეს წიგნი

წიგნში გაეცნობი სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგს, ცნობილი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრებს და წაიკითხავ ცნობებს მათი ბიოგრაფიიდან. ასევე გაიგებ ზოგი ნაწარმოების შექმნის ისტორიას და ზოგადად ხელოვნებას ეზიარები.

მთელი ეს ინფორმაცია წიგნში ოთხი სხვადასხვა სახეობის გვერდებზეა თავმოყრილი:




**ხელოვანის ბიოგრაფია:** გაეცნობი ცნობილი მხატვრის ან მოქანდაკის ცხოვრების ისტორიას, სტილს და მის მიერ შექმნილ ნამუშევრებს.




**როგორ ქმნიდნენ?** გაიგებ, როგორ მუშაობდნენ მხატვრები ან მოქანდაკეები და როგორ განვითარდა ტექნიკა დროთა განმავლობაში.




**გალერეა:** ნახავ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მხატვრები როგორ აღიქვამდნენ და გადმოსცემდნენ ერთსა და იმავე თემას.




**ხელოვნების მიმდინარეობა:** შეიტყობ მეტს ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობის შესახებ.

# სარჩევი



## 10 ძველი მხატვრობა


12 ყველაფერი კლდეებით იწყება
14 ეგვიპტური მხატვრობა
16 სახეები მხატვრობაში
18 რა არის ფრესკა
20 მხატვრობა სიზმრების დროიდან
22 როგორ იქმნება მოზაიკა
24 ღმერთები და გმირები მხატვრობაში
26 ჩინური მხატვრობა
28 როგორ იქმნება ფერები
30 რენესანსი (XV-XVI სს.)
32 პეიზაჟები მხატვრობაში
34 ლეონარდო და ვინჩი
36 იან ვან ეიკი
38 როგორ გამოვიყენოთ ზეთის საღებავები
40 ბავშვები მხატვრობაში
42 ბაროკო (XVII საუკუნე)
44 იან ვერმეერი
46 ნატურმორტი
48 როკოკო (XVIII საუკუნე)
50 ფრანცისკო დე გოია
52 როგორ გამოიყენება აკვარელი
54 კაცუსიკა ჰოკუსაი





## თანამედროვე მხატვრობა


58 იმპრესიონიზმი
60 კლოდ მონე
62 როგორ იხატება პასტელებით
64 ვინსენტ ვან გოგი
66 ღამე მხატვრობაში
68 იმპრესიონიზმის შემდეგ
70 ანრი მატისი
72 პაბლო პიკასო
74 ნაივური მხატვრობა
76 პოლ კლეე
78 სიურრეალიზმი
80 ხუან მირო
82 გრანტ ვუდი
84 ცხოველები მხატვრობაში
86 ომის შემდგომი აბსტრაქტული მხატვრობა
88 ჯექსონ პოლოკი
90 სერ სიდნი ნოლანი
92 ომი მხატვრობაში
94 ენდი უორჰოლი
96 ქუჩის მხატვრობა
98 შრომა მხატვრობაში
100 ფრიდენსრაიხ ჰუნდერთვასერი
102 თანამედროვე ხელოვნება




## 104 ქანდაკება


106 ქვაში გამოკვეთილი ქანდაკება
108 ტერაკოტის არმია
110 როგორ გამოვთალოთ ხის ქანდაკება
112 აფრიკული ქანდაკება
114 როგორ გავაკეთოთ მარმარილოს ქანდაკება
116 მიქელანჯელო ბუონაროტი
118 ფრედერიკ-ოგიუსტ ბარტოლდი
120 გუსტავ ვიგელანდი
122 აბსტრაქტული ქანდაკება
124 ჰენრი მური
126 ალბერტო ჯაკომეტი
128 რა არის ლენდ-არტი
130 თანამედროვე ქანდაკება
132 დემიენ ჰერსტი
134 მიიღე რეალური სიამოვნება!
136 ლექსიკონი
138 საძიებელი
140 Acknowledgements

# რა არის სახვითი ხელოვნება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, რადგან ხელოვნება უამრავ რამეს შეგვიძლია ვუწოდოთ.

ეს არ არის მხოლოდ

ფერწერა

...შეიძლება იყოს კოლაჟი, მოზაიკა, ტრაფარეტი, ფოტოგრაფია, ქანდაკება, ვიდეო, ხატვა, დიზაინი და სხვა...

ეს არ არის მხოლოდ

ბედნიერების განცდა

...შეიძლება გიჩვენებდეს სიბრაზეს, ტკივილს, გაოცებას, სევდას და სხვა ბევრ ემოციას...

ეს არ არის მხოლოდ

თანხმობა

...შეიძლება იყოს ამბოხი, წინააღმდეგობა და დრამატიზმი...

ეს არ არის მხოლოდ

ლ ა მ ა ზ ი

...შეიძლება იყოს საშინელება, სკანდალური და გამომწვევი...

„მხატვრობა პოეზიაა, რომელიც უნდა დაინახო, და არა იგრძნო“.
(ლეონარდო და ვინჩი, რენესანსელი მხატვარი. იხ. გვ.34

## ეს არ არის მხოლოდ
# გალერეებში

...შეიძლება ნახო ეკლესიაში, საჯარო შენობებში, პარკებში, ქუჩებში, ჟურნალებში... ხელოვნება ყველგანაა! ჩვენ გარშემოა!



## ეს არ არის მხოლოდ
# სურათი

...შეიძლება ჰქონდეს ღრმა აზრი, ეყრდნობოდეს ისტორიულ წყაროს, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას წარსულში ან აწმყოში მცხოვრები ადამიანების შესახებ...



## ეს არ არის მხოლოდ
# [illegible]

...შეიძლება იყოს აბსტრაქტული, სიმბოლური, წარმოსახვითი, ქაოტური; გამოხატავდეს წუთიერ შთაბეჭდილებას...

## ეს არ არის მხოლოდ
# ხელოვნების მოყვარულთათვის

ხელოვნება ყველა ასაკის ყველა ადამიანისთვისაა!



# ძველი მხატვრობა

## პრეისტორიული ხანიდან 1850 წლამდე



მხატვრობის ისტორია გამოქვაბულების კედლებზე გამოსახული ნახატებით იწყება და მუზეუმებში დაცული შედევრებით მთავრდება. ის მხატვრობის სხვადასხვა სტილზე, გამოყენებულ მასალებსა და მიმდინარეობების განვითარებაზე მოგვითხრობს, ისტორიის შესწავლის სურვილი [illegible] მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მო[illegible]ენ გვიბიძგებს.



# ყველაფერი კლდეებით იწყება

თავდაპირველად გამოქვაბულების ანუ პრეისტორიული ადამიანების მხატვრობა გაჩნდა. ასეთი ნახატები ათასობით წლისაა, მაგრამ მთებსა თუ მიწისქვეშეთში უამინდობისგან კარგად იყო დაცული და ამიტომ დღემდე მშვენივრად შემოინახა. წარმოიდგინე, როგორ ზის გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანი ცეცხლის პირას და გამომწვარი ჯოხით ან ტალახით შესანიშნავ ნახატებს ქმნის.






გამოქვაბულების კედლებზე შესრულებულ უძველეს ნახატებზე ძირითადად ცხოველებია გამოსახული.




## მოქვაბულების ატვრობა როპიდან

რანგეთში, ლასკას ოქვაბულში აღმოჩენილ მბეჭდავ ნახატებს ეისტორიულ სიქსტის კაპელას" დებენ (იხ. გვ. 19). გამოქვაბულები ნელს ოთხმა ახალგაზრდამ აჩინა, რომლებიც ძაღლს, სახელად ოტს, მისდევდნენ.



## გამოქვაბულების მხატვრობა აფრიკიდან

აფრიკაში ლიბიის უდაბნოს გამოქვაბულების კედლები ჟირაფებისა და სხვა ბალახისმჭამელი ცხოველების გამოსახულებებით არის დაფარული. ეს ნახატები დაახლოებით ძვ.წ. 12000 წელსაა შექმნილი და გვატყობინებს, რომ დღეს გადახრუკული საჰარის უდაბნო ოდესღაც ნაყოფიერი, ხეებით დაფარული ტერიტორია იყო.



საჰარის უდაბნოში დღეს მხოლოდ აქლემები, გველები და პატარა ძუძუმწოვრები ცხოვრობენ.



ამ ფოტოზე საჰარის უდაბნოს ქვიშის დიუნებია აღბეჭდილი.

პრეისტორიული ხანის აფრიკელი მონადირისა და მისი ძაღლის გამოსახულება



აფრიკულ ნახატებზე შავი ადგილები ხის ნახშირით არის გაფერადებული. ხის ნახშირი ქვიშაში ჩამარხული და შემდეგ დამწვარი ხეა.



## კლდეების მხატვრობა ამერიკიდან

მარცხნივ მოცემული ნახატები ამერიკაში, იუტაში, ისტორიულ მონუმენტზეა გამოსახული. ის ამერიკის მკვიდრმა ინდიელებმა ჩვ.წ. 150 წლამდე შექმნეს. ადამიანებმა ქვაზე დახატვის ნაცვლად, რაც დროს ნაკლებად გაუძლებდა, ზედაპირი დაკაწრეს და შედარებით ღია ფერის ქვიშაქვა გამოაჩინეს. ასეთ გამოსახულებებს პეტროგლიფები ეწოდება.



ეს სავარაუდოდ სულის გამოსახულება ან ჯადოქარია.



ირემი საკვების მნიშვნელოვანი წყარო იყო.



ნაკვალევი მოგზაურობის სიმბოლოა.

## ...ის ქაღალდი

...ტელებმა პაპირუსის ღერნმის
ქაღალდის დამზადება პირველებმა
...რუსი მდინარე ნილოსის
...ე ხარობდა. ღერნამს თოკებისა და
...ასაწნავადაც იყენებდნენ.





... ქაღალდის დასამზადებლად
...ეროებს მწვანე კანს აცლიდნენ
...ჭრიდნენ. დაჭრილ ღეროებს
...ენ და ერთმანეთის გვერდიგვერდ
...ურად განალაგებდნენ.





...ონტალურად განლაგებულ
...ა ღეროებს ვერტიკალურად
...პრესავდნენ. ასე მზადდებოდა
...ი ქაღალდი. პაპირუსის ბუნებრივი
...უნქციას ასრულებდა და ღეროების
...ობდა ხელს.



# ეგვიპტური მხატვრობა

ძველი ეგვიპტელებისთვის მხატვრობას განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა და მხოლოდ დეკორაციისთვის როდი გამოიყენებოდა. მხატვრობის ძირითადი დანიშნულება საიქიოში მოგზაურობის შემსუბუქება ან ღმერთების თაყვანისცემა იყო. ეგვიპტური ნახატები წესების უზუსტესი დაცვით იქმნებოდა. ხელოვნების გერმანელმა ისტორიკოსმა, ერვინ პანოვსკიმ აღმოაჩინა, რომ ამ ნახატებს ეგვიპტელები ბადეების მათემატიკური სისტემის მიხედვით ხატავდნენ, რათა ფიგურების პროპორცია არ დარღვეულიყო.



ეგვიპტური ფიგურების ყველა ნაწილი, თვალებისა და მხრების გარდა, გვერდულადაა გამოსახული.

ხედავ, როგორ ინარჩუნებს წონასწორობას კატა ლერწამზე და როგორ ცდილობს ჩიტების დაჭერას? ძველ ეგვიპტეში კატა მოშინაურებული ჰყავდათ და სანადიროდ იყენებდნენ.

## ნებამუნის აკლდამის მოხატულობა

ნებამუნი ძველ ეგვიპტეში თანამდებობის პირი იყო. მისი აკლდამის კედლები მთლიანად მოხატულია. კედელზე დახატულია მდინარე ნილოსის ჭაობებში ნებამუნისა და მისი ოჯახის ჩიტებზე ნადირობის სცენები. ეგვიპტელები აკლდამების კედლებზე ხშირად გამოსახავდნენ გარდაცვლილებისთვის საყვარელ საქმიანობას. ნებამუნმა ნადირობის სცენა სიკვდილამდე დაახატვინა, რადგან სურდა, რომ საიქიოშიც ბევრი ჩიტი და თევზი მოენადირებინა.

## მიცვალებულთა წიგნი

ძველ ეგვიპტელებს ხშირად ე.წ. „მიცვალებულათ წიგნთან“ ერთად მარხავდნენ, რათა გარდაცვლილებს საიქიოში უსაფრთხოდ ემოგზაურათ და შემდეგ ხელახლა დაბადებულიყვნენ. ეს წიგნი მოიცავდა სხვადასხვა შელოცვას და პატარა ილუსტრაციებით, ვინიეტებით იყო გაფორმებული. ვინიეტები საიქიოში მომხდარ მოვლენებს გადმოსცემდა და ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.



ბუ აღნიშნავს ასო „M“-ს.



რქიანი გველგესლა აღნიშნავს ასო „F“-ს.



ფასკუნჯი აღნიშნავს ასო „A“-ს.



თვალი აღნიშნავს სიტყვა „მეს“.



პატარა მწყერი აღნიშნავს ასო „W“-ს ან „U“-ს.

თუ ნახატს განმარტება სჭირდებოდა, მაშინ ეგვიპტელები იეროგლიფებს იყენებდნენ. იეროგლიფი სიტყვა-სიტყვით „წმინდა ჩუქურთმას“ ნიშნავს. იეროგლიფის თითოეული სიმბოლო განსხვავებულ ასოს ან სიტყვას აღნიშნავს.



ამ ნახატის შემქმნელებმა თევზის ქერცლიანი და მბზინავი კანის გადმოცემა შეძლეს.

**ნადირობა**

ძვ.წ. დაახლ. 1350 წ. კედლის მხატვრობა

# სახეები მხატვრობაში

მხატვრები ჯერ კიდევ უძველეს დროში ქმნიდნენ პორტრეტებს. ისინი საკუთარ თავს ან საყვარელ ადამიანებს ხატავდნენ და თანაც ისე ოსტატურად, რომ სახეზე სხვადასხვა გრძნობას, განცდას აღბეჭდავდნენ. ზოგი მხატვარი ექსპერიმენტებსაც ატარებდა. ამის მაგალითია ჯუზეპე არჩიმბოლდოს წელიწადის დროები.



**კლარა სერენა რუბენსის პორტრეტი** [illegible]
**სერ პიტერ პაულ რუბენსი**
დაახლ. 1616 წ. ტილო. ზეთი. რუბენსი ცნობილ[illegible]ად შექმნილი პორტრეტებით. მხატვრის 5 წლის [illegible] გამოსახულება ევროპულ მხატვრობაში ბავშ[illegible] ყველაზე შთამბეჭდავ პორტრეტად ითვლება.



[illegible]



**უსათაურო.**
**ლუი ბურჟე**
2002 წ. გობელენი და ალუმინი.
ეს უცნაური თავი ქსოვილითაა დაფარული და უფრო შინაგან განცდებს გადმოგვცემს, ვიდრე რეალურ პერსონაჟს.



**ახალგაზრდა გოგონა გრძელი თმით** (დეტალი).
**პიერ-ოგიუსტ რენუარი**
1884 წ. ტილო. ზეთი.
რენუარმა იმპრესიონისტებზე დიდი გავლენა მოახდინა. ამ პორტრეტზე კარგად ჩანს მხატვრის ოსტატობა: რენუარმა ისე გამოიყენა ნათელი ფერები და ფუნჯის თავისუფალი მონასმები, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გოგონას სახეზე სინათლის სხივი ეცემა.



**ზაფხული. ჯუზეპე არჩიმბოლდო**
1573 წ. ტილო. ზეთი.
არჩიმბოლდომ გონებამახვილური პორტრეტებით გაითქვა სახელი. მხატვარი წელიწადის დროების გადმოცემისთვის ხილს, ყვავილებსა და ბოსტნეულს იყენებდა.



**ბავშვის პორტრეტი.**
**ცუგუჰარუ ფუძიტა**
XX საუკუნე. ტილო. ზეთი.
იაპონელი მხატვარი ფუძიტა ხატვის აღმოსავლურ და დასავლურ სტილს აერთიანებდა და უნიკალურ სტილს ქმნიდა. მასზე დიდ გავლენას ახდენდა პარიზის სამხატვრო მოძრაობები. მხატვარმა 1955 წელს ეროვნებაც კი შეიცვალა და ფრანგი გახდა.



**ნინა ლორანდო.**
**ოსვალდო გუაიასამინი**
XX საუკუნე. ტილო. ზეთი.
ეკვადორელმა მხატვარმა, გუაიასამინმა ანდებში მცხოვრები ადამიანების ტკივილისა და ტანჯვის გამომხატველი 100-მდე ნახატი შექმნა.



**ავტოპორტრეტი შავ ფონზე. ელენ შერფბეკი**
1915 წ. ტილო. ზეთი. ფინელი მხატვარი ელენ შერფბეკი მთელი ცხოვრების განმავლობაში ხატავდა ავტოპორტრეტებს. ამ ნახატზე ელენი 53 წლისაა. მხატვარმა საკუთარი თავი ღრმა სიბერეშიც, თითქმის სიკვდილის წინ დახატა.



**სევდის ნიღაბი**
დაახლ. 1600 წ. ბენინი, ნიგერია. სპილოს ძვალი.
ეს ნიღაბი აფრიკელ მეფეებს დედის მოსაგონარ სპეციალურ ცერემონიებზე ეკეთათ. სახე სპილოს ძვლისგან არის გამოთლილი და ძლიან რეალისტურადაა შესრულებული.

# რა არის ფრესკა

ფრესკული მხატვრობა კედელზე ან ჭერზე სურათის დატანების ერთ-ერთი მეთოდია. სპეციალური ნივთიერებისგან, პიგმენტისგან ფერი მზადდება. შემდეგ საღებავი ბათქაშით დაფარულ სველ ზედაპირზე ისმება. ფრესკები ჯერ კიდევ ძველეგვიპტური აკლდამების კედლებზეა აღმოჩენილი, ძველი და თანამედროვე ტაძრების ჭერზე გამოსახული ფრესკები კი ნამდვილად მომნუსხველი სანახაობაა.



დაფხვნილი ფერადი პიგმენტი

## რომაული სტილი

რომაელები ფრესკების უბადლო მხატვრები იყვნენ და ნახატებით შენობების კედლებს ალამაზებდნენ. ისინი დაფხვნილ პიგმენტებს, მაგალითად, ბუნებრივად ყავისფერ და წითელ მიწას წყალში აზავებდნენ და სველ, ახლად მობათქაშებულ ზედაპირზე ხატავდნენ. ბათქაში ქვიშისა და კირისგან მზადდებოდა. როდესაც ზედაპირი შრებოდა და მყარდებოდა, პიგმენტი ბათქაშს ერეოდა და საბოლოო ფერი იქმნებოდა. მხატვარს სწრაფად უნდა ემუშავა, სანამ ბათქაში გაშრობას მოასწრებდა.

იტალიის მშრალი კლიმატის გამო ზოგი რომაული ფრესკა დღემდე შემორჩა. მაგალითად, 79 წელს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ფერფლში დამარხული ქალაქ პომპეის უნიკალური ფრესკები დღემდეა შემონახული.

ამ ფრესკაზე გამოსახული კაცი, ტერენციუს ნეო უბრალო მცხობელი იყო. არადა სურდა, ის და მისი მეუღლე წარმატებულ და განათლებულ ადამიანებად მიეჩნიათ. სწორედ ამ მიზნით შეაქმნევინა მხატვრებს ეს ფრესკა. ტერენციუსს გრაგნილი უჭირავს, რათა მნახველი დააჯეროს, რომ კითხვა შეუძლია. ტერენციუსის მეუღლეს კი სტილუსი და ცვილით დაფარული საწერი დაფა უკავია და ისე გამოიყურება, თითქოს წერა ეს-ესაა უნდა დაასრულოსო.

### ჰკითხე საკუთარ თავს

შენ რომ ვინმესთვის შენი თავის დახატვა გეთხოვა, ხელში რის დაჭერას მოისურვებდი?

რას გვეტყოდა ეს ნივთი შენი ინტერესების შესახებ?

**ტერენციუს ნეოს და მისი მეუღლის პორტრეტი**

I საუკუნე. ფრესკა იტალიიდან, ქალაქ პომპეიდან



საწერი დაფა

## ფრესკების ისტორია

ფრესკის შესრულების ტექნიკას უძველესი ადამიანები მთელ მსოფლიოში იყენებდნენ. დროთა განმავლობაში ამ ტექნიკამ პოპულარობა დაიბრუნა.



ძვ. წ. XVII საუკუნე. ხარზე მოხტუნავეების ჯგუფის ეს ფრესკა კუნძულ კრეტაზე, კნოსოსის უძველესი სასახლის კედელზეა გამოსახული.



I საუკუნე. პომპეიელი მცხობელის და მისი მეუღლის ფრესკა ვულკანის ფერფლმა შემოგვინახა.



XIV საუკუნე. იტალიაში, ქალაქ პადუის არენის ტაძრის კედლები ჯოტო დი ბონდონეს და მისი თანამემნეების ფრესკებითაა დაფარული. ფიგურების ზომა რეალურზე დაახლოებით ორჯერ პატარაა და სამგანზომილებიან ეფექტს იძლევა.

მკვეთრი წითელი ფერები სიენისგან – იტალიის მთებში გავრცელებული წითელი ქვისგან მიიღებოდა.



## როგორ იქმნებოდა რომაული ფრესკა

კედლის ბათქაშით დამუშავების შემდეგ რომაელი მხატვარი სალებავს სველ ბათქაშზე ადებდა და ნახატს ნაწილ-ნაწილ ქმნიდა. ფრესკის შექმნა შენც შეგიძლია სცადო.



რომაული ფრესკა პომპეის ვილიდან



1 [illegible]ბისა და გამომშრალი მცენარეებისგან [illegible]ზადებულ და დაფხვნილი პიგმენტს კირიან [illegible] ურევდნენ. შედეგად პასტისმაგვარი [illegible] მასა მიიღებოდა.



2 კედელს სველ ბათქაშს უსვამდნენ და ზედაპირს კარგად ასწორებდნენ.



3 შემდეგ სალებავით სველ ბათქაშზე ხატავდნენ. სანამ ბათქაში სველი იყო, პიგმენტი ბათქაშს „ენებებოდა".



4 ნახატის დასრულების შემდეგ ზედაპირზე ზოგჯერ თხელ ფენად ცვილს უსვამდნენ, რათა ნახატი არ გაფუჭებულიყო და ბრწყინვალება დიდხანს შეენარჩუნებინა.



1541 წ. მიქელანჯელოს ოთხი წელი დასჭირდა, რომ იტალიაში, რომში, ვატიკანის სიქსტის კაპელას ჭერის მოხატვა დაესრულებინა.



1688-1694 წწ. რომში, წმინდა იგნასიოს ტაძრის ჭერზე პოცოს მიერ დახატული ფრესკა შთამბეჭდავი სანახავია.



1896 წ. ეს ერთ-ერთი ფრესკაა კარლ ლარსონის ექვსი დიდი ფრესკიდან, რომლებიც შვედეთში, სტოკჰოლმის ეროვნულ მუზეუმში ინახება.



1933 წ. მექსიკელი მხატვარი დიეგო რივერა „დეტროიტის მრეწველობის" სერიის შექმნისას ფრესკის ტექნიკას იყენებდა.



# მხატვრობა სიზმრების დროიდან

ავსტრალიელი აბორიგენები ათასობით წლის განმავლობაში ქმნიდნენ ხელოვნების ნიმუშებს: ნახატებით ილამაზებდნენ სხეულს, ხატავდნენ კლდეებზე, ძერწავდნენ თიხისა და ხის ქანდაკებებს. დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი გრავიურა დაახლოებით 40000 წლისაა.



**მხატვრობა „რენტგენის“ სტილით**
ჩრდილოეთ ავსტრალიაში კლდეზე გაკეთებულ ნახატებზე გამოსახულია ჩონჩხები, ფილტვები და სხვა შინაგანი ორგანოები. ბევრ ნახატზე აბორიგენების მიერ შექმნული ცხოველები – კუები, კენგურუები და თევზებია გამოსახული.

მხატვარი ჯერ სილუეტს ხაზავდა თეთრად, შემდეგ კი დეტალებს ჟანგმინისგან დამზადებული საღებავებითა და ხის ნახშირით აფერადებდა.

## სიზმრების დრო

„ზმანება“ ევროპული ტერმინია და ავსტრალიელი აბორიგენების სამყაროს შექმნასა და სხვა რელიგიურ ისტორიებს ნიშნავს. „სიზმრების დრო“ პერიოდია, როდესაც ავსტრალიური ლეგენდების მიხედვით, სიცოცხლის ყველა ფორმას ანუ „წინაპრებს“ ჯერ კიდევ მიწისქვეშეთში ეძინა. შემდეგ დრომ დინება დაიწყო, „წინაპრებმა გაიღვიძეს, დედამიწაზე ხეტიალი დაიწყეს, სიცოცხლე შექმნეს და ცოცხალ არსებებს ცხოვრება ასწავლეს.



ავსტრალიის ჩრდილოეთში კლდეზე შესრულებული ეს ნახატი შემოქმედ წინაპარს გამოხატავს. ადამიანის მსგავსი სული დიდთვალა და უპიროა. აბორიგენები ნახატებს რელიგიური რიტუალებისთვისაც ქმნიდნენ.



აბორიგენები საღებავებს მცენარეებისა და წითელი ან ყვითელი ჟანგმინისგან ამზადებდნენ. მხატვარი პიგმენტს ფხვნიდა, სითხეში ურევდა და ჯოხების ან ხის ქერქის მეშვეობით ხატავდა.

## ტექნიკა



ხის ქერქზე დახატული მონადირე და კენგურუ



უძველესი აბორიგენი მხატვრები ბუნებრივ წითელ, ყავისფერ, ყვითელ, შავ და თეთრ პიგმენტებს იყენებდნენ და საღებავს მცენარეებისა და მინერალებისგან ამზადებდნენ. საღებავის დადების სხვადასხვა მეთოდი არსებობდა. ზოგიერთი ნახატი თითებით, ხელის გულით, ჯოხებით ან ბუმბულებით იქმნებოდა. ფუნჯის მაგივრობას ბალახი, ტოტები, ხის ბოჭკოვანი ქერქის ვიწრო ნაჭრები და პალმის ფოთლები ეწეოდა. სტენსილის შექმნისას კი მხატვარი შაბლონის ამოჭრილ ადგილებში პირში დაგუბებულ საღებავს აფრქვევდა.



ბევრი ავსტრალიელი ხელოვანი დღესაც უძველეს მეთოდს იყენებს და წერტილებიან და რკალებიან ნახატებს ხატავს.

სიზმრების დროის ნახატი წრეებისგან, რკალებისგან, სპირალებისგან, წერტილებისა და ხაზებისგან იქმნებოდა. „წინაპრებს“ მარტივი ხაზებითა და გეომეტრიული ფიგურებით გამოსახავდნენ.

## თანამედროვე მხატვრობა

ავსტრალიელი მხატვრები საკუთარი კულტურის, სამშობლოსა და სიზმრების დროის კვლევას დღესაც განაგრძობენ. ბევრი მხატვარი თანამედროვე მასალებს, მათ შორის – აკვარელსა და აკრილის საღებავებს იყენებს, თუმცა არც ტრადიციული ბუნებრივი პიგმენტები ავიწყდება. მხატვრები ტრადიციული, წერტილოვანი ხატვის ტექნიკასაც იყენებენ და ამავე დროს მრუდ და ტალღოვან ხაზებს იშველიებენ.



თანამედროვე მხატვარი კლიფორდ პოსუმ ტჯაპიტჯარი (1932-2002 წწ.) წერტილებისა და წრეების გამოყენებით ხელოვნების უზარმაზარ, რთულ ნიმუშებს ქმნიდა.



ეს ვარანი წინაპარი სულის პატივისცემის ნიშნად დახატეს.



**გველის სიზმარი**
კეიტ კააპა ტჯანგალა
1989 წ.



მინის ოქროსფერი და ვერცხლისფერი კუბები



ქვისა და მარმარილოს კუბები

# როგორ იქმნება მოზაიკა

მოზაიკა ფერადი მინის, ქვის, კერამიკის ან სხვა მყარი ნივთიერების პატარა ნაჭრებისგან გამოსახულების შექმნის ხელოვნებაა. პატარა ნაჭრებს ანუ ფრაგმენტებს მოზაიკის კუბები ეწოდება. პირვანდელი მარტივი დიზაინით დაწყებული, ბრწყინვალე ბიზანტიური ხელოვნებითა და თანამედროვე აბსტრაქტული ფორმებით დამთავრებული, მოზაიკა შენობების შიდა და გარე ნაწილებს ფარავს და ძალიან შთამბეჭდავი სანახავია.



## ბიზანტიური ს[illegible]

ბიზანტიურ პერიოდშ[illegible]0-1[illegible] წწ.) სხვადასხვა ფერი, მათ[illegible]რის [illegible]როსფერი და ვერცხლისფერი შუ[illegible] კუბ[illegible]ისგან მოზაიკას ქმნიდნენ და[illegible]ლე[illegible] და ჭერს რთავდნენ. მოზაიკაში [illegible]ითა[illegible]დ რელიგიური თემები ფიგურირებდა. [illegible]იგჯ[illegible] კუბები ისე ლაგდებოდა, რომ იქმნ[illegible]ბოდა შ[illegible]ბეჭდილება, თითქოს სინათლე წმინდა ადამიანების სახიდან და შარავანდედიდან ირეკლებოდა.

## როგორ იქმნებოდა ბიზანტიური მოზაიკა

ბიზანტიელი მოზაიკოსები კუბებს კირის შემცველ შემკვრელ ნივთიერებაზე აწყობდნენ და მონაკვეთებზე ნაწილ-ნაწილ მუშაობდნენ, ვინაიდან კირი მალე შრებოდა.





**1** მოზაიკის დამზადება თავად სცადე. თავდაპირველად ხის დაფაზე ნახატის კონტური დახატე. ბიზანტიელები სწრაფად მუშაობდნენ, მაგრამ შენ შეგიძლია მეტი დრო მისცე საკუთარ თავს და მოზაიკის კუბები ნელ-ნელა დააწყო.



**2** სპეციალური საჭრელის გამოყენებით მოზაიკის კუბებს ფორმა მიეცი, რომ ერთმანეთს მოერგოს. შემდეგ ნახატის კონტურებს მიჰყევი. კუბები ოდნავ დახარე, რათა სინათლე კარგად აირეკლოს.



**3** ბიზანტიელები მოზაიკას არ ადუღაბებდნენ, კუბებს შორის დარჩენილ სიცარიელეს არ ავსებდნენ. თუმცა, დუღაბის თხელი ფენის გამოყენება შენს მოზაიკას შეკრავს და გაამაგრებს.

## მოზაიკის ისტორია

ძვ.წ. IV საუკუნეში მცხოვრებმა ბერძნებმა მოზაიკის დამზადება დაიწყეს. ისინი სხვადასხვა ფერის კენჭების გამოყენებით სცენებსა და ხასიათს გადმოგვცემდნენ. მოზაიკის ისტორია ასეთია:



I საუკუნე. რომაულ მოზაიკებში მარმარილოსა და კირქვის კუბებია გამოყენებული.



VI საუკუნე. კონსტანტინოპოლის (დღევანდელი სტამბოლის) დიდი ტაძრის მოზაიკა 80 მილიონი კუბითაა აწყობილი.



VII საუკუნე. ისლამურ მოზაიკებში ლურჯი და მწვანე ორნამენტები მეორდება. სურათზე იერუსალიმის „კლდის გუმბათია" გამოსახული.



XII საუკუნე. სიცილიაში მონრეალის ნორმანდიული ტაძრის ნავი ბიზანტიური სტილის მოზაიკითაა დაფარული. მოზაიკად შუშის კუბებია გამოყენებული.

**ქრისტეს სახე** (დეტალი). სტამბოლი. აია სოფია. VI საუკუნე. მინის მოზაიკა





თურქეთში, ქალაქ სტამბოლში მდებარე აია სოფიას ტაძარი ბიზანტიური მხატვრობისა და არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია. თუმცა, სამწუხაროდ, მოზაიკის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. აქ მოყვანილ ფრაგმენტზე იმპერატორი ქრისტეს წინაშე იჩოქებს.

აია სოფიას ტაძრის უზარმაზარი გუმბათის შიდა კედელზე წინასწარმეტყველების, წმინდანებისა და სხვა რელიგიური პირების მოზაიკური გამოსახულებებია. ქრისტეს სახე სპეციალურად დამზადებული კუბებისგან ანუ სმალტებისგანაა შექმნილი. სმალტა ფერადი მინის დიდი, სქელი ფენიდან ჩამოჭრილილი კუბია. ბიზანტიელები მოზაიკას არ ადუღაბებდნენ, რათა სინათლე სუფთა მინიდან უკეთესად არეკლილიყო.

## ბრწყინვალების დამატება

ბიზანტიელები მინის ორ ფილას შორის ოქროს ან ვერცხლის თხელ ფირფიტებს ატანდნენ სარკისებრი ეფექტის მისაღებად. შემდეგ სარკეს პატარა ნაწილებად ჭრიდნენ და ნაწილებს კედელზე ოდნავ დახრილად ამაგრებდნენ. სარკე და ოქრო-ვერცხლი სინათლეს სხვადასხვა მიმართულებით ირეკლავდა და ბრწყინავდა.





1900-1914 წ. ანტონი გაუდის ფერადი მოზაიკა ბარსელონაში პარკ გუელს ამშვენებს.



1957 წ. მექსიკელმა მურალისტმა, დიეგო რივერამ მეხიკოში „აჯანყებულთა თეატრის" გარე კედელი მინის უზარმაზარი მოზაიკით დაფარა. მოზაიკა მექსიკური თეატრისა და ცეკვის ისტორიას გადმოგვცემს.



1977 წ. ჯინ რეინალის მოზაიკა სხვადასხვა ზომის კუბებისგან შედგება. შედეგად უხეში ფორმები იქმნება.



2008 წ. ემა ბიგსმა საკუთარი სამზარეულოს კედელი მოზაიკით გააფორმა.

# ღმერთები და გმირები მხატვრობაში

მხატვრებისა და მოქანდაკეების შთაგონების წყარო ხშირად იყო უძველესი ლეგენდები და რელიგიური ისტორიები. აქ მოყვანილი ხელოვნების ნიმუშები მითიური პერსონაჟების საგმირო საქმეებსა და რელიგიური პირების ცხოვრებასა და ღვაწლს ასახავს.

გაიგე მეტი! ქვის ქანდაკებების შესახებ მეტს 106-ე გვერდზე შეიტყობ.



**წმინდა გიორგი და გველეშაპი.** პაოლო უჩელო დაახლ. 1470 წ. ტემპერა, ხის დაფა. ნახატი გადმოგვცემს ლეგენდას, როგორ დაამარცხა წმინდა გიორგიმ გველეშაპი და როგორ იხსნა პრინცესა.



**სიზმრების სამყაროში.** ნორვალ მორისო 1995 წ. ტილო, აკრილი. [illegible]



**ჰერკულესი და ნესუსი.** ჯამბოლონა 1599 წ. მარმარილო. დახელოვნებულმა მოქანდაკე ჯამბოლონამ სახელი დრამატული სცენების გადმოცემით გაითქვა. აქ ძლიერი ბერძენი გმირი ჰერკულესი კენტავრ ნესუსს ამარცხებს.



**გმირი ლომს ამარცხებს.** ასურელი მოქანდაკე ძვ.წ. დაახლ. 725 წ. ქვა.
როგორც ვარაუდობენ, ეს მითიური გმირის, გილგამეშის ქანდაკებაა. გილგამეში ზეადამიანურ ძალას ავლენს და მრისხანე ლომი ცალი ხელით უჭირავს.



**ტაგლუნგ ტანპა ჩენპო**
დაახლ. 1300 წ. ტიბეტი. მინერალური პიგმენტი. ბამბა.
ტიბეტელი ბერები ცერემონიებზე მოხატული ან მორთული ქსოვილის სამოსს ატარებდნენ. ამ ნახატზე ტაგლუნგის მონასტრის დამფუძნებელს, ჩენპოს, ბუდები, მასწავლებლები (ლამები) და ღმერთები ერტყმიან გარს.



**ორფევსი ცხოველებისთვის უკრავ**
**რომაელი მხატვარი**
მოზაიკა. ძველი ბერძნული ლეგენდის თანახმად, მითიური ორფევსი იმდენად ნიჭიერი მუსიკოსი იყო, რომ გარეული ცხოველების მოხიბვლაც შეეძლო.

გაიგე მეტი! რენესანსის მხატვრობის შესახებ მეტს 30-ე გვერდზე შეიტყობ.



**ქრისტეს ნათლობა.**
**პიერო დელა ფრანჩესკა**
1450 წ. ტემპერა, ხის დაფა.
ნახატზე ქრისტეს თავს დასტრიალებს სულიწმინდას განსახიერება მტრედი. ამგვარი ნახატებით ირთვებოდა საკურთხევლები, ეკლესიები და კაპელები.







**ვიშნუს პირველი ავატარი (განსახიერება) – „თევზი"**
XIX

# ჩინური მხატვრობა

ჩინელი ხალხის მხატვრობის ისტორია 10000 წელიწადს ითვლის. ჩინელები ხელოვნების ნიმუშებს გამუდმებული ომებისა და რევოლუციების მღელვარე ეპოქაში ქმნიდნენ. მხატვრობის ოქროს ხანა ზოგიერთი იმპერატორის ძალისხმევით დგებოდა. მხატვრობის მოყვარულები ანუ „ლიტერატები“ სამხატვრო აკადემიებს აარსებდნენ.



ლარნაკის ზედა რიგზე დაოიზმის რვა მნიშვნელოვანი, უკვდავი პერსონაჟია გამოსახული.

პირველი და საუკეთესო ფაიფური ჩინეთში დაამზადეს. მას შემდეგ, ზოგჯერ ყოველგვარ კერამიკას „ჩინურს“ უწოდებენ.

ფაიფურის ეს ვაზა ცინის დინასტიის პერიოდში დამზადდა და დაახლოებით 300 წლისაა. მასზე გამოსახულია ჩინური ნაკეთობებისთვის დამახასიათებელი რელიგიური და ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული სცენები. ვაზა ლურჯი და თეთრი ფერებითაა მოხატული.

## ისტორია ასეთია...





### პრეისტორია

ფერადი თიხის ნაკეთობები 6000 წელზე მეტი ხნისაა. მათზე სახეები და ცხოველებია გამოსახული. კლდეებზე გაკეთებული უძველესი ნახატები კი ომებს, ნადირობასა და ზეიმებს ასახავს.

სამფეხა ქოთანი „კუეი“. დაახლ. ძვ.წ. III-II საუკუნეები. ლონგშანგის კულტურის ნიმუში



### ხანის დინასტია დასავლეთიდან

ძვ.წ. 206-ახ.წ. 9 წწ. ჩინეთში აბრეშუმის ქსოვილი მანამდე გამოიგონეს, სანამ ქაღალდის დამზადებას დაიწყებდნენ. ზეწრებსა და ტანსაცმელზე მოხატული აბრეშუმის წნულების გაკეთება ძალიან პოპულარული იყო.

ქსოვილი დაი პუ ფუ-რენის აკლდამიდან. ძვ.წ. დაახლ. 180 წ.



ათასი პეპელა, ყვავილი და მწერი (დეტალი). XVII საუკუნე. ჩენ ჰონგშუ



**თანამედროვე მხატვრობა**
XX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ ლიუ ჰაისუმ და სხვა მხატვრებმა ახალ ტექნიკაზე დაიწყეს ექსპერიმენტის ჩატარება და ახალი თემებით, მათ შორის თანამედროვე ცხოვრებით, დაინტერესდნენ.

ყვითელი მთა (დეტალი), XX საუკუნე, ლიუ ჰაისუ



ქათამი და ჩინური კომბოსტოები. XX საუკუნე. ქი ბაიში

**ცინის დინასტია 1644-1911 წწ.**
მხატვრები[illegible] „ექსცენტრიკოსად“ წოდებული [illegible] ხლის კარის მხ[illegible] გაემიჯნა [illegible] მოსმის ტექ[illegible] ისინი ძირითადად [illegible] ხატავდნენ.

**შანხაის სკოლა**
XII საუკუნის ჩინეთში დასავლური მხატვრობა შევიდა. ჩინელმა მხატვრებმა ძველი ტრადიციების გამეორებას თავი დაანებეს და თანამედროვე სტილზე გადავიდნენ.



ატმის ყვავილობა გაზაფხულზე. XVI საუკუნის შუა ხანები. ვენ ჟენმინი

**მინის დინასტია 1368-1644 წწ.**
ლიტერატები, მათ შორის ვენ ჟენმინი, ბრწყინვალე პოეტები, კალიგრაფები და მხატვრები იყვნენ, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, „სამ ოსტატობას“ ფლობდნენ.



**იუანის დინასტია 1279-1368 წწ.**
ოთხმა დიდმა მხატვარმა – ჰუანგ გონგვაგნამ, ვუ ჟენმა, ნი ჟანმა და ვანგ მენგმა „გონების პეიზაჟად“ წოდებული სტილი შექმნეს. ამ სტილით პიროვნულ განცდებს გადმოსცემდნენ.

იუს მთის ხეები და ველები. 1372 წ. ნი ჟანი

**ტანის დინასტია 618-907 წწ.**
ტანის დინასტიის (სამეფო ოჯახის) იმპერატორი მხატვრებს დიდი ენთუზიაზმით ეხმარებოდა. მხატვრები ძირითადად დიდებულებსა და სასახლის კარის ქალბატონებს ხატავდნენ.



ცამეტი იმპერატორი (ერთ-ერთი ნახატი სერიიდან). VII საუკუნის მინურული. იან ლიბენი



ბებერი ხეები. დაახლ. 1080 წ. გუო ხი

**სონის დინასტია 960-1127 წწ.**
რამდენიმე ძველი აკადემიის შერწყმის შედეგად იმპერიის სამხატვრო აკადემია ჩამოყალიბდა. ამ სკოლის წარმომადგენლები ძირითადად პეიზაჟებს ხატავდნენ. თანაც ისე, რომ ნახატებს სამგანზომილებიანი ეფექტი ჰქონდა.

# როგორ იქმნება ფერები

დღეს უკვე ყველას შეუძლია ნებისმიერი ფერით სავსე საღებავის ტუბის ან პატარა კასრის შეძენა, 600 წლის წინ კი მხატვარს თავად უნდა გაეზავებინა საღებავები და სასურველი ფერი მიეღო. მხატვრები საღებავს ფერადი ფხვნილის ანუ პიგმენტის სახით ყიდულობდნენ და შემდეგ თხევად, შემკვრელ ნივთიერებაში აზავებდნენ. მიღებული ფერადი მასით ხელნაწერებისთვის ილუსტრაციებს ხატავდნენ და წიგნებს აფორმებდნენ.

ბერის ჰერცოგის დიდებული ჟამნი
(დეტალი „აპრილიდან").
XV საუკუნე.
ძმები ლიმბურგები







**ნარინჯისფერი**
მოწითალო-ნარინჯისფრის მისაღებად სინგურს ფხვნიდნენ. სინგური ვერცხლისწყალს შეიცავს, ამიტომ მისი გამოყენება სახიფათოა, ვინაიდან ცნობილია, რომ ვერცხლისწყალი მომწამვლელი ნივთიერებაა.





**ლურჯი**
ულტრამარინი – მუქი ლურჯი პიგმენტი ოქროზე ძვირი იყო, ვინაიდან ქვა ლაჟვარდი მხოლოდ ავღანეთიდან ჩამოჰქონდათ. ეს მინერალი მეფის სამოსელის მოსახატად ინახებოდა და მის რაოდენობას დამკვეთი კონტრაქტით განსაზღვრავდა.

## ტემპერას საღებავი

შუა საუკუნეებში მხატვრის სახელოსნო ძალიან გადატვირთული ადგილი იყო. მოსწავლეები მასალებსა და ფერებს ამზადებდნენ, ოსტატები კი ხატავდნენ. ტემპერას საღებავით ძირითადად ხის დაფებზე ხატავდნენ. ის ასე მზადდებოდა:



1 მშრალი პიგმენტი იფხვნებოდა და წყლით მუშავდებოდა, რის შემდეგაც პასტისმაგვარი ნივთიერება მიიღებოდა (პიგმენტი ოსტატურად უნდა დაიფხვნას, ვინაიდან მეტისმეტად დანაწევრებით ფერი შეიძლება გაფუჭდეს).

2 კვერცხის გულს სპეციალურ ჭურჭელში ინახავდნენ და ცოტა წყალში თქვეფდნენ, რის შემდეგაც პიგმენტისგან დამზადებულ პასტას ამ მასაში ურევდნენ.







### ოქროსფერი
მუქი ლურჯის
შემდეგ ოქროსფერი ყველაზე ძვირად ფასობდა. ოქრო ძალიან თხელ ფურცლებად იჭრებოდა და ოქროს ფოლგა მიიღებოდა.



ოქროს ფოლგა ნახატს ზემოდან ედებოდა და შემდეგ ქვით პრიალდებოდა.



### შავი
ცხოველების ძვლებს დახურულ ჭურჭელში წვავდნენ და შედეგად მოლურჯო ან მოყავისფრო შავი ფერის პიგმენტს ილებდნენ. ამ პიგმენტს შავი ძვალი ერქვა.

### მწვანე
თუ სპილენძს დიდი ხნის განმავლობაში ჰაერზე გააჩერებ, ზემოდან მომწვანო ფენით დაიფარება. მხატვრები ამ ფენას სახატავად იყენებდნენ. სპილენძის მწვანე ფენის სწრაფად მისაღებად სპილენძის მონეტებს ძმრით სავსე ჭურჭელში დებდნენ.



სპილენძი დნებოდა, ცივდებოდა და მისი ნაქლიბი იფხვნებოდა.

### თეთრი
თეთრი ტანისამოსი ტყვიის თეთრას დახმარებით იხატებოდა. ეს იყო ძალიან გავრცელებული ლითონისგან დამზადებული პიგმენტი. ტყვია მომწამვლელი ლითონია და ამიტომ მასთან დიდხანს შეხება არ შეიძლებოდა. დღეს ტყვია ტიტანმა და თუთიამ შეცვალა.





მზესუმზირის ნაყოფი თესლებით

### მენამული
მზესუმზირის თესლის მტვრევის შედეგად მეწამული ფერის პიგმენტი მიიღებოდა.

### ვარდისფერი
მოწითალო-მეწამული ფერი ენდროს ფესვისგან დამზადებული სალებავით მიიღებოდა. ენდროს ფესვებს მზეზე აშრობდნენ და ფხვნიდნენ.





ენდროს ფესვის გამომშრალი ნაწილები

# სანსი (XV-XVI საუკუნეები)

მხატვრობის ისტორია ევროპის ქვეყნებში
ებით ამერიკაში) დაიწერა. XV საუკუნეში
ა ძველი ბერძნებისა და რომაელების კლასიკური
თოდები ხელახლა გამოიყენეს და მხატვრობის
ნარეობა – რენესანსი შექმნეს. რენესანსი
ს“ ნიშნავს.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ...





ფიდიასის პართენონის ფრიზი

## ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲮᲐᲜᲐ

ძვ.წ. დაახლ. 500-300 წწ. ძველი ბერძნული ხელოვნების აყვავების პერიოდია. ხელოვანები მარმარილოს ქანდაკებებს ქმნიდნენ (იხ. გვ. 114), ლარნაკებს შავი და წითელი ფიგურებით აფორმებდნენ და ნახატებს ხის დაფებზეც გამოსახავდნენ (ხის დაფები ძალიან მცირე რაოდენობით შემოგვრჩა).

ული მხატვრობა და კულტურა
ილოეთ აფრიკაში გავრცელდა.
რესკები დეტალურად იყო
ა რეალურთან მიახლოებული.



ფრესკა
პომპეიდან.
იტალია.
I საუკუნე



წმინდა გიორგი.
დაახლ. 1415-17 წწ.
დონატელო

დაახლოებით 1410 წელს ჰოლანდიელმა მხატვრებმა სელის თესლისგან დამზადებული სელის ზეთისა და კაკლის ზეთის პიგმენტებთან შერევა და ზეთის საღებავების დამზადება დაიწყეს.

## ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ

470-1453 წწ. ქრისტიანული რელიგია
ევროპული მხატვრობის ძირითადი თემა
გახდა. აღმოსავლეთში ბიზანტიელი
მხატვრები კლასიკურ სტილს იყენებდნენ.

## ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ

XV საუკუნის დასაწყისში კლასიკურმა სტილმა კვლავ აღორძინება დაიწყო. იტალიელმა ხელოვანებმა – დონატელომ, ალბერტიმ, ბრუნელესკიმ და მაზაჩომ რენესანსის სტილი შექმნეს. დონატელოს ქანდაკებები უაღრესად რეალისტურია და რომაული ქანდაკებებისთვის დამახასიათებელ დეტალურ პოზებსა და მიმიკებს გადმოგვცემს.

ოპაში მდიდარი არისტოკრატები, ე.წ.
იანთი სიმდიდრის გამომხატველი ხელოვნების
მხატვრებს უხვად უხდიდნენ. მხატვრები
ხსნიდნენ და დამხმარეებს ქირაობდნენ.
ატატებს ილუსტრირებული ხელნაწერებისა და
დამზადებაში ეხმარებოდნენ.



ბერის ჰერცოგის დიდებული ჟამნი.
XV საუკუნე. ძმები ლიმბურგები



ჩო. დაახლ. 1425 წ. სურათზე გამოყენებულია წრფივი
ისას თვალი ერთი წერტილისკენ გარბის, რადგან
რფე იკვეთება. სურათის ყველაზე მნიშვნელოვანი
, სწორედ ამ ადგილზეა დახატული.

დაახლოებით 1413 წელს არქიტექტორმა ფილიპო ბრუნელესკიმ პერსპექტივის კანონები ჩამოაყალიბა. ამ კანონებს სხვადასხვა მხატვარი, მათ შორის მაზაჩო იყენებდა, რათა ნახატებისთვის სიღრმის ეფექტი მიეცა.

## ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ



ფილიპო ბრუნელესკიმ რომაული არქიტექტურის შესწავლის შემდეგ 1419-1436 წლებში ფლორენციის ეკლესიის შთამბეჭდავი გუმბათი დააპროექტა და ააგო.

# ევროპელმა მხატვრებმა რენესანსის სტილები განავითარეს...

## იტალია



**ჯულიანო მედიჩის პორტრეტი.**
**სანდრო ბოტიჩელი**
1478-1480 წწ.
მედიჩების ოჯახი ბოტიჩელის პატრონი იყო. მედიჩები მდიდარი ვაჭრები და ფლორენციის მმართველი წრის წარმომადგენლები იყვნენ.



**ათენის სკოლა.** (დეტალი. ბერძენი ფილოსოფოსები – პლატონი და არისტოტელე).
**რაფაელი**
დაახლ. 1509-1510 წწ.
რაფაელი ლეონარდო და ვინჩისთან და მიქელანჯელოსთან ერთად მაღალი რენესანსის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხატვარია. მაღალი რენესანსი მხატვრული სრულყოფილების პერიოდს ეწოდება.



**ღვთისმშობლის მიძინება.**
**ტიციანი**
1518 წ.
ტიციანმა ვენეციაში შესრულებული უზარმაზარი და რთული ნახატით დაამტკიცა, რომ საოცარი ნიჭის მხატვარი იყო.

## ჩრდილოეთ ევროპა



**მელუნის დიპტიხი** (დეტალი).
**ჟან ფუკე**
დაახლ. 1452 წ.
ფრანგი მხატვრის, ფუკეს ფიგურები მკვეთრი და მკაცრი დეტალებით გამოირჩევა.



**ბრაკის ტრიპტიხი** (დეტალი).
**როჯერ ვან დერ ვეიდენი**
დაახლ. 1452 წ.
ვეიდენი დეტალებს დიდ ყურადღებას აქცევდა და ამიტომ მისი ფიგურები ძალიან რეალისტურად გამოიყურებიან. იმავე მეთოდს მიმართავდნენ სხვა ჰოლანდიელი მხატვრები, მათ შორის – იან ვან ეიკი (იხ. გვ. 36)



**ყველიერისა და მარხვის ბრძოლა** (დეტალი).
**პიტერ ბრეიგელ უფროსი**
1559 წ.
ჰოლანდიელი მხატვარი პიტერ ბრეიგელი ცოცხალ, ხალხმრავალ სცენებს ხატავდა, მახვილგონივრულ დეტალებს ამატებდა და უამრავ ფერს იყენებდა.

## გერმანია



**ავტოპორტრეტი.**
**ალბრეხტ დიურერი**
1498 წ.
დიურერმა ჩრდილოეთევროპელებისთვის დამახასიათებელი დეტალები და იტალიელების ფერები, სინათლე, კომპოზიცია და პერსპექტივა გააერთიანა.



**იზენჰაიმის საკურთხევლის ხატი** (დეტალი). **მატიას გრიუნევალდი**
დაახლ. 1512-1515 წწ.
გრიუნევალდზე დიდი ზეგავლენა მოახდინა შუა საუკუნეების მხატვრობამ და მისმა შემაძრწუნებელმა დემონებმა. გრიუნევალდი ღია, ექსპრესიულ ფერებს იყენებდა.



**ელჩები.**
**ჰანს ჰოლბეინ უმცროსი**
1553 წ.
ჰოლბეინმა დიდი ზომის, შთამბეჭდავი პორტრეტებით გაითქვა სახელი. სურათზე ელჩები სხვადასხვა საგანთან ერთად არიან გამოსახულნი, რაც მათ სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე მიუთითებს.





**ყარყატები** (დეტალი). იოზეფ ჩელმონსკი
1990 წ. ტილო, ზეთი. პოლონეთში [illegible] ძალიან
გავრცელებული ფრინველია. [illegible]
პოლონურ ნახატზეა გამოსა[illegible].

**მონადირეები თოვლში.** პიტერ ბ[illegible] 1565
წ. ტილო, ზეთი.
ეს არის ექვსიდან ერთ-ერთი ნახატი [illegible]წელიწადის
დრონი". ბრეიგელი წელიწადის სხვა[illegible]
პეიზაჟებს ხატავდა.

# პეიზაჟები მხატვრობაში

პეიზაჟებს ჩინელი მხატვრებიც ქმნიდნენ, თუმცა არა რენესანსის პერიოდამდე. ამ თემის განვითარება დასავლელმა მხატვრებმა (მათ შორის ბრეიგელმა) დაიწყეს, რის შემდეგაც პეიზაჟი მთელი მსოფლიოში ძალიან პოპულარული ჟანრი გახდა.



**ზაფხულის საღამო სკაგენის სამხრეთ სანაპიროზე ანა ანკერთან და მარი კროიერთან ერთად.**
პედერ სევერინ კროიერი
1893 წ. ტილო, ზეთი.
[illegible]





**დახრილი პეიზაჟი.**
მაიკლ ბულერი
2003 წ. დაპრესილი ხე, ნებოიანი ფანერი და აკრილი.
ბულერი თავისი უჩვეულო კონსტრუქციებით ყოველდღიურ საქმიანობას და პარანორმალურ განცდებს გადმოგვცემს.

**ზამთრის პეიზაჟი.**
ტოიო სეშუ
დაახლ. 1470 წ. მელანი. ქაღალდი.
სეშუმ იაპონური მელნით ხატვის სტილი შექმნა. ის პეიზაჟებს მკაფიო კონტურებით და შტრიხებით ხატავდა.



**ხეები. [illegible] დერანი**
[illegible] ტილო. ზეთი.
[illegible] ერთ-ერთი ფუძემდებელია. ფავიზმი მხატვრობის
[illegible] რომელიც ძირითადად ღია ფერებს იყენებს.
[illegible] დახმარებით მზით განათებული პეიზაჟი შექმნა.





**ადრეული გაზაფხული. ტომ ტომსონი**
1917 წ. ხის დაფა. ზეთი.
ტომსონი „შვიდთა ჯგუფის" ერთ-ერთი დამფუძნებელია. მხატვრების ეს ჯგუფი ძირითადად კანადის ბუნების მშვენიერ ხედებს ხატავდა.

**ყანა. ჯონ კო[illegible]**
1826 წ. ტილო [illegible]



**გაზაფხულის ყვავილობა. ემილი კარი**
XX საუკუნე. ტილო. ზეთი.
კარი ხშირად ბუნებაში მუშაობდა და ბრიტანეთის კოლუმბიის პეიზაჟებს ქმნიდა. კარის ექსპრესიულ ნამუშევრებში ბუნების ძალაა გადმოცემული.



**მზე. ედვარდ მუნქი**
1912-1916 წწ. ტილო. ზეთი.
ნახატი ნორვეგიის ოსლოს უნივერსიტეტის კედლის მხატვრო[illegible] ნაწილია. მზის სინათლე იმდენად თვალისმომჭრელია, რომ მნახველის ყურადღებას იპყრობს.

## ლეონარდო და ვინჩი

*1452:* დაიბადა იტალიაში, ქალაქ ვინჩიში.

*1472:* 20 წლის მხატვარი ფლორენციაში წმ. ლუკას ორდენს შეუერთდა.

*1473:* დახატა „ხარება“ – შემორჩენილი სურათებიდან უძველესი.

*1481:* დახატა „მოგვთა თაყვანისცემა“.

*1483-1499:* 31 წლის მხატვარი მილანში გადავიდა და ჰერცოგ ლუდოვიკო სფორცას კარზე დაიწყო მუშაობა.

*1495-1498:* დახატა „საიდუმლო სერობა“.

*1499:* სამოგზაუროდ წავიდა და 1500 წელს ფლორენციაში დაბრუნდა.

*1502-1503:* ჩეზარე ბორჯასთვის სამხედრო ინჟინრად მუშაობდა.

*1503-1506:* 50 წლისამ დახატა „მონა ლიზა“.

*1516* ან *1517:* მეფე ფრანსუა I-ის მიპატიჟებით, იტალიიდან საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად.

*1519:* გარდაიცვალა საფრანგეთში, ქალაქ კლოუში.

### ვინ მოახდინა ზეგავლენა?



**ანდრეა დელ ვეროკიომ.** ლეონარდო ვეროკიოს სახელოსნოში სწავლობდა. ის სწავლის პერიოდშივე დაინტერესდა ანატომიით, პეიზაჟებითა და სინათლის ეფექტით.



ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლე ლიზა ჯერარდინი (მონა ლიზა).
1452 წ. 77x53 სმ. ზეთი. ალვის ხის დაფა.





# ლეონარდო და ვინჩი

**„მე ცოდვილი ვარ ღმერთისა და კაცობრიობის წინაშე, რადგან ჩემი ნამუშევრები არ არის ისეთი ხარისხის, როგორისაც უნდა იყოს“.**

ლეონარდო და ვინჩი დიდი მხატვარი, მეცნიერი, ინჟინერი, მოაზროვნე და მუსიკოსი იყო. გასაოცარმა ნიჭიერებამ ეს ადამიანი რენესანსის სიმბოლოდ აქცია. ლეონარდომ საომარი ხელსაწყოებიც კი შექმნა. მის ჩანაწერებში უხვად წააწყდებით ტექნიკურ და ანატომიურ ჩანახატებს თუ მეცნიერულ ესკიზებს. თუმცა, საუკუნეების განმავლობაში ლეონარდოს ეს ჩანაწერები უცნობი იყო [illegible] კაცობრიობა მას მხოლოდ მხატვრად მიიჩნევდა.

## გამოგონებები

ლეონარდოს ყოველთვის აინტერესებდ… თუ როგორ მუშაობდა ესა თუ ის მექანი… მან თანამედროვეობის ყველა მექანიზმი… შეისწავლა და შემდეგ ახლები დააპროე… ლეონარდოს იდეები დროს წინ უსწრებდ… მას ისეთი მექანიზმები აქვს გამოგონილ… როგორებიცაა შვეულმფრენი, ტყვიამფრ… და ტანკიც კი.



„ადამიანი ვიტრუვიუსის მიხედვით“, ადამიანის პროპორციების ლეონარდოსეული ჩანახატი



ეს ორნიტოპტერის ლეონარდოსეული ჩანახატია. ორნიტოპტერი მექანიკური ფრთებით აღჭურვილი მფრინავი აპარატია.

## მოუხელთებელი იდუმალება

„მონა ლიზას“ სახელით ცნობილი ეს პორტრეტი თაობებს აღაფრთოვანებს. მიიჩნევენ, რომ პორტრეტი ლიზა ჯერარდინის ეკუთვნის, თუმცა ეს დადასტურებული არ არის. პორტრეტის ყველაზე დამაინტრიგებელი ელემენტი ამოუცნობი ღიმილია. აგრეთვე გაოცებას იწვევს პორტრეტის ფონი, სადაც ხიდს და მიხვეულ-მოხვეულ გზას ველური და დაუსახლებელი ადგილებისკენ მივყავართ.



ლეონარდომ სფუმატოს ტექნიკა გამოიგონა – სინათლე და ჩრდილი დახვეწილად გამოიყენა, ხოლო ტონები და ფერები გააბუნდოვანა („სფუმატო“ „ბდუნოვანს“ ნიშნავს). მხატვარმა ამ ტექნიკის საშუალებით მონა ლიზას ტუჩების კიდეები სახის კანში ბუნებრივად გადაიყვანა.



სფუმატოს ტექნიკითაა შესრულებული მონა ლიზას თვალებიც. წამწამები და წარბები არ ჩანს. ქალი მნახველს ნებისმიერი კუთხიდან შეხედვისას უყურებს – მნიშვნელობა არ აქვს, საიდან აკვირდები ამ შედევრს.



ლეონარდოს ზოგი ჩანაწერი და ესკიზი დედამიწისა და მთვარის ზომას და მზიდან… დაცილებას ეხება. ესკიზების გარშემო გაკეთებული ჩანაწერების წაკითხვა სარკ… საშუალებითაა შესაძლებელი.

## იან ვან ეიკი

ვან ეიკის ცხოვრების პირველი პერიოდის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. მხატვრის შესახებ ცნობები მხოლოდ 1432 წლის შემდეგ გვხვდება, როდესაც ის უკვე 42 წლის იყო.

*1395:* მხატვარი დაახლოებით ამ დროს დაიბადა სავარაუდოდ ჰოლანდიაში, მაასტრიხტის სიახლოვეს, მაასეიკში.

*1422:* მუშაობდა ჰააგაში, ჰოლანდიელი გრაფის კარზე.

*1425:* დასახლდა ბრიუგეში და ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე კეთილისთვის დაიწყო მუშაობა.

*1426:* გარდაიცვალა იანის ძმა, ასევე პატივცემული მხატვარი ჰუბერტი. იანი ჰუბერტთან ერთად გენტის ცნობილი საკურთხევლის მოხატვაზე მუშაობდა.

*1428-1429:* ბურგუნდიის ჰერცოგის დავალებით, პორტუგალიაში იმოგზაურა დიპლომატიური მისიით.

*1432:* დაასრულა გენტის საკურთხეველი.

*1433:* დაასრულა პორტრეტი „მამაკაცი ჩალმით“, რომელიც ავტოპორტრეტად ითვლება.

*1441:* გარდაიცვალა ბელგიაში, ქალაქ ბრიუგეში.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



**ილუსტრირებულმა ხელნაწერებმა.** იან ვან ეიკს ხელნაწერების ზუსტი სტილი და დეტალურობა იტაცებდა.



**მამაკაცი ჩალმით**
1433 წ. ზეთი. ხის დაფა

# იან ვან ეიკი

იან ვან ეიკი ძველი ჰოლანდიური სკოლის აღიარებული მხატვარია. მან აღიარება გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოიპოვა. იან ვან ეიკს ზეთის საღებავის „გამომგონებლად“ შეცდომით მიიჩნევენ, თუმცა სიპრიალის ტექნიკის შემოღება ნამდვილად ეკუთვნის. ამ ტექნიკის მეშვეობით მხატვარი მდიდრულ ფერებს ქმნიდა, შედეგად კი ნახატები სიღრმის შთაბეჭდილებას ტოვებს. იან ვან ეიკის შემოქმედებამ მრავალი მიმდინარეობის და ეროვნების მხატვარზე მოახდინა ზეგავლენა.

## კეთილდღეობის პორტრეტი

„არნოლფინების პორტრეტი“ (სრული სახელწოდებაა „ჯოვანი არნოლფინის და მისი ცოლის პორტრეტი“) ძველად ქორწილის ამსახველ ნახატად ითვლებოდა, თუმცა სპეციალისტები შეთანხმდნენ, რომ ეს უბრალოდ მდიდარი იტალიელი ვაჭრის და მისი მეუღლის პორტრეტია. ნახატზე შესაძლოა ვაჭრის ცოლის სიკვდილიც კი იყოს სიმბოლურად ასახული. ერთი შეხედვით, არნოლფინის ცოლი თითქოს ფეხმძიმედაა, მაგრამ ეს ასე არ არის – ტანსაცმლის ფორმა და კაბის კალთის ჭერის ასეთი მანერა უბრალოდ იმ დროის მოდა იყო.

სარკის გარშემო ქრისტეს ცხოვრების სცენებია გამოსახული.



კედლის მრგვალ სარკეში ოთახში შემომავალი ორი ფიგურა ირეკლება (როგორც ჩანს, ჯოვანი არნოლფინი ხელის აწევით სტუმრებს ესალმება).

მხატვარმა სარკის თავზე ორნამენტებიანი, მახვილგონივრული ხელნაწერი დატოვა, რომელიც ასე ითარგმნება: „იან ვან ეიკი აქ იყო 1434 წელს“.





**არნოლფინების პორტრეტი.** 1434 წ. 82x60 სმ. ზეთი. მუხის დაფა



ზოგის აზრით, ნახატის ყველა დეტალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სხვები მათში სიმბოლოებს ვერ ხედავენ. შენ რას ფიქრობ?



ჯოვანი არნოლფინის თავზე სანთელი ანთებულია, მისი მეუღლის თავზე – არა. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ქალბატონი არნოლფინი გარდაცვლილია.



ფორთოხალი ევროპაში ძალიან ძვირი ღირდა. გარ ამისა, ოჯახის სიმდიდრეზ დიდებული ტანისამოსი და მდიდრული ავეჯიც მიუთითებს.



პატარა ძაღლი ერთგულების სიმბოლოა. შინაური ძაღლის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა „იდო“ ნიშნავს: „მ ერთგული ვარ“.



სპეციალისტების აზრით, გახდილი საბოები მიუთითებს იმაზე, რომ ოთახი წმინდა ადგილია.

# როგორ გამოვიყენოთ ზეთის საღებავები



მაღალცხიმიანი ზეთი ისეთი მცენარეებისგან მზადდება, როგორიცაა სელი, ყაყაჩო და კაკალი. ასეთი ზეთი ჰაერზე გაჩერებისას მყარდება. გამყარებულ ზეთს პიგმენტებში ურევენ და ზეთის საღებავებს ამზადებენ. XV საუკუნის დასაწყისში იან ვან ეიკი (იხ. გვ. 36) ზეთის საღებავებისგან ფერების მდიდარ პალიტრას, სინათლესა და ჩრდილებს ქმნიდა, ხოლო როდესაც საღებავი შრებოდა, დეტალების დახვეწაც შესაძლებელი ხდებოდა. ზეთის საღებავები მხატვართა წრეში დღემდე ძალიან პოპულარულია.



## რემბრანდტის სტილი

ჰოლანდიელი მხატვარი რემბრანდტ ვან რეინი იმპასტოს ტექნიკას იყენებდა. იმპასტო იტალიური სიტყვაა და უხეში, თვალშისაცემი მონასმებით ხატვის ტექნიკას ნიშნავს.

## როგორ ვხატოთ რემბრანდტივით

რემბრანდტის ფერების მისაღებად ყვითელი და წითელი ჟანგმიწა, დამწვარი სიენა, დამწვარი უმბრა, თეთრი და შავი საღებავებია საჭირო.



**1** გადაჭიმულ ტილოზე ფონად მონითალო-მოყავისფრო საღებავი ფუნჯით გადაუსვი ერთი გვერდიდან მეორემდე და ზემოდან ქვემოთ.



**2** დიდი ზომის ფუნჯით ზეთის საღებავის სქელი ფენა აიღე და ტილოზე ფენა-ფენა გადაიტანე. ნახატის გამორჩეულ მონაკვეთებზე საღებავის მეტი ფენა და ასევე უფრო ღია და მკვეთრი ფერები უნდა დაიტანო.



**3** ნახატის ზოგიერთ მონაკვეთზე, სადაც საღებავის ძალიან სქელი ფენა დაადე, საღებავი ფუნჯით თავისუფლად მოურიე.

## ზეთის საღებავით ხატვის ისტორია

ზეთის საღებავი XV საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. მას შემდეგ მხატვრები ამ საღებავებით ექსპერიმენტებს მუდმივად ატარებდნენ.



1661-1662 წწ. რემბრანდტი ზეთის საღებავის სქელი ფენების დახმარებით სინათლისა და ჩრდილის ექსპრესიულ ეფექტს ქმნიდა.



1850-იანი წ. სერ ჯონ ევერეტ მილესი პრერაფაელიტთა საძმოს წევრი იყო. ეს ჯგუფი დეტალებს დიდ ყურადღებას აქცევდა, თუმცა, მოგვიანებით მათი სტილი უფრო თავისუფალი გახდა.



1871 წ. ჯეიმს მაკნეილ უისტლერმა დედის პორტრეტში მხოლოდ ნაცრისფრის და შავის ტონები გამოიყენა და შექმნა „ხელოვნებას ხელოვნებისთვის" – ნახატი ყოველგვარი მნიშვნელობის გარეშე.



1901 წ. დანიელი მხატვარი ვილჰელმ ჰამერშოი თეთრ ფერს და აგრეთვე ნაცრისფრისა და შავის ტონებს იყენებდა, რათა ინტერიერში სინათლისა და ჩრდილის ეფექტები მიეღო.

**ავტოპორტრეტი** (დეტალი).
დაახლ. 1665 წ. 114x94 სმ. ტილო. ზეთი.





რემბრანდტმა ეს ავტოპორტრეტი 50 წლის ასაკში დახატა. მხატვარს თავზე ჩალმა ახურავს.

## სპეციალური ეფექტები

რემბრანდტი იმპასტოს ტექნიკის გარდა შუქ-ჩრდილების ეფექტსა( იყენებდა. ნახატის კარგად განათებული მონაკვეთები (როგორიცაა სახე) დაჩრდილული მონაკვეთების (მაგალითად ტანსაცმლის) ფონზე მკვეთრ კონტრასტს ქმნის. ეს მეთოდი ნახ სიღრმეს აძლევს და ზოგიერთი დეტალი მკვეთრად გამოირჩევა.



რემბრანდტმა ჩალმა თეთრი საღებავის სქელი, ფართო მონასმებით დახატა.



1928 წ. ბრაზილიელი მხატვარი ტარსილა დო ამარალი ღია ფერებით მეტაფორულ გამოსახულებებს ხატავდა. ამის კარგი მაგალითია ნახატი „აბაპორუ".



1937-1945 წწ. ჩილეელი მხატვარი რობერტო მატა ზეთის საღებავების მეშვეობით „მექანიკურ", სიურრეალისტურ პეიზაჟებს ქმნიდა (იხ. გვ. 79).



1968 წ. ბერძენი მხატვარი იანის ცარუკისი ბუნებრივ ფერებს, რეალისტურ ჩრდილებს და ზუსტ პერსპექტივას იყენებს. ამის კარგი მაგალითია ნახატი „წელიწადის ოთხი დრო".

# ბავშვები მხატვრობაში

ნახატებზე გამოსახული ბავშვები ყოველთვის იმას აკეთებენ, რაც ყველაზე ძალიან უყვართ – თამაშობენ, სათამაშოებს ეხუტებიან, დღესასწაულისთვის ტანსაცმელს ირგებენ, მეგობრებთან ერთობიან ან ცხოველებს ეფერებიან.



**ლუკა, მინერვა და ევროპა ანგისოლები ჭადრაკს თამაშობენ**
სოფონისბა ანგისოლა
1555 წ. ტილო. ზეთი. ანგისოლა ოჯახს ხშირად ხატავდა. ამ ნახატზე დები ჭადრაკს თამაშობენ. ტანსაცმლის მორთულობა მათი ოჯახის სიმდიდრეზე მიუთითებს.



**დედა და რვა შვილი.**
იაკობ საიზენეგერი
1565 წ. ტილო. ზეთი. [illegible]



**ბავშვების თამაშები** (დეტალი).
პიტერ ბრეიგელ უფროსი
1560 წ. [illegible]



**მენინები** (დეტალი).
დიეგო ველასკესი
[illegible] წ. ტილო. ზეთი. ნახატი [illegible] (მენინებს). ამ ნახატზე [illegible] 4-5 წლისაა.

გაიგე მეტი! [illegible]



**დედა და ტყუპები.**
ჰენრი სპენსერ მური
1982 წ. ბრინჯაო. მური ხშირად ქმნიდა დედისა და შვილის ამსახველ აბსტრაქტულ ქანდაკებებს, თუმცა ტყუპები მხოლოდ ამ ქანდაკებაში გამოსახა.



[illegible]
[illegible] ფერნანდო ბოტერო
1959 წ. [illegible] ბოტეროს ნახატები სხეულის
[illegible] პროპორციებით გამოირჩევა, რაც მხიარულ და
[illegible] ქმნის.



**დღესასწაული.** კარლ ლარსონი
1895. ქაღალდი. აკვარელი. ლარსონმა მოთამაშე ბავშვების აკვარელებით შესრულებული ნახატებით გაითქვა სახელი. მხატვარს 8 შვილი ჰყავდა და მათ ხშირად ხატავდა.





**ბავშვი ჩიტებით.** კარელ აპელი
1950 წ. ტილო. ზეთი. [illegible]



**პატარა ბალერინა.** ედგარ დეგა
1921 წ. ბრინჯაო. [illegible]

**[...]ჟუნა ხვლიკებით.** ლაზარ სეგალი
[...] წ. ტილო. ზეთი. სეგალი გერმანიიდან ბრაზილიაში
[...]სახლების შემდეგ შთაბეჭდილებების ტყვეობაში
[...]ცა. ამ ტილოზე გამოსახული ბრაზილიელი ბიჭუნა
[...]იკებთან ერთად თამაშობს.

# ბაროკო (XVII საუკუნე)

ისტორია ასეთია...



ბაროკო XVII საუკუნის მხატვრობისა და არქიტექტურის სტილია. მას გრანდიოზულობა, დრამატულობა და ემოციურობა ახასიათებს. ბაროკოში მხოლოდ რელიგიური თემები არ გამოიყენება. ვხვდებით პორტრეტებს, პეიზაჟებს, მითებს, ყოველდღიური ცხოვრების სცენებს და ნატურმორტებს.

ათენის სკოლა (დეტალი). 1510-11 წწ. რაფაელი



XVI საუკუნის დასაწყისში რენესანსის მხატვრების შთაგონების წყარო ძველი საბერძნეთისა და რომის კლასიკური ოქროს ხანა იყო.

1520 წლიდან მოყოლებული მხატვრობის ახალი სტილი – მანიერიზმი შეიქმნა. მანიერისტებმა მაღალი რენესანსის სტილს ძლიერი ემოციურობა დაამატეს. ცნობილ მანიერისტებს შორის იყო იაკოპო კარუჩი, იგივე პონტორმო.

**მანიერიზმი**



მადონა და ყრმა ანგელოზებთან და წმინდანებთან ერთად, დაახლ. 1517-1518 წწ. ჯაპოკო კარუჩი (პონტორმო)

პაპი პიუს IV. 1586-1600 წწ. ბართოლომეო პასაროტი



XVI საუკუნის შუა ხანები. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები კათოლიკურ ეკლესიას გაემიჯნენ, პროტესტანტული სარწმუნოება მიიღეს და რელიგიური ნახატები აკრძალეს. კათოლიკურმა ეკლესიამ რეფორმაციის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყო და სამხრეთ ევროპაში რელიგიური მხატვრობის ნახალისებას მიჰყო ხელი.




დაახლოებით 1550 წ. გამოიგონეს კამერა ობსკურა. მხატვრები, მათ შორის იან ვერმეერი (იხ. გვ. 44) ამ მოწყობილობას ნახატების დაგეგმისთვის იყენებდნენ.

მუსიკის ალეგორია. დაახლ. 1595 წ.



XVII საუკუნის დასაწყისი. ბაროკოს სტილით ერთ-ერთი პირველი მხატვრები კარავაჯო და ანიბალე კარაჩი რომში მუშაობდნენ.

**კარავაჯო** (დაახლ. 1571-1610)

XVII საუკუნე. ახალგაზრდა დიდებულები ევროპაში კლასიკური განათლების მისაღებად მოგზაურობდნენ. ქალაქი რომი ხელოვანთა და მოგზაურთა თავშეყრის ადგილად იქცა.

The GRAND Tour



რომის პიაცა დელ პოპოლოს ხედი, დაახლ. 1700 წ. გასპარ ვან ვიტელი



1643-1715 წწ. საფრანგეთი „მეფე მზე" ლუი XIV-ის მმართველობისას ევროპის წამყვანი ქვეყანა გახდა. მეფე და მისი დიდებულები გრანდიოზულ ვერსალის სასახლეში ფუფუნებაში ცხოვრობდნენ.

# ბაროკოს მხატვრები ძირითადად ამ თემებზე ხატავდნენ:

## რელიგია



**ქრისტეს ღალატი** (დეტალი).
**ჯოვანი ფრანჩესკო ბარბიერი**
დაახლ. 1621 წ. ბარბიერის სიელმის გამო მეტსახელით, „გუერჩინოთი" (ელამი) იცნობენ. ის მკვეთრ ფერებს, საინტერესო განათებებს და ცენტრიდან დაშორებული კომპოზიციის მეთოდს იყენებდა და დრამატულ ნახატებს ქმნიდა.



**უმანკო ჩასახვა.**
**ბართოლომე მურილიო**
დაახლ. 1678 წ. ესპანელი მხატვარი მურილიო ძირითადად რელიგიურ ნახატებს ქმნიდა, მსუბუქ ფერებს იყენებდა და ფიგურებს სათნო გამომეტყველებას აძლევდა.



**დავითი გოლიათს კლავს.**
**პიეტრო და კორტონა**
XVII საუკუნე. მხატვარი და არქიტექტორი კორტონა იტალიაში მუშაობდა. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ბაროკოსთვის ტიპური დრამატიზმი.

## ნატურალიზმი



**ძიძა ბავშვით და გოგონა, რომელიც აკვანს ამზადებს. პიტერ დე ჰუხი**
XVII საუკუნე. იმდროინდელი ჰოლანდიელი მხატვრების ანალოგიურად, ჰუხი ყოველდღიური ცხოვრების სცენებს ხატავდა.



**ქალბატონი ენ სესილი.**
**სერ ანტონის ვან დეიკი**
დაახლ. 1630 წწ. ვან დეიკი ჰოლანდიაში დაიბადა. ის მთელ ევროპაში მოგზაურობდა და მდიდარი დიდებულების პორტრეტებს ხატავდა. ვან დეიკის პერსონაჟები ელეგანტურად და ამაყად გამოიყურებიან.



**საუზმე.**
**დიეგო ველასკესი**
1620 წ. ველასკესკის პერსონაჟები ყოველთვის რეალისტურად გამოიყურებიან. ველასკესი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ის კარის მხატვარი იყო და პორტრეტებს ხშირად შეკვეთით ხატავდა.

## კლასიციზმი



**იტალიის ტყიანი პეიზაჟი.**
**ნიკოლა პუსენი**
XVII საუკუნე. პუსენის შთაგონების წყარო ძველი ბერძნებისა და რომაელების ხელოვნება იყო. მხატვრის საუკეთესო ქმნილებები ტყეებითა და გორაკებით დამშვენებული, იდეალიზებული პეიზაჟებია.



**აქილევსი ჰექტორს ამარცხებს.**
**სერ პიტერ პაულ რუბენსი**
1630-1632 წწ. რუბენსი ჩრდილოეთ ევროპის სხვადასხვა მონარქისთვის მუშაობდა. მან უამრავი ნახატი შექმნა თითქმის ყველა პოპულარულ თემაზე.



**პორტი.**
**კლოდ ლორენი**
1648 წ. ფრანგ პეიზაჟისტ კლოდ ლორენს მსუბუქი, მოვარდისფრო ფერები უყვარდა. ის მოგზაურებს თავის ნახატებს სუვენირებად ატანდა და საკმაოდ მაღალ გასამრჯელოსაც იღებდა.

იან ვერმეერი

*1632:* დაიბადა ჰოლანდიაში, ქალაქ დელფტში.

*1653:* 21 წლისა წმინდა ლუკას გილდიაში (მხატვართა, მბეჭდავთა და მოქანდაკეთა გაერთიანებაში) გაწევრიანდა.

*1662:* აირჩიეს მხატვართა გილდიის თავმჯდომარედ.

*1665-1666:* დახატა „გოგონა მარგალიტის საყურით“.



*1672:* ჰოლანდია საფრანგეთმა დაიპყრო. შედეგად ეკონომიკა დაეცა, რაც ნახატების ბაზარზეც აისახა.

*1675:* ვალებში ჩავარდნილი და ყველასთვის უცნობი მხატვარი 43 წლისა გარდაიცვალა.

*1866:* ფრანგი კრიტიკოსის, თეოფილე თორეს ძალისხმევით ვერმეერის სახელი ცნობილი გახდა.

**ვინ მოახდინა ზეგავლენა?**



**პიტერ დე ჰუხმა,** რომელიც ვერმეერის თანამედროვე მხატვარი იყო და ძირითადად ყოველდღიური ცხოვრების სცენებს ხატავდა.



**ემანუელ დე ვიტეს** ეკლესიების ინტერიერის ამსახველმა მშვიდმა, ნათელმა ნამუშევრებმა.

# იან ვერმეერი



**მერძევე.** 1685 წ.
ვერმეერი ცნობილია ჟანრული ნახატებით, რომლებიც სასიამოვნო ოჯახურ ატმოსფეროს და ბუნებრივ სინათლეს გადმოსცემს.

„მან წარმოუდგენლად სრულყოფილი სამყარო შექმნა“.

*ხელოვნების ისტორიკოსი ვალტერ ლიდტკე*

იან ვერმეერი დღეს უკვე ძალიან დაფასებული მხატვარია, არადა სიცოცხლეში მშობლიური ქალაქის ფარგლებს გარეთ არავინ იცნობდა. აღიარება XIX საუკუნეში მოიპოვა. ვერმეერი მხოლოდ მხატვარი არ იყო. ხატვის პარალელურად ბევრს მუშაობდა, რათა ცოლი და თერთმეტი შვილი ერჩინა. მისი ნახატებიდან მხოლოდ 35 შემოგვრჩა.

## ნახატის ისტორია

„მხატვრობის ალეგორია“ სიმბოლური ნამუშევარია და ძველი ჰოლანდიის მხატვრობას ეხება. ნახატის მოდელი ისტორიის მუზა კლიოა, ხოლო XV საუკუნის ტანისამოსში გამოწყობილი მხატვარი შესაძლოა თავად ვერმეერი იყოს. როგორც ვერმეერის ყველა ნამუშევარი, „მხატვრობის ალეგორიაც“ მაღალი ხარისხის განათებით გამოირჩევა. ვერმეერი საღებავის პაწაწინა წერტილების მეშვეობით საგანზე სინათლის დაცემას ოსტატურად გამოხატავდა. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ვერმეერის ნახატების ზედაპირი „ერთად შეგროვებულ მარგალიტის ნამსხვრევებს“ შეადარა.



მხატვრისათვის რომ ხელოვნება ძალიან მნიშვნელოვანია, ამაზე სიმბოლურად მიუთითებს ის ფაქტი, რომ მხატვარი ამ მომენტში კლიოს გვირგვინს ხატავს.



კლიოს საყვირი მხატვრის დიდებისა და წარმატების სიმბოლოა. ისტორიის მუზა წიგნში გმირული საქმეების შესახებ წერს. ვერმეერი ალბათ გვეუბნება, რომ მხატვრობაში დაოსტატება ისეთივე გმირული საქციელია, როგორიც ბრძოლაში გამარჯვება.



## გაცოცხლებული ინტერიერი

ვერმეერის დახატული ოთახებიც ისეთივე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, როგორც ადამიანები. სპილენძის დახვეწილი ჭაღი ვერმეერისეული წერტილოვანი სინათლითაა განათებული, ფარდა ნახატს თეატრალურ ელფერს აძლევს, ხოლო იატაკის ფიგურები მნახველის მზერას ძირითადი მოქმედებისკენ მიაპყრობს.



მხატვრობის ალეგორია. დაახლ. 1666 წ. 120x100 სმ. ტილო. ზეთი



# ნატურმორტი

ნატურმორტებზე ძირითადად ხილს, ავეჯსა და ყვავილებს გამოსახავენ. XVII საუკუნის მხატვრები რეალისტურ ნატურმორტებს ქმნიდნენ, ხოლო მოგვიანებით ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყეს.



**მზესუმზირები.**
**ვინსენტ ვან გოგი**
1888 წ. ტილო. ზეთი.
ყვითელი წამყვანი ფერია ამ ნახატზე, რაც მხატვრისათვის ბედნიერების სიმბოლოა. მხატვარმა „მზესუმზირების" რამდენიმე ვერსია შექმნა. ზოგიერთი მათგანი საფრანგეთში, არლის „ყვითელ სახლში" გამოფინა, რომელსაც ვან გოგი ქირაობდა.



**ვანიტასი. სიმონ რენარ დე სენტ-ანდრე**
XVII საუკუნე. ტილო. ზეთი. ვანიტასი ალეგორიული ნატურმორტის ჟანრია, რომელიც XVII საუკუნის ჰოლანდიაში პოპულარობით სარგებლობდა. ვანიტასებზე ხშირად გამოისახებოდა ცხოვრების ხანმოკლეობის სიმბოლოები. მაგალითად, სენტ-ანდრეს ნახატზე ეს თავის ქალა სიკვდილის სიმბოლოა.

გაიგე მეტი!
ვინსენტ ვან გოგის შესახებ მეტს 64-ე გვერდზე შეიტყობ.



**ნატურმორტი ხილით სავსე თასით და ღვინის ჭიქით**
ძვ.წ. I საუკუნე. რომაული ფრესკა.
აქ ხილისა და ღვინის ჭიქის დიდი ფრესკის მხოლოდ ნაწილია მოცემული. ეს ფრესკა უძველეს რომაულ ქალაქ პომპეიში, ჯულია ფელიქსის სახლში აღმოაჩინეს.



**ნატურმორტი კალათით.**
**პოლ სეზანი**
1888-1890 წწ. ტილო. ზეთი. ნატურმორტზე გამოსახულია ხილით გადავსებული კალათი. სეზანმა ცხოვრების განმავლობაში ასობით ნატურმორტი დახატა.



**ძველი მოდელები.**
უილიამ მაიკლ ჰარნეტი
1892 წ. ტილო. ზეთი.



**ნატურმორტი ფაიფურის ლამპით.**
გაბრიელე მიუნტერი
1918 წ. ტილო. ზეთი. გერმანელი ექსპრესიონისტი მიუნტერი მხატვრობით ახალგაზრდობაში დაინტერესდა. ის მხატვართა ჯგუფ „ლურჯი მხედრის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ერთადერთი წევრი ქალი იყო.

გაიგე მეტი!
კუბიზმის შესახებ მეტს 69-ე გვერდზე შეიტყობ.





**გვალი მაგიდა.** ჟორჟ ბრაკი
29 წ. ტილო. ზეთი, ქვიშა და ნახშირი. ბრაკმა მრგვალი მაგიდის თემაზე მრავი ნატურმორტი შექმნა. ამ ნახატზე მაგიდა მხატვრის საყვარელი ნებითაა დაფარული. საგნები დანაწევრებულია, რასაც კუბიზმი ოდება. ბრაკი ქვიშის დახმარებით უცნაურ ფაქტურას ქმნიდა.

**კიანტის ბოთლი და თევზი.** ფიკრეტ მუალა
დაახლ. 1960 წ. ქაღალდი. გუაში. მუალას ძალიან უყვარდა გუაშის გარეფა გუმფისის გარკვეულ სახეობასთან. ასეთი საღებავი მას საშუალებას აძლევდა, ნატურმორტების ხატვისას სწრაფად ემუშავა.

# როკოკო (XVIII საუკუნე)

ევროპაში XVIII საუკუნის უმთავრეს მიმდინარეობას ხელოვნებაში როკოკოს უწოდებენ. სახელწოდება სავარაუდოდ ფრანგული სიტყვიდან „Rocaille" მოდის, რაც დეკორაციულ ხელოვნებას, კერძოდ კენჭებითა და ნიჟარებით შადრევნების მორთვას ნიშნავს.



რომში წმ. პეტრეს მოედანი ბაროკოს არქიტექტორმა – ჯანლორენცო ბერნინიმ დააპროექტა.



XVIII საუკუნეში...

XVIII საუკუნის მდიდარი დიდგვაროვნები და ხელოვნების მოყვარულები ევროპის გარშემო მოგზაურობდნენ და სუვენირებად ნახატებს ყიდულობდნენ.



ლუდვიგსბურგის სასახლე შტუტგარტთან ახლოს, გერმანიაში

30-ნლიანმა ომმა (1618-1648 წწ.) გერმანია გაანადგურა, მაგრამ XVIII საუკუნეში პრინცებმა ახალი სასახლეების აგება დაიწყეს. სამხრეთ ევროპაში ახალი ეკლესიების მშენებლობაც დაიწყო.

**მშენებლობა**

ევროპის დიდ ქალაქებში [illegible] აკადემიები შეიქმნა [illegible] მომზადებისა და მათი ნამუშევრების გამოფენის მიზნით. [illegible] და ხელოვნების [illegible] მოგვიანებით [illegible] ნამუშევრების საჯარო გალერეებადაც იქცა.



შემოდგომა ანუ ყურძნის მტევნები ალთქმული მიწიდან. 1660-1664 წწ. ნიკოლა პუსენი

როკოკო XVII საუკუნის ბაროკოს სტილის ზედმეტი დრამატულობისა და გრანდიოზულობის საწინააღმდეგო მიმდინარეობა იყო. როკოკოს მხატვრები დეტალურ პეიზაჟებს ქმნიდნენ, ხშირად თემად მითებს იყენებდნენ და ნახატებს სიმბოლოებით ტვირთავდნენ.

1715-1774 წლებში ფრანგი დიდებულები ვერსალის სასახლეში გადავიდნენ საცხოვრებლად, სახლები როკოკოს სტილში მორთეს და ექსტრავაგანტული ცხოვრებით ტკბებოდნენ.

**გალერეები**

ფრანგული აკადემიის გამოფენები ლუვრის სასახლეში იმართებოდა. 1737 წლიდან გამოფენებს „სალონი" ეწოდა. თავდაპირველად სამეფო ოჯახის კუთვნილი ნამუშევრები გამოფინეს, ხოლო 1793 წელს ლუვრი პირველ ეროვნულ საჯარო გალერეად გადაიქცა.



ლუვრის სასახლე



XVIII საუკუნის დასაწყისში ფრანგმა მხატვარმა, ვატომ როკოკოს სტილი მხატვრობაში შეიტანა. ვატო ზღაპრულ, პასტორალურ (სოფლის) ხედებს ხატავდა. მის მიერ დახატული, ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები თითქოს საკუთარი თავით ტკბებოდნენ.

ზეიმი ვატერ გარდენში. XVIII საუკუნე

**ჟან-ანტუან ვატო** (1648-1721)

# ხელოვანები მთელ ევროპაში როკოკოს სტილით ხატავდნენ.

## ფრანგული სკოლა



**ჩინური ქორწინება ანუ წვეულება ჩინეთის იმპერატორთან ერთად. ფრანსუა ბუშე**
დაახლ. 1742 წ. ბუშე საფრანგეთის სამეფო კარზე ძალიან პოპულარული იყო, რადგან მისი ნახატები დიდებულების სურვილებს კარგად გადმოსცემდა.



**საქანელა.**
**ჟან ონორე ფრაგონარი**
1767 წ. ფრაგონარი ნათელი, მხიარული და ბედნიერი ნახატებით როკოკოს სულს ნათლად გადმოგვცემს. მის ნახატებზე გამოსახული არისტოკრატები ერთობიან და ცხოვრებით ტკბებიან.

## იტალიური სკოლა

**ბუჩინტოროს დაბრუნება ამაღლების დღეს. კანალეტო**
XVIII საუკუნე. კანალეტომ ვენეციის არხებში გამართული ზეიმების გრანდიოზული სცენების ხატვით გაითქვა სახელი. ის ნახატებს მდიდარ მოგზაურებზე ყიდდა.





**ხარება.**
**ჯამბატისტა ტიეპოლო**
1732 წ. ტიეპოლო ძალიან მახვილგონიერი მხატვარი იყო და გასაოცარი ილუზიების შემქმნელი ფრესკებით გაითქვა სახელი.

## ცენტრალურ-ევროპული სკოლა



**ტაძრად მიყვანება.**
**ფრანც ანტონ მაულბერჩი**
XVIII საუკუნე. ავსტრიელი მაულბერჩი ევროპული ეკლესიებისა და შენობების კედლებზე ხატავდა.



**განკითხვის დღე** (დეტალი).
**იოჰან ბაპტისტ ციმერმანი**
1746-1754 წწ. ციმერმანის ნაწარმოებებიდან ყველაზე ცნობილია გერმანიაში ვისკირხეს ტაძრის ჭერის მოხატულობა.

## ბრიტანული სკოლა



**თანამედროვე ქორწინება: IV, გრაფინიას ბუდუარი.**
**უილიამ ჰოგარტი**
დაახლ. 1743 წ. ჰოგარტმა მახვილგონივრული ნახატების სერია შექმნა ქორწინების თემაზე. ამ სერიაში ექვსი ნახატი შედის.



**მისტერ და მისის ენდრიუსები.**
**ტომას გეინსბორო**
დაახლ. 1750 წ. გეინსბოროსთვის უამრავი მდიდარი ბრიტანელი პოზირებდა. მხატვარი პორტრეტებს ზოგჯერ პეიზაჟების ფონზე ხატავდა.

ფრანცისკო დე გოია

*1746:* დაიბადა ესპანეთში, სარაგოსას სიახლოვეს, ფუენდეტოდოსში, ოქრომჭედლის ოჯახში. ხატვა ადგილობრივ მხატვართან ისწავლა.

*1763:* 17 წლისა მადრიდში გადავიდა საცხოვრებლად. 1768-1771 წლებში იტალიაში სწავლობდა.

*1785:* მადრიდის სამეფო აკადემიაში ხატვის განყოფილების დირექტორის მოადგილე გახდა.

*1786:* დაინიშნა მეფის კარის მხატვრად, 1789 წელს კი სამეფო ოჯახის მთავარი მხატვარი გახდა.

*1808-1813:* სამეფო მხატვრის თანამდებობაზე ესპანეთის დამპყრობელ იოზეფ ბონაპარტის მმართველობაშიც განაგრძო მუშაობა.

*1814:* ესპანეთში მეფობის აღდგენის შემდეგ „1808 წლის 2 მაისი“ და „1808 წლის 3 მაისი“ დახატა.

*1824:* საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში დასახლდა და 1828 წელს იქვე გარდაიცვალა.

### ვინ მოახდინა ზეგავლენა?



გოია საკუთარ თავს რემბრანდტის (ავტოპორტრეტი ზემოთ), დიეგო ველასკესისა და ბუნების მოსწავლეს უწოდებდა.



# ფრანცისკო დე გოია

**„წარმოსახვა გონებასთან ერთად ყოველგვარი ხელოვნების სათავე და მისი მშვენიერების წყაროა“.**

გოია სხვადასხვა ჟანრის ნახატებს ხატავდა, თუმცა სიცოცხლეში პორტრეტებით გაითქვა სახელი (იხ. ავტოპორტრეტი ზემოთ, დაახლ. 1797-1800 წწ.). გოიას ნახატებით უამრავი ემოციის გადმოცემა შეეძლო. ის ხატვისას ფიზიკურადაც შრომობდა და დიდ ენერგიას ხარჯავდა: საღებავის ფენას ასქელებდა, ზედაპირს ღრუბლით ან კოვზით ამუშავებდა. ამავე დროს მსუბუქად დაჩრდილული ფენების დიდოსტატიც გახლდათ.
გოია რომანტიკული სულის ხელოვანი იყო. მას ადამიანები, მათი ბუნება და ქცევები და რელიგია აღაფრთოვანებდა.



ეს გრავიურია „კაპრიჩოს“ 80 გრავიურისგან შემდგარი სერიის 43-ე ნახატია. ეს სერია 1799 წელს გამოქვეყნდა. გრავიურები ძირითადად იმდროინდელ სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას ეხება.

**მძინარე გონება ბადებს ურჩხულებს**
1796-1798 წწ. გრავიურა



ცენტრალურ ფიგურას დანებების ნიშნად ხელები აქვს აწეული და შიშჩამდგარი თვალებით იყურება.



## რომანტიკული სული

გოიას ნამუშევრებში რომანტიზმის კვალი პირველად მოჩანს. მხატვარი ხშირად აღწერს სიზმრების სამყაროს და იდუმალ, წარმოსახვით ქმნილებებს ხატავს.





1808 წლის სამი მაისი
1814 წ. 265x345 სმ. ტილო. ზეთი

## სიკვდილი თავისუფლებისთვის

XIX საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის არმიამ ესპანეთი, გოიას სამშობლო დაიპყრო. 1808 წლის 2 მაისს მადრიდელი მოქალაქეები აჯანყდნენ. ფრანგმა ჯარისკაცებმა 3 მაისს ასობით აჯანყებული და უდანაშაულო მოქალაქე დახვრიტეს. გოიამ ამ საშინელების დახატვა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლო, როდესაც ესპანეთის მეფემ ტახტი დაიბრუნა.



უზარმაზარი ფანარი ღამის დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტას ნათელს ჰფენს.

გოიას სურდა ეჩვენებინა, რამდენად შემაძრწუნებელი და სისხლიანი იყო დასჯის პროცესი.



# როგორ გამოიყენება აკვარელი

აკვარელი წყალში იოლად ხსნადი პიგმენტის გარკვეული სახეობისგან მზადდება. აკვარელს თხელ ფენებად ადებენ სახატავ მასალაზე და თანდათანობით ნაზ ფერებს იღებენ. აკვარელის მთავარი ღირსება გამჭვირვალობა და სინათლის ილუზიის შექმნაა.



**განთიადი გემის დაღუპვის შემდეგ**
დაახლ. 1841 წ. ქაღალდი. აკვარელი. გრაფიტი. წითელი ცარცი

## თერნერის სტილი

ჯოზეფ თერნერი აკვარელით ხატვის რომანტიკული მიმდინარეობის ერთ-ერთი დიდოსტატი იყო. ის „სინათლის მხატვრის“ სახელით გახდა ცნობილი, ვინაიდან სხვადასხვა ამინდში ზღვასა და ცას გასაოცრად ეფექტურად ხატავდა.

## აკვარელით ხატვის ისტორია

აკვარელის გამოყენება ალბათ გამოქვაბულების მხატვრობის დროიდან იწყება, როდესაც პიგმენტებს წყალში ურევდნენ. აკვარელის სალებავი განსაკუთრებით პოპულარული რენესანსის ეპოქაში გახდა. მოყვარული მხატვრები მას დღესაც ხშირად იყენებენ.



## როგორ ვხატოთ თერნერივით

თერნერი იყენებდა ტექნიკას „სველი სველში“ – სველი ქაღალდის დიდ მონაკვეთს ერთმანეთში ნაზად გადასული ფერებით ფარავდა.



**1** ქაღალდი დაასველე.



**2** ფერი ფუნჯის თავისუფალი მოსმით დადე ქაღალდზე და რაც შეიძლება დიდ მონაკვეთზე გადლაბნე.



**3** შემდეგ ქაღალდზე სხვა ფერებიც დაამატე. ფერები ერთმანეთში გადავა.



**4** ფერის პატარა ლაქების მოსაცილებლად გამომშრალი პურის ნატეხი გამოდგება, ხოლო დიდი ფართობისთვის შეგიძლია ღრუბელი ან ნაჭერი გამოიყენო.



**XV** საუკუნე. ალბრეხტ დიურერი ერთ-ერთი პირველია, ვინც აკვარელით პეიზაჟების ხატვა დაიწყო. ამ ნახატზე ავსტრიის ინსბრუკის ციხესიმაგრეა გამოსახული.



**XIX** საუკუნე. თერნერმა ვენეცია სამჯერ მოინახულა, ასობით ჩანახატი გააკეთა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სრულფასოვანი ნახატები შექმნა.



**XIX** საუკუნე. დანტე გაბრიელ როზეტის ნახატი „არტურის საფლავი" ძველი იტალიელი მხატვრების მიბაძვის ნაყოფია. ფიგურები უცნაურად გამოიყურებიან და პერსპექტივაც დარღვეულია, რაც შუა საუკუნეების მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი.

აკვარელით ხატვის რამდენიმე ტექნიკა არსებობს. შეგვიძლია აკვარელის საღებავებით დაფარული ფონი გავაშროთ და შემდეგ ზემოდან ახალი ფერები დავადოთ, რათა გამოსახულებამ სიღრმე შეიძინოს. მხატვრები ზოგჯერ თეთრი საღებავის გამოყენების ნაცვლად ქაღალდის გარკვეულ მონაკვეთს ხელუხლებად ტოვებენ.

თერნერი აკვარელით ეტაპობრივად ხატავდა. თავდაპირველად ქაღალდის დიდ მონაკვეთებს საღებავის თხელი ფენით ფარავდა ფონის მისაღებად, შემდეგ შენობებისა და სხვადასხვა საგნის კონტურებს ხატავდა. საბოლოოდ შედარებით სქელი საღებავის ნაზი მონასმებით ნახატს აფერადებდა და დეტალებს უმატებდა.

იფიქრე, რა ეფექტები შეგიძლია მიიღო აკვარელით. სცადე ფერების შერევა „სველი სველში" მეთოდით და ნახე, რა მოხდება.



არხი არსენალთან, ვენეცია. XIX საუკუნე. წყლის საღებავები. ქაღალდი



XX საუკუნე. ჯონ სინგერ სარგენტი ნახატში „ბედუინები" სახეებს დეტალურად გადმოსცემს, ტანსაცმელი კი თავისუფალი მონასმებით აქვს შესრულებული.



XX საუკუნე. მილდრედ ბატლერი აკვარელით მშობლიური ირლანდიის პეიზაჟებს ხშირად ხატავდა.



XX საუკუნე. ჩინელი მხატვარი ქი ბაიში დიდ ფუნჯებს იყენებდა და ფიგურებს სწრაფი, ენერგიული მონასმებით ხატავდა.



XX საუკუნე. რაულ დიუფის „ცხენები და ჟოკეიები ხე-ქვეშ" მხატვრის ტიპური ნამუშევარია, რომელზეც აკვარელის საღებავები ფონადაა დადებული და დე[...] ზემოდან შესრულებული მარტივი მონასმებით იკვე[...]

ამ ნახატის კუთხეში კალიგრაფიული სიმბოლოების შტამპია. ასე ანერდნენ თავიანთ სახელს იაპონელი მხატვრები ნამუშევრებზე. ჰოკუსაიმ კარიერის განმავლობაში 20-ზე მეტი სახელი გამოიყენა.



**კანაგავას დიდი ტალღა**
1829-1833 წწ. 25,9x37,2 სმ.
ფერადი გრავიურა ხეზე




## გრავიურის გაკეთება ხეზე

იცოდი, რომ ხეზე გაკეთებული უძველესი გრავიურები 2000 წლისაა და ძველ ჩინეთში დაახლოებით 220 წელს შეიქმნა? საოცარია, მაგრამ გრავიურების გაკეთების ტექნიკა დღემდე არ შეცვლილა.



ნახატს ხის დაფაზე სარკულად ხატავენ.



მონაკვეთებს, სადაც გამოსახულება თეთრი უნდა იყოს, საჭრისით ამუშავებენ.



მონაკვეთებს, სადაც გრავიურა ფერადი უნდა იყოს, ამოწეულს ტოვებენ.





ᲒᲔᲘᲨᲔᲑᲘ
დაახლ. 1780 წ.

# კაცუსიკა ჰოკუსაი

კაცუსიკა ჰოკუსაიმ XIX საუკუნის იაპონურ მხატვრობაში გადატრიალება მოახდინა. ის ხეზე გრავიურებს ქმნიდა, თუმცა სამურაების, გეიშებისა და დიდებულების ნაცვლად, იმდროინდელი იაპონელი მხატვრებისგან განსხვავებით, პეიზაჟებსა და სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებას ხატავდა. თანაც ყოველთვის ცდილობდა, რომ თვისი ნახატებით რეალიზმი, პერსპექტივა და მოძრაობა გადმოეცა, რასაც ადასტურებს მისი ცნობილი გრავიურა „კანაგავას დიდი ტალღა“. ამ გრავიურის ასლები მთელ მსოფლიოში გაიყიდა და უამრავი მხატვრისა თუ დიზაინერის შემოქმედებაზე აისახა.

მეთევზეებს ახლად დაჭერილი თევზი სოფლიდან ედოს (დღევანდელი ტოკიოს) ბაზრებზე მიაქვთ, მაგრამ ოკეანის მძლავრი ტალღების ტყვეობაში ხვდებიან. უდიდესი ტალღა სამივე ნავს ჩაძირვას უქადის. როგორ ფიქრობ, რას გრძნობენ მეთევზეები? ეშინიათ? იქნებ დარწმუნებულნი არიან, რომ როგორც ადრე, ამჯერადაც დაძლევენ საშიშროებას?

ჰოკუსაის ხეზე გრავიურების კეთება იტაცებდა. მან სიცოცხლეში დაახლოებით 30000 გრავიურა შექმნა, თუმცა სიცოცხლის ბოლოს მაინც ფიქრობდა, რომ მეტიც შეეძლო. ერთ-ერთ უკანასკნელ ნამუშევარს ჰოკუსაის ასეთი წარწერა აქვს: „ხელოვნებით გაგიჟებული მოხუცი კაცი“.

## ფუძიამა

„დიდი ტალღა“ გრავიურების სერიიდან „ფუძიამას 36 ხედი“ (1829-1833) ერთ-ერთია. ამ გრავიურის უკანა ფონზე გამოსახული ფუძიამა დიდი ტალღებით არის გარშემორტყმული, წინა პლანზე გამოსახული პატარა ტალღა მთის ფორმას იმეორებს.



გამოსახულების ამოწეული მონაკვეთებს საბეჭდი საღებავით ფარავენ და შემდეგ ქაღალდზე გადააქვთ.



თითოეული ფერისთვის სხვადასხვა ბლოკი მზადდება და ასლების გასაკეთებლად გამოიყენება.



ფუძიამა იაპონიის უმაღლესი მწვერვალია და მითების თანახმად, უკვდავების წყარო და ღმერთების სახლია.

კაცუსიკა ჰოკუს

*1760:* დაიბადა იაპონიაში, ედოში (დღევანდელ ტოკიო

*1775:* დაიწყო ხეზე გრავიურის გაკეთებ შესწავლა.

*1778:* კაცუკავა სიუნ სახელოსნოში მივიდ

*1797:* მიიღო სახელი ჰოკუსაი ტომისა, დაიწყო ფუნჯით ხატვა და წიგნების ილუსტრირება.

*1814:* შექმნა ჩანახატების სერია „ჰოკუსაი მანგა“.

*1824-1830:* შექმნა უამრავი ცნობილი ნახატი, მათ შორის პეიზაჟები.

*1849:* გარდაიცვალა დაკრძალეს ტოკიოს სეიკუოჯის ტაძარში

რამ მოახდინა ზეგავლენა?



ᲩᲘᲜᲣᲠᲛᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ
ჩინურ ნახატებზე პეიზაჟები 1500 წლის განმავლობაში გამოისახებოდა.



ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡ
პერსპექტივამ და რეალისტურმა ჩრდ

# თანამედროვე ხელოვნება

1850 წლიდან დღემდე



თანამედროვე მხატვრები სიუჟეტს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და უფრო შემოქმედებითი პროცესით ინტერესდებიან. მათი მიზანი იდეებისა და ემოციების გადმოცემაა.



# იმპრესიონიზმი

XIX საუკუნის 60-იანი წლების საფრანგეთში მხატვრობა ძირფესვიანად შეიცვალა, როდესაც მხატვართა ერთმა ჯგუფმა „იმპრესიონიზმი“ გამოიგონა. ეს ახალი მიდგომა „შთაბეჭდილების“ ანუ მოცემულ მომენტში დანახულის გადმოცემას გულისხმობს. ნახატის შექმნის პროცესი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სიუჟეტი. იმპრესიონისტებმა სამხატვრო აკადემიები ვერ დააინტერესეს და ამიტომ კერძო გამოფენების ჩატარება დაიწყეს.



## როგორ მოხდა ეს?



XIX საუკუნის 40-იან წლებში ალუმინის ტუბში შენახული, შერეული და უკვე გამზადებული სალებავის ყიდვა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ეს ნიშნავდა, რომ მხატვრებს ბუნებრივ პირობებში ხატვა და განათების თუ ამინდის პირობების გადმოცემა უკეთესად შეეძლოთ.



მონავარდე ცხენი. 1887 წ. იდვირდ მაიბრიჯი

XIX საუკუნის 50-იან წლებში დაახლოებით 10 წლით ადრე გამოგონებული ფოტოგრაფია დაიხვეწა და მოდური გახდა. უკვე ხერხდებოდა მოძრავ ფოტოსურათებზე ცხოველების და ადამიანების მოძრაობის დაფიქსირებაც. მხატვრებმა ტექნიკური მიღწევები გამოიყენეს და კომპოზიციისა და ნახატის სიზუსტის საკითხი ახლებურად გაიაზრეს.



ბრაკონიერები თოვლში. 1867 წ. გუსტავ კურბე

XIX საუკუნის 50-იან წლებში გუსტავ კურბემ და სხვა მხატვრებმა სოფლისა და მშრომელი ადამიანების ცხოვრების რეალისტური სცენების ხატვა დაიწყეს. ისინი არც ერთ დეტალს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ. სამხატვრო აკადემიებში კი კვლავ ისტორიულ, რელიგიურ და მითოლოგიურ თემებზე შექმნილ ნამუშევრებს ანიჭებდნენ უპირატესობას და ახალ მიმდინარეობას არ იწონებდნენ. კურბე რეალიზმის მთავარი წარმომადგენელი გახდა. მისი თანამედროვე სტილი გულწრფელი და სენტიმენტალურობას მოკლებულია. რეალისტურმა მოძრაობამ ევროპაში სწრაფად მოიკიდა ფეხი.

**ნამდვილი ცხოვრება**

XIX საუკუნის 60-იან წლებში ედუარდ მანემ ხატვის ახალი მეთოდი მოიფიქრა და მკვეთრი მონასმებით ხატვა დაიწყო. ამ მეთოდმა მანე თანამედროვე მხატვრობის ერთ-ერთ ფუძემდებლად აქცია.

**ხილული მონასმები**



ქალი ქოლგით. 1881 წ. ედუარდ მანე



დედილო ენტონის ტავერნა. 1886 წ. პიერ-ოგიუსტ რენუარი

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში ფრანგი იმპრესიონისტების ჯგუფი პარიზის კაფეებში მუდმივად იკრიბებოდა და ახალ იდეებსა და ტექნიკაზე ბჭობდა. იმპრესიონისტები ხშირად კაფეებსაც ხატავდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იაპონური გრავიურები (იხ. გვ. 54) ევროპაშიც გახდა პოპულარული. გრავიურების სითამამემ და უბრალოებამ იმპრესიონისტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით საინტერესო იყო პერსპექტივის არარსებობა და დაჩრდილვის ტექნიკა.

# იმპრესიონიზმი საფრანგეთში ჩაისახა და მალე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

## ფრანგული იმპრესიონიზმი



**შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა.**
**კლოდ მონე**
1873 წ. მხატვრობის ახალ სტილს „იმპრესიონიზმი“ ხელოვნების კრიტიკოსმა შერქვა, როდესაც ჯგუფის ერთ-ერთ პირველ გამოფენაზე მონეს ეს ნახატი იხილა.



**ცეკვის გაკვეთილი.**
**ედგარ დეგა**
დაახლ. 1873-1876 წწ.
დეგამ იმპრესიონისტების გაცნობის შემდეგ რეალისტური სცენების ხატვა დაიწყო. ქმნიდა ისეთ ნახატებს, როგორიცაა ბალეტის გაკვეთილი, კაფეების ხალხით სავსე ინტერიერი, მშრომელი ადამიანები და ა.შ.



**თოვლი ლუვესიენში.**
**ალფრედ სისლეი**
1875 წ. სისლეი ძირითადად პეიზაჟებს ხატავდა. მისი ნახატები მსუბუქი მონასმებით და გაუზავებელი, სუფთა ფერებითაა შესრულებული, რაც იმპრესიონისტებისთვისაა დამახასიათებელი.



**ცეკვა „მულენ დე ლა გალეტში“.**
**პიერ-ოგიუსტ რენუარი**
1876 წ. რენუარის ამ ნახატზე ღია ცის ქვეშ შეკრებილი ადამიანები ერთობიან, ხეებიდან მზის სინათლე გამოსჭვივის. რენუარის ტიპური ნამუშევარი ჭეშმარიტად იმპრესიონისტულია. რენუარმა მოგვიანებით ექსპერიმენტებსაც მიმართა. მხატვარმა ცხოვრების განმავლობაში 6000-მდე ნახატი დახატა.



**ალუბლის მკრეფავი.**
**ბერტა მორიზო**
1891 წ. მორისო პირველი ქალი იმპრესიონისტი იყო. მკვეთრი ფერებით ის ხშირად ხატავდა ქალებსა და ოჯახური ცხოვრების სცენებს.



**ფერმა ოსნიში.**
**კამილ პისარო**
1883 წ. ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული იმპრესიონისტი მხატვარი პისარო ბუნებაში ხატვას ასწავლიდა და საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა დამწყებ მხატვრებზე.

## საფრანგეთის გარეთ



**ეტაპლის სანაპირო.**
**ფილიპ უილსონ სტეერი**
1887 წ. ბრიტანელი მხატვარი სტეერი იმპრესიონისტული სტილით ხატავდა და ზღვის პეიზაჟებსა თუ სანაპიროს ამსახველ სცენებზე განათების ეფექტებს იყენებდა.



**გაქცევა!**
**ტომ რობერტსი**
1891 წ. რობერტსმა იმპრესიონიზმი ავსტრალიაში შეიტანა. ის ძირითადად პეიზაჟებს, პორტრეტებს, სოფლის ცხოვრებას და ისტორიულ სცენებს ხატავდა.



**შოულზის კუნძულები.**
**ჩილდე ჰასამი**
1906 წ. ამერიკელი იმპრესიონისტი ჰასამი ზაფხულს ნიუ-ჰემფშირის სანაპიროებზე ხშირად ატარებდა და მის პეიზაჟებს ხატავდა.

კლოდ მონე

*1840:* დაიბადა პარიზში, და შემდეგ ქალაქ ლე ავრში ალიზარდა.

*1859:* 19 წლისამ პარიზის სუისის აკადემიაში დაიწყო ხატვის შესწავლა.

*1861-1862:* არმიაში გაიწვიეს და სამსახური აფრიკაში, ალჟირში გაიარა.

*1870-1871:* 30 წლისა მეუღლე კამილთან ერთად ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად. ამ დროს საფრანგეთ-პრუსიის ომი მიმდინარეობდა.

*1873:* პარიზში დახატა „შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“ (იხ. გვ. 59).

*1883:* დასახლდა გივერნში, პარიზიდან 65 კმ მანძილზე.

*1903:* მხედველობა დააკლდა, თუმცა, ხატვისთვის თავი არ დაუნებებია.

*1926:* გარდაიცვალა 86 წლის ასაკში. ერთი წლის შემდეგ სერია „დუმფარები“ პარიზის ორანჟერეაში გადაიტანეს და საჯაროდ გამოფინეს.

## ვინ მოახდინა ზეგავლენა?



**იოჰან იონგკინდმა**
მონეს ბუნებრივი განათების ეფექტებზე დაკვირვება ასწავლა.



**ედუარდ მანემ** თამამი მონასმებითა და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი სცენებით მონეზე დიდი გავლენა იქონია.

# კლოდ მონე



„ჩემი ბაღი ჩემ მიერ შექმნილი ყველაზე მშვენიერი შედევრია“.

მონე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრანგი იმპრესიონისტია. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში ამბობდა, რომ მისი სახელოსნო ბუნება იყო. მონე ნახატებით სინათლის ცვალებადობის ასახვას ცდილობდა, რისთვისაც ერთსა და იმავე სცენას დღის სხვადასხვა მონაკვეთში ხატავდა. მზის მოძრაობასთან ერთად მხატვარი ტილოებს ცვლიდა – ერთი ტილოდან მეორეზე გადადიოდა, მეორე დღეს კი ხატვას ისევ პირველი ტილოდან იწყებდა.





## შემოქმედება დიდი მასშტაბებით

1916 წელს მონემ სახელოსნო მოაწყო და რამდენიმე დიდ ტილოზე დაიწყო მუშაობა. თითოეული ტილო დაახლოებით 4 მ სიგანის იყო. მონეს სურდა, მისი კუთვნილი ალმოსავლური ბაღი კედლის მხატვრობაში გაეცოცხლებინა.



**დუმფარებიანი გუბურა: ვარდისფერი ჰარმონია**
1900 წ. ტილო. ზეთი
რით ჰგავს ეს ნახატი „მწვანე ჰარმონიას“? რა განსხვავებაა? „ვარდისფერი ჰარმონია“ ზაფხულში შეიქმნა.



**იაპონური ხიდი**
1918 წ. ტილო. ზეთი
მონეს ფართო, მკვეთრი მონასმები და ღია ფერები მხედველობის გაუარესების შედეგია.



გუბურის ერთ-ერთი ჩანახატი. დუმფარები მენამული ფანქრითაა შესრულებული.

## აღმოსავლური ბაღი

1893 წელს მონემ ჟივერნის სიახლოვეს, გზის პირას მიწის ნაკვეთი შეიძინა, გუბურა ამოთხარა, ხეები და ყვავილები დარგო და იაპონური ხიდი ააშენა. მომდევნო 25 წლის განმავლობაში მხატვარმა ბაღში აყვავებული დუმფარების დაახლოებით 250 ნახატი დახატა. 10 ტილოზე ხიდი და გუბურა სხვადასხვაგვარი განათების პირობებში აქვს გამოსახული.



**დუმფარებიანი გუბურა: მწვანე ჰარმონია.** 1899 წ. 88,3x93,1 სმ. ტილო. ზეთი

# როგორ იხატება პასტელებით



პასტელი კაუჩუკის ან გუმფისის მსგავს შემკვრელ ნივთიერებასთან შეზავებული, დაფხვნილი პიგმენტისგან დამზადებული ფერადი „ჯოხია“. პასტელს პირდაპირ ქაღალდზე უსვამენ. მას გაშრობა არ სჭირდება.

## როგორ ვხატოთ პასტელით?

პასტელებით უამრავი ეფექტის მიღება შეიძლება, მათ შორის – ფერების შერევა და დაშტრიხვა. მარი კასატი სწორედ ამგვარ ტექნიკას იყენებდა.



**1** ნახშირით (ან ფანქრით) ქაღალდზე მკრთალი ესკიზი დახატე, ისე რომ ხაზები ძალიან არ გამუქდეს.



**2** პასტელების თავისუფალი, სწრაფი მოსმით ფერების პირველი ფენა დაადე.



**3** ქაღალდს კაზეინის ფიქსატორი მიასხურე. კაზეინი რძის ხსნარია, რომელიც პასტელებს გადღაბნვნისგან იცავს.



**4** ასევე თავისუფალი, სწრაფი მოსმით პასტელის შემდეგი ფენა დაადე. ამ მეთოდს ფერების ფენების დადება ეწოდება.



**ქალები ბავშვებს ეალერსებიან.** 1997 წ.
ქაღალდი. პასტელი

## მარი კასატის სტილი

ამერიკელმა მხატვარმა მარი კასატმა ცხოვრების დიდი ნაწილი საფრანგეთში გაატარა. XIX საუკუნის 80-იან წლებში კასატი იმპრესიონისტებს შეხვდა და განათების ეფექტის გამოყენებით წარმავალი, მყისიერი მომენტების ხატვა დაიწყო. კასატი პასტელების თავისუფალი, მკვეთრი მონასმებით ხატავდა, ხოლო ნახატის კიდეებს ბუნდოვანს ტოვებდა, რათა მოძრაობის განცდა არ დაკარგულიყო. კასატი ფერებს ფენებად ადებდა, თუმცა საბოლოოდ ერთ ფერს იღებდა.

### ჰკითხე საკუთარ თავს

ნარმოიდგინე, რომ მეგობრის დახატვა გსურს. რას ჩააცმევ? რას დააჭერინებ ხელში? როგორ გარემოში გადაწყვეტ მის დახატვას?

## პასტელებით ატვის ისტორია

შრალი პიგმენტებით შექმნილი ამოსახულებები პრეისტორიულ ანაშიც გვხვდება. უშუალოდ ასტელი რენესანსის ეპოქიდან ამოიყენება.



1499 წ. ლეონარდო და ვინჩიმ მდიდარი იტალიელი ქალბატონის — იზაბელ დ'ესტეს პორტრეტის მოსამზადებელ ესკიზზე ტანსაცმელი ყვითელი პასტელით დახატა.



1748 წ. მორის-კვენტინ დე ლა ტურმა მეფე ლუი XV-ის პორტრეტს სხვადასხვა ქსოვილის ტანსაცმელი პასტელებით „ჩააცვა“.



1771 წ. ჟან-სიმონ შარდენმა XVIII საუკუნის 70-იან წლებში პასტელებით პორტრეტების ხატვა დაიწყო. შარდენს გამოცდილება არ ჰქონია, მაგრამ პასტელით ბრწყინვალედ ხატავდა.



კასატის საყვარელი თემა ქალები და ბავშვები იყო. მის მიერ დახატული ქალები ძირითადად კითხულობენ, ქსოვენ, წერილებს წერენ, ჩაის სვამენ ან რაიმე საოჯახო საქმიანობით არიან დაკავებულნი. კასატის ნახატებზე XIX საუკუნის მინურულის ბავშვებისა და ქალების ცხოვრება კარგად ჩანს.



პასტელი სხვადასხვანაირად შეგიძლია დაიჭირო. პასტელის გვერდულად წასმა ფერს დიდ მონაკვეთზე გაავრცელებს.

**ელსი კასატი დიდი ძაღლით ხელში**

დაახლ. 1880 წ.
63,5x52,1სმ. ქაღალდი. პასტელი



XIX საუკუნის მეორე ნახევარი. ედგარ დეგა პასტელებით მოძრაობისა და განათების ეფექტს იმპრესიონისტულ სტილში ქმნიდა.



დაახლ. 1880 წ. ამერიკელი იმპრესიონისტი მარი კასატი სწრაფი მონასმებისა და ფერადი პასტელების ფენების დადებით ხატავდა.



1902 წ. სტანისლავ ვისპანსკის ზეთის საღებავზე ალერგია ჰქონდა, ამიტომ პოლონეთის პეიზაჟებსა და პორტრეტებს პასტელებით ხატავდა.



2007 წ. მხატვარი დანიელ გრინი პორტრეტებისა და ნატურმორტების დასახატად პასტელებს იყენებს. გამოსახულ ნატურმორტს ჰქვია „ჭადრაკის მწვანე დაფები, ბუშტები და სამიზნეები".

## ვინსენტ ვან გოგი

*1853:* დაიბადა ჰოლანდიაში, ქალაქ ზუნდერტში.

*1869:* მუშაობდა ნახატებით ვაჭრობის საერთაშორისო კომპანიაში „გუპილი და კომპანია". 7 წლის შემდეგ სამსახურიდან გაუშვეს.

*1878:* ბელგიელ მეშახტეებთან მისიონერად გაგზავნეს.

*1886:* პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. იქ ძმასთან ერთად ცხოვრობდა და იმპრესიონისტებს ხვდებოდა.

*1888:* დასახლდა საფრანგეთის სამხრეთით, ქალაქ არლში. ოცნებობდა მხატვართა საზოგადოების შექმნაზე.

*1889:* გადაწყვიტა სენ-რემის თავშესაფარში ნასულიყო, სადაც დახატა „ვარსკვლავებიანი ღამე" (იხ. გვ. 66)

*1890:* 37 წლისამ თავი მოიკლა.

# ვინსენტ ვან გოგი

„მე მუშაობისთვის საკუთარ სიცოცხლეს ვრისკავ და ჩემი გონებაც ნახევრად მკვდარია".

ვინსენტ ვან გოგმა ხატვა 27 წლისამ თვითონ ისწავლა და შემდეგ მთელი ცხოვრების განმავლობაში ოსტატობას ხვეწდა. მხატვარმა ტექნიკის სრულყოფისთვის ავტოპორტრეტების ხატვა დაიწყო – სარკე იყიდა და საკუთარი თავი 30-ზე მეტჯერ გამოსახა.

## პრაქტიკა სრულყოფილების საფუძველია - ავტოპორტრეტები



1886 წლის შემოდგომა. ვან გოგი იმპრესიონისტებთან შეხვედრამდე მუქი ფერებით ხატავდა.



1887 წლის ზაფხული. ამჯერად ვან გოგი ღია, ცოცხალი ფერებით ხატავს და მოკლე მონასმებს იყენებს.



1888 წლის ზამთარი. მხატვარი უკვე არ ღალატობს ფერად სტილს და არლში საცხოვრებლად გადასული მხატვრების სკოლის შექმნაზე ოცნებობს.



1889 წლის იანვარი. ვან გოგს ფსიქიკური აშლილობის ნიშნები ეტყობა. ახლო მეგობარ გოგენთან საშინელი ჩხუბის შემდეგ მან ყურის ნაწილი მოიჭრა.



1889 წლის შემოდგომა. ფსიქიკური აშლილობით დატანჯული მხატვარი თავშესაფარში მოხვდა. ამ პერიოდში ხვეული, ერთმანეთში ჩაწნილი მონასმებით დაიწყო ხატვა.

## ვინ მოახდინა ზეგავლენა?



**პოლ გოგენმა,** რომელიც ვან გოგის მეგობარი იყო, არლში მასთან ერთად ცხოვრობდა და მუშაობდა.



**ჟან-ფრანსუა მილესის** ნახატებმა, რომლებზეც მინდვრებში მომუშავე ადამიანები იყო გამოსახული.

## წარმოიდგინე, რომ შეგეძლოს ამ ნახატში სეირნობა...

ვან გოგის ერთ-ერთ უსაყვარლეს ნახატზე არლის ყვითელი სახლის საწოლი ოთახია გამოსახული. ეს ნახატი დრამატული ფერებითაა შესრულებული. რეალურ ოთახში ავეჯი თითქმის არ ყოფილა, თუმცა მხატვარმა საკუთარი თავისა და გოგენისთვის ორი სკამი დაამატა და კედლებზეც საკუთარი ნამუშევრები გამოფინა. აქ მოცემული ნახატი სამი ვერსიიდან პირველია.

ვან გოგი ზეთის სქელ საღებავს პირდაპირ ტუბიდან ადებდა ან სქელი ფუნჯით ხატავდა.





მხატვარმა სიუარდ ჯონსონმა ვან გოგის ნახატი ამერიკული მუზეუმისთვის გააცოცხლა. იქ შენ შეგიძლია ნებისმიერ საგანს შეეხო და საწოლზე ან სკამზე ჩამოჯდე კიდეც.

### სცადე ავტოპორტრეტის დახატვა

წინ სარკე დაიდე, დახატე შენი თავი და გააფერადე.



10 წლის იასონის ნახატი

**ავტოპორტრეტი ფეტრის ქუდით.** 1887 წ. 44x37,5 სმ. ტილო. ზეთი



# ღამე მხატვრობაში

ღამის ამსახველი ნახატები სხვადასხვაგვარ განწყობას ქმნის. ზოგი ნახატი მარტოობასა და შიშს გადმოგვცემს, ხოლო სხვა ნახატებზე უფრო ბედნიერი სცენებია გამოსახული, მაგალითად ცეკვა და დღესასწაულები.



ცეკვა.
პოლა რეგო
1988 წ. ქაღალდი. აკრილი. რეგოს ეს ნახატი პორტუგალიაში გატარებული ბავშვობის ანარეკლია. ნახატი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს გვიჩვენებს – მასზე გამოსახულნი არიან ბავშვებიც და მოხუცებიც.



**ვარსკვლავებიანი ღამე. ვინსენტ ვან გოგი**
1889 წ. ტილო. ზეთი. ვინსენტ ვან გოგმა ეს ნახატი თავშესაფარში ყოფნისას დახატა. სიცოცხლის წლებში მან ძალიან ცოტა ნახატი გაყიდა. მისი სიკვდილის შემდეგ ეს ნახატი თანამედროვე კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობად ნიმუშად იქცა.

**გაიგე მეტი!**
ვინსენტ ვან გოგის შესახებ მეტს 64-ე გვერდზე შეიტყობ.



**კაფე. ედვარდ ჰოპერი**
1927 წ. ტილო. ზეთი. ჰოპერის ბევრ ნახატზე მარტოსული ადამიანები არიან გამოსახულნი. ამ ნახატზე ქალი მყუდრო კაფეში მარტო ზის და ყავას სვამს. გარეთ ღამეა, ქუდი და პალტო სიცივეზე მიუთითებს.



**მიხაკი, შროშანი, შროშანი, ვარდი.**
**ჯონ სინგერ სარგენტი**
1885-1886 წწ. ტილო. ზეთი. სარგენტმა ერთ საღამოს მეგობართან სტუმრობისას იაპონური ფანრების ანთებით გართული ბავშვების დახატვა გადაწყვიტა.



**კრეოლების ცეკვა.**
**პედრო ფიგარი**
1927 წლამდე. მუყაო. ზეთი. კრეოლების ცეკვა ტრადიციულად ლათინურ ამერიკაში სრულდება. ურუგვაელი მხატვარი ფიგარი ადგილობრივების ცხოვრების ამსახველ სცენებს, მათ შორის – ღამეულ ცეკვებს ხშირად ხატავდა.





**ცერემონია მთვარის შუქზე.**
**უცნობი მხატვარი**
2004 წ. ტილო. ზეთი. ამ თანამედროვე ნახატზე ღამის სცენაა ასახული.

**საფოსტო ეტლი ჭექა-ქუხილში. ჯეიმს პოლარდი**
1827 წ. ფერადი გრავიურა ლითონის ფირფიტაზე. პოლარდმა ცხენებისა და ეტლების ხატვით გაითქვა სახელი. ამ გრავიურაზე ლითონის ფირფიტა სპეციალური ნივთიერებითაა დაფარული, რათა მარცვლოვანი ტექსტურა შეიქმნას.

# იმპრესიონიზმის შემდეგ

იმპრესიონიზმმა დასავლურ მხატვრობაზე უდიდესი გავლენა იქონია. მხატვრები აღარ ფიქრობდნენ, რომ ხელოვნება უნდა ყოფილიყო გრანდიოზული, ფორმალური და დასრულებული. მათი აზრით, მხატვარს უნდა შეეძლოს პიროვნული თვისებების გამოხატვა და თანამედროვე სამყაროზე რეაქციის გამოვლენა. იმპრესიონიზმის შემდეგ კიდევ უფრო თამამი სიახლეების ეპოქა დადგა და მხატვრებმა ხელოვნების საზღვრები უკიდეგანოდ გააფართოვეს.




ქალი კამელიებით. 1896 წ. ალფონს მუჩა

### არტ-ნუვო

არტ-ნუვო – ესაა XIX საუკუნის 90-იან წლებში გაჩენილი, ძალიან პოპულარული, თუმცა ხანმოკლე სიცოცხლის მქონე ჟანრი. მისი მიმდევრები ხშირად იყენებდნენ ყვავილებს და სხვა სტილისტურ მორთულობებს. ჩეხი მხატვარი ალფონს მუხა 1895 წელს გახდა პოპულარული, როდესაც ცნობილი პარიზელი მსახიობი ქალის, სარა ბერნჰარდტის პოსტერი შექმნა






ბანქოს მოთამაშეები. დაახლ. 1890-1892წწ. პოლ სეზანი

### პოსტიმპრესიონიზმი

პოსტიმპრესიონიზმი მხატვრობის ფრანგული მიმდინარეობაა, რომელმაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის პირველ წლებამდე იარსება. მხატვრებმა, მათ შორის პოლ სეზანმა, იმპრესიონიზმის იდეალები განავითარეს და გარკვეულწილად დაუპირისპირდნენ კიდეც მას. სეზანს ნახატებში მეტი წესრიგის, კანონზომიერების ხილვა სურდა.



ზაფხულის შუადღე ლა-გრანდ-ჟატის კუნძულზე. დაახლ. 1884-1886წწ. ჟორჟ სერა

### ნეოიმპრესიონიზმი

ამ ტერმინით ჟორჟ სერას და პოლ სინიაკის შემოქმედებას მოიხსენიებენ. ისინი ნახატებს პატარა, ფერადი წერტილებით ქმნიდნენ (იმავე მიმდინარეობას პუანტილიზმსაც უწოდებენ). სერას ყველაზე ცნობილი ნამუშევარი – „ზაფხულის შუადღე ლა-გრანდ-ჟატის კუნძულზე" – 1886 წელს დასრულდა.



უპა-უპა (ტაიტური ცეცხლის ცეკვა). დაახლ. 1891 წ. პოლ გოგენი

### სიმბოლიზმი

ეს მიმდინარეობა XIX საუკუნის მიწურულს გაჩნდა და რეალიზმსა და იმპრესიონიზმს დაუპირისპირდა. სიმბოლისტი მხატვრები ფანტასტიკურ სამყაროს ხატავდნენ და საიდუმლოებით მოცულ იდეებს მეტაფორების დახმარებით გადმოსცემდნენ. მაგალითად, მეტაფორებად იყენებდნენ ბიბლიას, სულებს, მოჩვენებებს და ა.შ. პოლ გოგენმა ცხოვრების ბოლო წლები კუნძულ ტაიტიზე გაატარა. სწორედ მაშინ დახატა ნახატი „უპა-უპა (ტაიტური ცეცხლის ცეკვა)".



ხიდი თემზაზე. დაახლ. 1905 წ.
ანდრე დერენი

### ფოვიზმი

ფოვისტები მკვეთრ ფერებს იყენებდნენ. ეს მიმდინარეობა მეგობრებმა – ანრი მატისმა და ანდრე დერენმა შექმნეს, ხოლო ტერმინი „Les Fauves" („ველური ცხოველები") 1905 წელს ერთ-ერთმა კრიტიკოსმა დაამკვიდრა. ფოვისტები ფუნჯის მკაფიო მონასმებით მუშაობდნენ და ნახატების სიუჟეტებს ამარტივებდნენ. დერენმა ლონდონი ღია, მკვეთრი ფერებით და მოკლე, წყვეტილი მონასმებით დახატა.



ელასტიკურობა. 1916 წ.
უმბერტო ბოჩონი

### ფუტურიზმი

ფუტურიზმი იტალიაში XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ფუტურისტების ნამუშევრები ტექნოლოგიებისა და გამოგონებების ტრიუმფია. ისინი მომავალს უფრო ხატავენ, ვიდრე აწმყოს ან წარსულს. უმბერტო ბოჩონის ჩახვეული, დანაწევრებული ფორმები სიჩქარითა და ტექნოლოგიით დაინტერესებას უსვამს ხაზს.



შეხვედრა ღამით. 1949 წ.
ედვარდ ჰოპერი

### რეალიზმი

რეალისტებმა ძირითად თემად ყოველდღიური ცხოვრება აირჩიეს და მისი რაც შეიძლება რეალისტურად გადმოცემა დაისახეს მიზნად. რეალიზმი XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა საფრანგეთში, მოგვიანებით კი ამ მიმდინარეობის მთავარ ფიგურად ამერიკელი ედვარდ ჰოპერი იქცა. მან ამერიკის ყოველდღიური ცხოვრების სცენები აღბეჭდა.

ფუტურიზმი

რეალიზმი

კონსტრუქტივიზმი



ყვირილი. 1893 წ. ედვარდ მუნქი

### ექსპრესიონიზმი

ექსპრესიონიზმი რეალობას ამახინჯებს და ცვლის. მისი მიზანია მნახველში ემოციური რეაქციის გამოწვევა. ექსპრესიონისტი მხატვრები ხშირად გადმოგვცემენ შინაგან ღელვებას და დაბნეულობას. ედვარდ მუნქის „ყვირილი" ექსპრესიონიზმის ტიპური ნიმუშია.



სიფონი. XX საუკუნე. ემილიო პეტორუტი

### კუბიზმი

კუბიზმი მხატვრობის რევოლუციურად ახალი მიმდინარეობაა. ეს მიმდინარეობა პაბლო პიკასოს შემოქმედებაში 1907 წლიდან 1920-იან წლებამდე დომინირებდა. კუბისტურ ნახატებზე საგნები დანაწევრებულია და თითქოს სხვადასხვა კუთხიდანაა დანახული. არგენტინელი მხატვარი ემილიო პეტორუტი კუბისტურ ექსპერიმენტებს ატარებდა. 1924 წელს მისმა გამოფენამ აუდიტორიის შოკი გამოიწვია.



ლოკომოტივის მშენ[illegible] 1930 წ.
ხუაკინ ტორეს გარსია

### კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივიზმი რუსეთის პოლიტიკური სისტემის დრამატული ცვლილების, ე.ი. 192[illegible] წლის შემდეგ გაჩნდა. კონსტრუქტივისტებმა მკაფიოდ სოციალური ცვლილების ასახვა და სამომავლო განვითარების წახალისება დაისახეს. კონსტრუქტივიზმის იდეები მხოლოდ რუსეთით როდი შემოიფარგლა. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელია ურუგვაელი მხატვარი ხუაკინ ტორეს გარსია.

**ანრი მატისი**

*1869:* დაიბადა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

*1887:* იურისპრუდენციის შესწავლის მიზნით პარიზში გადავიდა, თუმცა ავად გახდა და 1891 წლიდან ხატვის შესწავლა დაიწყო.

*1904-1907:* ფოვისტ მხატვართა ჯგუფის ლიდერი გახდა.

*1908:* გამოაქვეყნა „მხატვის ჩანაწერები“, რომელშიც მხატვრობასთან დაკავშირებული თეორია ჩამოაყალიბა.

*1921:* საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთის სამხრეთში.

*1941:* ორი ოპერაციის შემდეგ საწოლსა და ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა.

*1954:* გარდაიცვალა გულის შეტევით 85 წლის ასაკში.

**რამ მოახდინა ზეგავლენა?**



**პოლ სეზანის** ნახატმა „სამი მობანავე“. მატისმა ეს ნახატი 1899 წელს შეიძინა.



**ისლამურმა მხატვრობამ.** მატისს იტაცებდა ისლამის-თვის დამახასიათებელი ფერის დეკორაციულად გამოყენება.

# ანრი მატისი

„როდესაც მწვანედ ვხატავ, ბალახს არ ვგულისხმობ, ხოლო ლურჯი ფერი ყოველთვის ცას როდი ნიშნავს“.

20 წლის ავადმყოფ მატისს დედამ საღებავების ყუთი აჩუქა. აქედან დაიწყო მატისის, როგორც მხატვრის, კარიერა. მატისი ფერებით იყო შეპყრობილი და მათი მეშვეობით ფორმებს, ხასიათებს და ემოციებს ქმნიდა. მხატვარი ფერებზე მთელი ცხოვრების განმავლობაში ატარებდა ექსპერიმენტებს, მისი ნამუშევრები ძირითადად ბედნიერებისა და მხიარულების განცდას ტოვებს.





## მაკრატლით ხატვა

ფურცლის დაჭრას, ნაჭრებისგან სურათის აგებას და შემდეგ ბრტყელ ზედაპირზე დაწებებას კოლაჟი ეწოდება. როდესაც მატისს ფეხზე დგომა და კარგად დანახვა აღარ შეეძლო, სწორედ ამ ტექნიკას იყენებდა. მხატვარი დამხმარეების მეშვეობით ფურცლებზე ხატავდა, სხვადასხვა ფორმას ჭრიდა და შემდეგ გარკვეული თანმიმდევრობით აწებებდა. ამ მეთოდს „მაკრატლით ხატვას“ უწოდებდა.



**ახლა შენი ჯერია...**

სცადე მატისის სტილის ნახატის შექმნა. ფერადი ქაღალდისგან უამრავი რამის გაკეთება შეიძლება. ქაღალდი ღია ფერებით გააფერადე, შემდეგ სხვადასხვა ფორმა გამოჭერი და სასურველი მიმდევრობით განალაგე.







**მეფის საწუხარი.** 1952 წ.
292x386 სმ. ქაღალდი. ტილო. გუაში

## გამოჭრილი იდეები

მატისი ფერების გარდა სხეულის ფორმაშიც კარგად ერკვეოდა და შეეძლო საგანი ან ადამიანი რამდენიმე ხაზისგან აგებული მარტივი ფიგურით ეჩვენებინა. ამ ნახატზე სევდიანი მეფე გიტარას უკრავს, მოცეკვავე და დამჯდარი ფიგურა კი მის გართობას ცდილობენ.

მატისის ნახატებზე ფერები და ფიგურები გამორჩეულია. მატისი ფერებით ემოციებს გადმოსცემდა, ხოლო ფიგურებს ჭკვიანურად ალაგებდა, რათა ნახატი მსუბუქი ალსაქმელი ყოფილიყო. ლოკოკინას გამოსახულება სპირალურად განლაგებული ფიგურებითაა შექმნილი.



**ლოკოკინა.** 1953 წ. ქაღალდი. ტილო. გუაში

# პაბლო პიკასო



„ყველაფერი, რისი წარმოდგენაც შეგვიძლია, ნამდვილია".

ესპანელი მხატვარი პიკასო ბავშვობიდან განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა, რამაც ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე შემოქმედად აქცია. პიკასო გამორჩეული, ორიგინალური და ინოვაციური იდეებით სავსე მხატვარი იყო და თითქმის ყველა ჟანრში, მათ შორის კოლაჟსა და კერამიკაში მოსინჯა თავი. პიკასო ნამუშევრებს ძირითადად საკუთარ თავზე და უნივერსალურ თემებზე – სიყვარულზე, ძალადობაზე, დაბადებასა და სიკვდილზე ქმნიდა.

## მოდელი და მუზა

ფოტოსურათზე ალბეჭდილი და სკამზე მჯდომი ქალბატონი ფრანგი ფოტოგრაფი დორა მაარია. დორა 7 წლის განმავლობაში პიკასოს საყვარელი და მუზა იყო. ლამაზი, ჭკვიანი და პოლიტიკაში გათვითცნობიერე-ბული ქალბატონი პიკასოს ფოტოსურათებს ულებდა, როდესაც ის „გერნიკაზე" მუშაობდა.



დორას ფოტოსურათი; გადაღებულია 1947 წელს.



ამ პორტრეტზე დორა ორი კუთხიდან არის ნაჩვენები. დახატულია როგორც პროფილი, ასევე სრული სახე.

## გერნიკა

1937 წლის 26 აპრილს, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, პატარა ქალაქი გერნიკა 28 ბომბდამშენის შეტევის ქვეშ აღმოჩნდა. პიკასომ ამ მოვლენიდან მოკლე ხანში უზარმაზარი ნახატი შექმნა. მას სურდა, უბრალო ადამიანებისა და ცხოველების ტანჯვა ეჩვენებინა, რათა მსოფლიოს ყურადღება ესპანეთის სამოქა-ლაქო ომისკენ მიეპყრო.



**გერნიკა.** 1937 წ. ტილო. ზეთი

### პაბლო პიკასო

*1881:* დაიბადა ესპანეთის სამხრეთით, ქალაქ მალაგაში.

*1901:* 20 წლისამ პარიზი მოინახულა და ქუჩის ფიგურები ცისფერ ფერებში დახატა. ეს არის პიკასოს შემოქმედების „ცისფერი პერიოდი".

*1904:* პარიზში დასახლდა და საცირკო სანახაობებისა თუ არლეკინების ხატვა ვარდისფერ და ნარინჯისფერ ფერებში დაიწყო. ეს პიკასოს შემოქმედების „ვარდისფერი პერიოდია".

*1907:* 26 წლისამ „ავიონიონელი ქალწულები" დახატა და ამ ნახატით დასავლური მხატვრობის ტრადიციებს სრულად გაემიჯნა.

*1909-1914:* ჟორჟ ბრაკთან ერთად სივრცისა და მოცულობის გადმოცემის ახალ მეთოდებზე დაიწყო მუშაობა. დღეს ამ მიმდინარეობას კუბიზმი ენოდება.

*1946-1973:* ცხოვრობდა საფრანგეთის სამხრეთში, განაგრძობდა მუშაობას და სიკვდილამდე ატარებდა ექსპერიმენტებს, მათ შორის კერამიკაზე.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



**პოლ სეზანის** ნატურმორტებმა.



**აფრიკულმა ქანდაკებამ,** რომელიც მხატვარს სითამამითა და ექსპრესიულობით აოცებდა.

### მტირალი ქალის ეტიუდი

პიკასომ მგლოვიარე ქალის გამოსახულება გერნიკას (იხ. ქვემოთ) ეტიუდად გამოიყენა. მხატვარმა მგლოვიარე ქალის მოდელად დორა მაარის ნაკვთები დახატა. მას სურდა ტანჯული ქალის ჩვენება, რისთვისაც სახე დაამახინჯა და არარეალისტური ფერებით გააფერადა.

### ახლოდან დაკვირვება

შეხედე დაკბილულ ხაზებს და დააკვირდი, როგორ გადმოსცემს ისინი სევდას – თითქოს ქალი მართლა ტირისო. პიკასომ ცხვირსახოცის ნაკეცები და თითები გააერთიანა, ხოლო ფრჩხილები ცრემლებს დაამსგავსა.



დორას თვალის გუგა სამხედრო თვითმფრინავს ჰგავს და გერნიკაზე საჰაერო თავდასხმას განასახიერებს.

პიკასომ და მისმა მეგობარმა ჟორჟ ბრაკმა ახალი სტილი – კუბიზმი შექმნეს. კუბისტური ნახატების ზედაპირი დანაწევრებულია, ფორმები შეცვლილია და ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.



მტირალი ქალი. 1937 წ. 84,7X73,9 სმ. ტილო. ზეთი



# ნაივური მხატვრობა

ნაივური მხატვრობა სამხატვრო განათლების არმქონე ან ნაკლებად განათლებული მხატვრების შემოქმედებას ეწოდება. XX საუკუნეში ღია ფერებით და უცნაური მოხაზულობებით შექმნილი მარტივი ნახატები გახდა პოპულარული და სხვა მხატვრების შემოქმედებაზეც კი აისახა. ნაივური მხატვრობის მიმდევრები ნახატის სიუჟეტით იყვნენ დაინტერესებულნი და დასახატად საყვარელ თემებს ირჩევდნენ.



**მიდი, ბებერო ტოპსი.**
**ბებია მოზესი**
XX საუკუნე. ამერიკელი ფერმერის ცოლმა, ანა მოზესმა ხატვა 70 წლის ასაკში დაიწყო. მომდევნო 30 წლის განმავლობაში (ანა 101 წლისა გარდაიცვალა) 3600-მდე ნახატი შექმნა ძირითადად ფერმერების ცხოვრების შესახებ.



**ჯუნგლებში ცხენს იაგუარი ესხმის თავს. ანრი რუსო**
1910 წ. ფრანგი თვითნასწავლი მხატვარი ანრი რუსო ტროპიკული ჯუნგლებისა და ველური ცხოველების ხატვით არის ცნობილი, თუმცა ყველაფერი ის, რასაც რუსო ნახატებზე გამოსახავს, მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. რუსო ჯუნგლებში არასდროს ყოფილა, უბრალოდ პარიზის ბოტანიკურ ბაღში აკვირდებოდა ტროპიკულ მცენარეებს.



**შუქურა და ორი ნავი ყვითელი აფრებით.**
**ალფრედ უოლისი**
XX საუკუნე. უოლისი ბრიტანელი მეთევზე და ვაჭარი იყო. მან ხატვა 60 წლისამ დაიწყო და ძირითადად ხომალდებს, თევზაობასა და ზღვისპირა სოფლებს ხატავდა.



**მოხეტიალე ათლეტი.**
**კამილ ბომბუაზი**
დაახლ. 1930 წ. ფრანგი ნაივისტი ბომბუაზი საცირკო სცენების ხატვით არის ცნობილი. მხატვარი ახალგაზრდობაში მოჭიდავე იყო, სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ კი მოხეტიალე ცირკში დაიწყო მუშაობა.



**ბალი.**

უილსონ ბიგო

XX საუკუნის ჰაიტელი მხატვარი ბიგო ძირითადად ყოველდღიურ ცხოვრებას, მხიარულ კარნავალებსა და ცეკვებს ხატავდა. ეს და სხვა ნახატები ბიგომ ოქროსფერი სინათლით დაამშვენა.



**სანაყინე.**

**დორა ჰოლცჰანდლერი**

2008 წ. ჰოლცჰანდლერს ძალიან უყვარს მოხატულობები და მისი პერსონაჟების ტანსაცმელი, ავეჯი და შპალერი ხშირად ზოლებითა და ბადეებით არის დაფარული.



**ჩემი სამყარო.**

**ივან რაბუზინი**

1962 წ. ხორვატი დურგალი რაბუზინი დაახლოებით 20 წლისა დაინტერესდა მხატვრობით და თავისუფალ დროს ყოველთვის ხატვაში ატარებდა. ნახატების პირველი გამოფენისას რაბუზინი 35 წლის იყო. გამოფენა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ივანმა სამსახურს თავი დაანება და მხოლოდ ხატვას მიჰყო ხელი. რაბუზინი ხშირად სტუმრობდა გალერეებს და ეცნობოდა სხვა მხატვრების შემოქმედებას, რათა ხელოვნების შესახებ მეტი გაეგო.



**ლომების მომთვინიერებელი მოხუცი ბებო.**

**ბერილ კუკი**

1983 წ. კუკმა ხატვა დაახლოებით 40 წლისამ დაიწყო, როდესაც შვილისგან სალებავების ყუთი ითხოვა. ბრიტანელი შემოქმედი ძირითადად „მსუქანი ქალბატონების“ სახალისო ნახატებითაა ცნობილი.

**ქორწილის შემდეგ.**

**ლოურენს სტივენ ლოური**

1939 წ. ბრიტანელი მხატვარი ლოური ნაივიზმით დაინტერესდა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მხატვარი იყო. ლოური ხშირად ხატავდა ქალაქის ქუჩებს ქარხნებითა და სხვა პირქუში შენობებით, რომელთა ფონზე თეთრი ცა და გრძელი, წვრილი ფიგურები (ე.წ. „ასანთისღერა ადამიანები“) ჩანან.



*1879:* დაიბადა შვეიცარიაში, ბერნთან ახლოს.

*1898:* 19 წლისა მიუნხენში გადავიდა და სახვითი ხელოვნების აკადემიაში დაიწყო სწავლა.

*1901-1902:* მოინახულა იტალიის ქალაქები რომი, ნეაპოლი და ფლორენცია

*1911:* შეუერთდა გერმანელ მხატვართა ჯგუფ „ლურჯ მხედარს".

*1912:* 33 წლისამ პარიზი მოინახულა, დელონეს შეხვდა და კუბიზმის ზეგავლენის ტყვეობაში მოექცა.

*1920-1931:* ვაიმარში მხატვრობისა და დიზაინის ბაუჰაუსის სკოლაში ხატავდა და ასწავლიდა.

*1933:* ნაცისტებისგან თავის დასაღწევად შვეიცარიაში დაბრუნდა.

*1940:* შვეიცარიაშივე გარდაიცვალა.

## ვინ მოახდინა ზეგავლენა?



**მარკის** ძალიან მკვეთრმა ფერებმა და ექსპრესიულობამ.



**ვასილი კანდინსკის** მიერ ფერის ახლებურად და თავისუფლად გამოყენებამ.



# პოლ კლეე

„ახლად დაბადებულივით მინდა ვიყო, თითქმის პრიმიტიული".





**ციხესიმაგრე და მზე.** 1928 წ. 50x59 სმ. ტილო. ზეთი

ორიგინალური და პოპულარული მხატვარი პოლ კლეე ძალიან ნაყოფიერი შემოქმედი იყო. მან მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაახლოებით 9000 ნამუშევარი შექმნა. კლეეს სტილის დახასიათება რთულია. ზოგი ნამუშევარი სწორხაზოვანი და ფიგურალურია, ზოგი კი სრულიად აბსტრაქტული.





Senecio. 1922 წ. მარლაგადაკრული მუყაო. ზეთი

## დალაგებული ფიგურები

მარჯვენა ნახატზე გამოსახულ აბსტრაქტულ პორტრეტს („Senecio" ნიშნავს „მოხუც კაცს“) კუბიზმის ზეგავლენა ეტყობა. ის შესრულებულია მსუბუქი ფერებითა და გეომეტრიული ფიგურებით. სამკუთხედი უკმაყოფილების ნიშნად ზემოთ აწეულ წარბს გამოსახავს და კლეეს მახვილგონიერებას ავლენს.



მამალი და ლორი. 1920 წ. ქაღალდი. კალამი

## ხაზების გაშვება სასეირნოდ

კლეე ხაზების სახით ალიქვამდა მხატვრობას. ის თავდაპირველად ფანქრით აკეთებდა მონასმებს, მიღებულ ფორმებს აკვირდებოდა და შემდეგ მონახაზებზე ექსპერიმენტებს ატარებდა. კლეე ბავშვივით ეყრდნობოდა საკუთარ წარმოსახვას და შთაგონების წყაროდ ფერებზე, ფორმებსა და ხაზებზე ექსპერიმენტების ჩატარება მიაჩნდა.

**„ხატვა უბრალოდ ხაზია, რომელიც სეირნობს“.**



## მუსიკის ხატვა

პოლ კლეე ნიჭიერი მუსიკოსი იყო, ვიოლინოზე შესანიშნავად უკრავდა. მუსიკისადმი ლტოლვა კლეეს ნახატებშიც იგრძნობა, რადგან ფერებს ხშირად ალაგებდა მელოდიის ნოტებივით, ჰარმონიის შემქმნელი ჩრდილები კი მუსიკალურ კომპოზიციას ასრულებენ. „ციხესიმაგრე და მზე“ მხოლოდ ფიგურებისა და ფერებისგანაა აგებული, თუმცა შენობების რიგი ნათლად ჩანს. კლეეს ძალიან უყვარდა ფერები. ერთხელ მან დაწერა კიდეც: „მე და ფერი ერთი ვართ“.

### ახლა შენი ჯერია...

სცადე და ნახატი კლეეს სტილში შექმენი. თავდაპირველად ღია ფერის წრფეებით, მართკუთხედებით, წრეებით, კვადრატებითა და სამკუთხედებით მარტივი ფიგურები დახატე, შემდეგ კი აკვარელით გააფერადე. ახალგაზრდა კლეე ყოველთვის აკვარელით ხატავდა.



12 წლის რებეკას ნახატი

# სიურრეალიზმი

სიურრეალური ნიშნავს „რეალურზე მეტს“. სიურრეალისტ მხატვრებს მიაჩნდათ, რომ ძლიერი ემოციების გადმოცემა სიზმრისეული ნახატებით შეიძლება, სადაც ჩვეულებრივი საგნები არაბუნებრივ მდგომარეობაშია გამოსახული. რეალობასთან დაპირისპირება პირველი მსოფლიო ომის საშინელებებით იყო განპირობებული.

XIX საუკუნის მიწურულს XVI საუკუნის მხატვრების, მათ შორის ჰიერონიმუს ბოსხისა და ჯუზეპე არჩიმბოლდოს შემოქმედებით კვლავ დაინტერესდნენ, რადგან ეს მხატვრები წარმოსახვით სამყაროს გადმოსცემდნენ და უჩვეულო იდეები ჰქონდათ.



ამქვეყნიური სიამოვნებების ბაღი (დეტალი). დაახლ. 1500 წ.

ბოსხის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებულ ნახატებზე ხშირად ჩანს უცნაური არსებები და დამახინჯებული ფიგურები.

**ჰიერონიმუს ბოსხი** (1450-1516 წწ.)



რენესანსის ეპოქის მხატვარი არჩიმბოლდო დროს წინ უსწრებდა. მის დეტალურ ნახატებზე ყვავილები, ხილი და ბოსტნეული ისეა დალაგებული, რომ მთლიანობაში ფანტასტიკურ თავის ფორმას ქმნის.

გაზაფხული. XVI საუკუნე

**ჯუზეპე არჩიმბოლდო** (1527-1593 წწ.)

XIX საუკუნის მიწურულს ბელგიელი მხატვარი ენსორი ფანტასტიკური ნახატებით გახდა ცნობილი, რომლებზეც ის კარნავალებს, ნიღბებს, თოჯინებსა და ჩონჩხებს გამოსახავდა.



მოხუცი ქალი ნიღბებით. 1889 წ.

**ჯეიმს ენსორი** (1860-1949 წწ.)



შიშველი ფიგურა კიბეზე ჩამოდის, 2. 1912წ. მარსელ დიუშანი

1906 წლიდან ფოტოგრაფია მკვეთრად განვითარდა და ფერადი ფოტოსურათი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა. მხატვრებმა ფოტოგრაფიული მეთოდების მიბაძვა დაიწყეს; მაგალითად, გამოსახულებების სწრაფ თანმიმდევრობას გადმოსცემდნენ.

**ფოტოგრაფიის განვითარება**



მტირალი ქალი. 1937 წ. პაბლო პიკასო

კუბისტურ ნახატებზე ფრაგმენტებად დაყოფილი და სხვადასხვა კუთხიდან დანახული საგნები იყო გამოსახული. მხატვრობა მოსაზრებების გამოთქმის ხელოვნებად იქცა.

**კუბიზმი**



განშორების ტკივილი. 1913-1914 წწ.

1910 წლიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე იტალიელი მხატვარი ჩირიკო სიზმრისეულ ნახატებს ქმნიდა, რომლებზეც მიტოვებული ადგილები და ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგნები, გაურკვეველი ფიგურები და უცნაური ჩრდილები, იყო გამოსახული.

**ჯორჯო დე ჩირიკო** (1888-1978 წწ.)



1914-1918 წლებში პირველი მსოფლიო ომისგან მოტანილი ნგრევა და ტანჯვა საზოგადოებაზე მაღალი კლასის კონტროლს დაბრალდა.




შადრევანი. მარსელ დიუშანი.
1917 წ.

ევროპა ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, როცა შვეიცარიაში დადაისტური მოძრაობა დაიწყო. „დადა“ ბავშვის მიერ წარმოთქმული პირველი ბგერებია. მხატვრები ომს აპროტესტებდნენ და ნახატებს ყოველდღიური საგნების შენებებული ფრაგმენტებისგან ქმნიდნენ. მარსელ დიუშანი უკვე დამზადებულ, მასობრივად წარმოებულ საგნებს იყენებდა, რათა სიცოცხლის აბსურდულობა ეჩვენებინა.

დადაიზმი

1924 წელს ფრანგმა პოეტმა და კრიტიკოსმა ანდრე ბრეტონმა სიურრეალიზმის იდეებზე დაიწყო საუბარი. ის ფსიქოლოგ ზიგმუნდ ფროიდის შრომებს დაეყრდნო, სადაც სიზმრებსა და არაცნობიერ გონებაზე იყო საუბარი. სიურრეალისტი მწერლები ყველაფერს წერდნენ, რაც კი თავში მოსდიოდათ.



ზიგმუნდ ფროიდი
(1856-1939 წწ.)

გონება აისბერგს ჰგავს – წყალზე მისი მხოლოდ მეშვიდედი მოჩანს.

## სიურრეალისტი მხატვრები ქვეცნობიერი აზრების გადმოცემას ცდილობდნენ

## ავტომატიზმი



**უდანაშაულოების ხოცვა-ჟლეტა.**
**მაქს ერნსტი**
1921წ. ერნსტი სიურრეალისტურ კოლაჟებს ქმნიდა – სხვადასხვა კატალოგიდან, სახელმძღვანელოდან და რეკლამიდან გამოსახულებებს ილებდა და ერთად აწებებდა. ამ გაუკონტროლებად პროცესს ვიზუალური ავტომატიზმი ეწოდება.



**ავტომატური ხატვა.**
**ანდრე მასონი**
დაახლ. 1924-1925 წწ. მასონი პირველ მსოფლიო ომში მძიმედ დაიჭრა და მთელი ცხოვრება კოშმარებით იტანჯებოდა. მხატვარი სტრესის შემოტევისას ხატვას იწყებდა, ზოგჯერ დიდი ხნის განმავლობაში მიზანმიმართულად არ ჭამდა ან არ სვამდა.

### სხვა მიმართულება



**რეიოგრაფი.**
**მან რეი**
1922 წ. მან რეი ჩვეულებრივ საგნებს ფოტოგრაფიულ, სინათლისადმი მგრძნობიარე ქაღალდზე აწყობდა და შემდეგ ანათებდა, რათა საგნების ფორმები და ჩრდილები ქაღალდზე დამჩნეულიყო. ამ მეთოდს რეიოგრაფი ეწოდება.

## წარმოსახვითი მხატვრობა



**სამოქალაქო ომის წინათგრძნობა: მსუბუქი კონსტრუქცია მოხარშული ლობიოს მარცვლებით. სალვადორ დალი**
1936 წ. ესპანელი მხატვარი დალი უცნაურ, სიზმრისეულ ნახატებს ქმნიდა. დალი სხვადასხვა საგნის სიმრავლეს ინტენსიურად აკვირდებოდა, რათა ჰალუცინაცია დასწყებოდა და სხვა საგნები დაენახა.



**ჩიტების, ცეცხლის, მაგრამ არა შუშის გავლით. ივ ტანგი**
1943 წ. ტანგი ოკეანის ან მთვარისებრ, უცნაურ პეიზაჟებს ხატავდა და არაგეომეტრიული ფიგურებით ცოცხალ არსებებს ქმნიდა, რასაც ბიომორფიზმი ეწოდება.



**განმათავისუფლებელი.**
**რენე მაგრიტი**
1947 წ. მაგრიტი ყოველდღიურ საგნებს, ცხოველებსა და ადამიანებს აზრს მოკლებულ სცენებში ხატავდა. ზოგიერთი საგანი მის სხვა ნახატებზეც მეორდება.

# …ურრეალიზმი

…ლური ნიშნავს „რეალურზე მეტს“. სიურრეალისტ მხატვრებს …, რომ ძლიერი ემოციების გადმოცემა სიზმრისეული ნახატებით …, სადაც ჩვეულებრივი საგნები არაბუნებრივ მდგომარეობაშია …ული. რეალობასთან დაპირისპირება პირველი მსოფლიო ომის …ებით იყო განპირობებული.

## როგორ მოხდა ეს?



XIX საუკუნის მიწურულს XVI საუკუნის მხატვრების, მათ შორის ჰიერონიმუს ბოსხისა და ჯუზეპე არჩიმბოლდოს შემოქმედებით კვლავ დაინტერესდნენ, რადგან ეს მხატვრები წარმოსახვით სამყაროს გადმოსცემდნენ და უჩვეულო იდეები ჰქონდათ.

### ჰიერონიმუს ბოსხი (1450-1516 წწ.)



ამქვეყნიური სიამოვნებების ბაღი (დეტალი). დაახლ. 1500 წ.

ბოსხის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებულ ნახატებზე ხშირად ჩანს უცნაური არსებები და დამახინჯებული ფიგურები.

### …ე არჩიმბოლდო (1527-1593 წწ.)



გაზაფხული. XVI საუკუნე

რენესანსის ეპოქის მხატვარი არჩიმბოლდო დროს წინ უსწრებდა. მის დეტალურ ნახატებზე ყვავილები, ხილი და ბოსტნეული ისეა დალაგებული, რომ მთლიანობაში ფანტასტიკურ თავის ფორმას ქმნის.

### … ენსორი (1860-1949 წწ.)

…იწურულს
…ხატვარი
…ლტიკური
…და
…ებზეც ის
…ილბებს,
…ონჩხებს



მოხუცი ქალი ნიღბებით. 1889 წ.

### ფოტოგრაფიის განვითარება



შიშველი ფიგურა კიბეზე ჩამოდის, 2. 1912წ. მარსელ დიუშანი

1906 წლიდან ფოტოგრაფია მკვეთრად განვითარდა და ფერადი ფოტოსურათი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა. მხატვრებმა ფოტოგრაფიული მეთოდების მიბაძვა დაიწყეს; მაგალითად, გამოსახულებების სწრაფ თანმიმდევრობას გადმოსცემდნენ.

### კუბიზმი



მტირალი ქალი. 1937 წ. პაბლო პიკასო

კუბისტურ ნახატებზე ფრაგმენტებად დაყოფილი და სხვადასხვა კუთხიდან დანახული საგნები იყო გამოსახული. მხატვრობა მოსაზრებების გამოთქმის ხელოვნებად იქცა.

### ჯორჯო დე ჩირიკო (1888-1978 წწ.)



განშორების ტკივილი. 1913-1914 წწ.

1910 წლიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე იტალიელი მხატვარი ჩირიკო სიზმრისეულ ნახატებს ქმნიდა, რომლებზეც მიტოვებული ადგილები და ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგნები, გაურკვეველი ფიგურები და უცნაური ჩრდილები, იყო გამოსახული.



…პირველი მსოფლიო
…ნგრევა და ტანჯვა
…ალი კლასის
…და.


შადრევანი. მარსელ დიუშანი. 1917 წ.

ევროპა ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, როცა შვეიცარიაში დადაისტური მოძრაობა დაიწყო. „დადა" ბავშვის მიერ წარმოთქმული პირველი ბგერებია. მხატვრები ომს აპროტესტებდნენ და ნახატებს ყოველდღიური საგნების შენებებული ფრაგმენტებისგან ქმნიდნენ. მარსელ დიუშანი უკვე დამზადებულ, მასობრივად წარმოებულ საგნებს იყენებდა, რათა სიცოცხლის აბსურდულობა ეჩვენებინა.

დადაიზმი

1924 წელს ფრანგმა პოეტმა და კრიტიკოსმა ანდრე ბრეტონმა სიურრეალიზმის იდეებზე დაიწყო საუბარი. ის ფსიქოლოგ ზიგმუნდ ფროიდის შრომებს დაეყრდნო, სადაც სიზმრებსა და არაცნობიერ გონებაზე იყო საუბარი. სიურრეალისტი მწერლები ყველაფერს წერდნენ, რაც კი თავში მოსდიოდათ.


ზიგმუნდ ფროიდი
(1856-1939 წწ.)

გონება აისბერგს ჰგავს – წყალზე მისი მხოლოდ მეშვიდედი მოჩანს.

## სიურრეალისტი მხატვრები ქვეცნობიერი აზრების გადმოცემას ცდილობდნენ

**ავტომატიზმი**


**უდანაშაულოების ხოცვა-ჟლეტა. მაქს ერნსტი**
1921წ. ერნსტი სიურრეალისტურ კოლაჟებს ქმნიდა – სხვადასხვა კატალოგიდან, სახელმძღვანელოდან და რეკლამიდან გამოსახულებებს ილებდა და ერთად აწებებდა. ამ გაუკონტროლებად პროცესს ვიზუალური ავტომატიზმი ეწოდება.


**ავტომატური ხატვა. ანდრე მასონი**
დაახლ. 1924-1925 წწ. მასონი პირველ მსოფლიო ომში მძიმედ დაიჭრა და მთელი ცხოვრება კოშმარებით იტანჯებოდა. მხატვარი სტრესის შემოტევისას ხატვას იწყებდა, ზოგჯერ დიდი ხნის განმავლობაში მიზანმიმართულად არ ჭამდა ან არ სვამდა.

**სხვა მიმართულება**


**რეიოგრაფი. მან რეი**
1922 წ. მან რეი ჩვეულებრივ საგნებს ფოტოგრაფიულ, სინათლისადმი მგრძნობიარე ქაღალდზე აწყობდა და შემდეგ ანათებდა, რათა საგნების ფორმები და ჩრდილები ქაღალდზე დამჩნეულიყო. ამ მეთოდს რეიოგრაფი ეწოდება.

**წარმოსახვითი მხატვრობა**


**სამოქალაქო ომის წინათგრძნობა: მსუბუქი კონსტრუქცია მოხარშული ლობიოს მარცვლებით. სალვადორ დალი**
1936 წ. ესპანელი მხატვარი დალი უცნაურ, სიზმრისეულ ნახატებს ქმნიდა. დალი სხვადასხვა საგნის სიმრავლეს ინტენსიურად აკვირდებოდა, რათა ჰალუცინაცია დასწყებოდა და სხვა საგნები დაენახა.


**ჩიტების, ცეცხლის, მაგრამ არა შუშის გავლით. ივ ტანგი**
1943 წ. ტანგი ოკეანის ან მთვარისებრ, უცნაურ პეიზაჟებს ხატავდა და არაგეომეტრიული ფიგურებით ცოცხალ არსებებს ქმნიდა, რასაც ბიომორფიზმი ეწოდება.


**განმათავისუფლებელი. რენე მაგრიტი**
1947 წ. მაგრიტი ყოველდღიურ საგნებს, ცხოველებსა და ადამიანებს აზრს მოკლებულ სცენებში ხატავდა. ზოგიერთი საგანი მის სხვა ნახატებზეც მეორდება.

**ხუან მირო**

*1893:* დაიბადა ესპანეთში, ბარსელონაში.

*1919:* 26 წლისამ პარიზი პირველად მოინახულა და მას შემდეგ ყოველ ზამთარს იქ ატარებდა, სანამ 1937 წელს ესპანეთის სამოქალაქო ომი არ დაიწყო. ამის შემდეგ მხატვარი პარიზში დასახლდა.

*1940:* საფრანგეთი გერმანიამ დაიპყრო. მირო ესპანეთში დაბრუნდა და მალიორკაზე დასახლდა.

*1947:* პირველად მოინახულა ამერიკა.

*1958:* პარიზში იუნესკოს შენობის კედელი ორი უზარმაზარი დეკორაციით დაამშვენა.

*1983:* გარდაიცვალა მალიორკაზე.

## ვინ მოახდინა ზეგავლენა?



**პაბლო პიკასოს**
კუბისტურმა იდეებმა (საგნების სხვადასხვა კუთხიდან გამოსახვამ).



**ფრანსის პიკაბიას**
დადაისტურმა იდეებმა, დანაწევრებულმა და კანონზომიერებას მოკლებულმა ფორმებმა.

# ხუან მირო

ესპანელი მხატვარი ხუან მირო მეხსიერებისა და წარმოსახვის დახმარებით ქმნიდა ნამუშევრებს. მხატვრის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი მოგონება ფალიასი, ანუ ესპანური ფესტივალი იყო. 1925 წელს პარიზში მყოფმა მირომ „არლეკინის კარნავალი“ დახატა, რაც ქვეცნობიერად მოხაზული ფიგურების ერთობლიობაა.



ფალიასი უზარმაზარი, ფერადი თოჯინების პარადია. თოჯინები, რომლებსაც ფალიასებს უწოდებენ, ქაღალდის ნაგლეჯებისგან მზადდება. ორკვირიანი ფესტივალის დასრულების შემდეგ თოჯინებს წვავენ.

1956 წელს მირო მალიორკაში გადავიდა საცხოვრებად და გარდაცვალებამდე (1983 წლამდე) იქ ცხოვრობდა. მხატვრის სახელოსნო სავსე იყო ფანტასტიკური ნახატებითა და ქანდაკებებით. სახელოსნოს იატაკს საღებავის ნაკვალევი დღემდე ეტყობა.



მოძრავი ხაზები, მომრგვალებული საგნები და დამახინჯებული ფორმები მიროს სტილია. მის ნახატებზე ფონი უბრალოა, ხოლო ფერები ნათელია.



არლეკინი კლოუნისმაგვარი ფიგურაა. ხედავთ მას ნახატზე? როგორ ფიქრობ, რას განიცდის არლეკინი? არლეკინის კოსტიუმი, როგორც წესი, მკვეთრად განსხვავებული ფერებისაა.



არლეკინის კარნავალი.
1924-1925 წწ. 66x93 სმ. ტილო. ზეთი





რას ხედავ მიროს სიურრეალისტურ ნახატზე „არლეკინის კარნავალი"? ცნობ ცხოველებს, საგნებს და ფორმებს? რატომ არის ეს ყველაფერი ოთახში გაბნეული? ეს ოთახი შესაძლოა მიროს „გონება" ან სახელოსნო იყოს.

### ახლა შენი ჯერია...

სცადე მიროს სტილით ხატვა. იფიქრე საუკეთესო მოგონებაზე, მაგალითად რაიმე წვეულებაზე ან სასაცილო ისტორიაზე, შემდეგ კი გონებაში შემორჩენილი გამოსახულებები ნათელ ფერებით, უსწორმასწორო, მომრგვალებული ფორმებით გადმოეცი.



10 წლის მარკ გრედის ნახატი

## გრანტ ვუდი

1891: დაიბადა ამერიკაში, აიოვას შტატის ქალაქ ანამოზასთან ახლოს, ფერმერის ოჯახში.

1901: 10 წლისას მამა გარდაეცვალა და დედასთან ერთად კედარ-რაპიდსში გადავიდა საცხოვრებლად.

1913: ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტის სკოლის ნევერი გახდა.

1914: 23 წლისა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას არმიაში გაიწვიეს და ძირითადად ტანკებისა და საარტილერიო იარაღის კამუფლირებით იყო დაკავებული.

1920: ევროპაში პირველად იმოგზაურა და გაეცნო იმპრესიონისტებისა და პოსტიმპრესიონისტების მხატვრობას.

1930: დახატა საყოველთაოდ ცნობილი ნახატი „ამერიკული გოთიკა“.

1934: 43 წლისა აიოვას უნივერსიტეტში სახვითი ხელოვნების დოცენტი გახდა.

1942: გარდაიცვალა აიოვა-სითიში ღვიძლის კიბოთი.

### ვინ მოახდინა ზეგავლენა?



ჩრდილოეთევროპელი ოსტატების, მათ შორის ჰოლანდიელი **ჰანს მემლინგის** (იხ. „კაცის პორტრეტი“, დაახლ. 1485 წ.) რეალიზმმა.



# გრანტ ვუდი

„ყველა კარგი იდეა ძროხის წველისას მომდიოდა“.





**ამერიკული გოთიკა.** 1930 წ. 74,3x62,4 სმ.
თახვა-მაუდი (მშენებლობისთვის გამოსაყენებელი დაპრესილი ხე). ზეთი

გრანტ ვუდი ამერიკის დასავლეთში დაიბადა. ის ძირითადად უბრალო ადამიანებს და მისთვის კარგად ნაცნობ სცენებს ხატავდა. ევროპაში აბსტრაქტული მხატვრობა და სხვა თანამედროვე მიმდინარეობები იყო პოპულარული, ვუდი რეალიზმს არ ღალატობდა და სოფლის უბრალო ცხოვრებას ასახავდა. ამ სტილს მოგვიანებით რეგიონალიზმი ეწოდა.



ეს ფერმა აიოვას შტატში, ელდონში დღესაც დგას.



ნახატის სახელწოდება შუა საუკუნეების გოთიკური სტილის ფანჯარამ განაპირობა.

ზოგი ექსპერტის აზრით, ვუდი ამ ნახატზე სამხაზიან ფორმებს გამიზნულად იმეორებს. ფანჯარაც სამი ნაწილისგან შედგება. ხედავ სხვა სამნაწილიან ფორმას? (მინიშნება: შეხედე ფიწალს, მამაკაცის ტანსაცმელს და სახის ნაოჭებს სათვალის ქვემოთ).

## ამერიკის სიმბოლო

ამერიკული ნახატებიდან ალბათ ყველაზე ცნობილი „ამერიკული გოთიკაა“. გრანტ ვუდის შთაგონების წყარო ზემოთ ნაჩვენები სახლი და მისი უჩვეულო ფანჯარა იყო. მხატვარმა „ისეთი ადამიანები გამოსახა, რომელთაც ამ სახლში უნდა ეცხოვრათ“. ქალის მოდელი მხატვრის და ნენი გახლდათ, ხოლო მამაკაცი მისი კბილის ექიმი იყო. ამ ნახატის მიხედვით, რა შთაბეჭდილება გრჩება, ეს წყვილი ცოლ-ქმარია თუ მამა-შვილი? გაბრაზებულები და მკაცრები არიან თუ სერიოზულები და თავდაჭერილები?

## ცხოვრება პრერიებში

1932-1933 წლის ზამთარში ამერიკის ეკონომიკა უდაბლეს ნიშნულამდე დაეცა, რაც 1929 წელს დაწყებული დიდი დეპრესიით იყო განპირობებული. უამრავი ადამიანი უსამსახუროდ დარჩა, სოფლის მეურნეობა, მეშახტეობა და სხვა მრეწველობები გადარჩენისთვის იბრძოდა. იმ პერიოდში ვუდმა იმედით აღსავსე ნახატები შექმნა, რომლებზეც კარგი დრო იყო გამოსახული. „მლეწავების სადილი“ XIX საუკუნის სცენას ასახავს, როდესაც მანქანები ჯერ კიდევ არ არსებობდა და სოფლის მეურნეობა ყვაოდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ამერიკელი ფერმერების მიწები მტვრის გროვად იქცა, თუმცა, ვუდი იმავე მიწებს აყვავებულს ხატავდა. ხელოვნების მოყვარულები ვუდის თბილი და მეგობრული ნახატებით დღემდე იხიბლებიან.



**სთოუნ-სითი, აიოვა.** 1930წ. ხის დაფა. ზეთი



**მლეწავების სადილი.** 1934 წ. მაგარი მუყაო. ზეთი

# ცხოველები მხატვრობაში

ცხოველები ნახატებზე გამოქვაბულების მხატვრობის დროიდან ანუ ათასობით წლის წინ გამოჩნდნენ. მხატვრობის სხვადასხვა მიმდინარეობა ცხოველებს სხვადასხვაგვარად გვიჩვენებს. ნახატებზე აღბეჭდილია როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველები და ღმერთების ინკარნაციები.



**განვითარება II.**
მაურიც კორნელის ეშერი
1939 წ. გრავიურა ხეზე.
ეშერის მიერ ნამუშევრებში კრამიტისებრი, განმეორებადი მოტივები, ე.წ. „ტესელაციები" გამოყენებული. ამ ნახატზე ეშერმა უსასრულობა გადმოსცა, რისთვისაც ორნამენტები [illegible] დაიყვანა.

გაიგე მეტი!
აფრიკული [illegible] მეტი 112-ე გვერდზე წაიკითხე.



**ცხენი და მატარებელი.**
ალექს კოლვილი
1954 წ. მაგარი მუყაო, ზეთი. კოლვილის შთაგონების წყარო მეორე მსოფლიო ომზე შექმნილი ლექსი იყო. მხატვარს სურდა ეჩვენებინა, რომ მდგომარეობა ერთი შეხედვით უიმედოა, თუმცა არჩევანი მაინც არსებობს. ნეტავ, მატარებელი შეჩერდება თუ ცხენი გადავა ლიანდაგებიდან?





**ჩილინგემის გარეული მსხვილფეხა საქონელი.**
ედვინ ლენდსირი
1867წ. ტილო, ზეთი. ლენდსირის ცხოველების სენტიმენტალური ნახატები ვიქტორიანული ინგლისის საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.



**კამეჩის ნიღაბი.**
ხე. კამერუნში ამილეკეს ტომის ხალხი ასეთ ნიღბებს ტომის ცერემონიებზე ატარებდა. კამეჩი ძლიერ და მამაც ცხოველად მიიჩნეოდა. მის ნიღაბს ნუშის ფორმის ბრწყინვალე თვალები, დიდი კბილები და ნესტოები ჰქონდა და ტომის ბელადის ძლიერებას განასახიერებდა.

**მდინარის მანათობელი კალმახი.**
კენუჯაკ აშევაკი
2008 წ. ქვა და სტენსილი. კანადელი მხატვარი აშევაკი 1927 წელს ესკიმოსების იგლუში დაიბადა. მან ტრადიციული ესკიმოსური კულტურა დასავლური მხატვრობის მიმდინარეობაში გააერთიანა.





**ლურჯი მელა. ფრანც მარკი**
1911 წ. ტილო. ზეთი. ექსპრესიონისტი ფრანც მარკი ცხოველებს სიმბოლური ფერებით ხატავდა, რათა მათი სულიერი ბუნება გადმოეცა. ლურჯი ფერი მამაკაცობას განასახიერებდა, ყვითელი – სიხარულესა და ბედნიერებას, ხოლო წითელი – ძალადობას. მარკისთვის ლურჯი ყველაზე ღრმა, სულიერი, პირველადი ფერი იყო.

**ლეკვი. ჯეფ კუნსი**
1992 წ. უჟანგავი ფოლადი, მინა, გეოტექსტილის ქსოვილი, ყვავილოვანი მცენარეები. 12,4 მ სიმაღლის ვესტჰაილენდის თეთრი ტერიერის ლეკვის ქანდაკება ბილბაოში, გუგენჰაიმის მუზეუმთან დგას. ფოლადის ქანდაკება სხვადასხვა ჯიშის ცოცხალი ყვავილებითაა დაფარული და ირიგაციის შინაგანი სისტემის საშუალებით ირწყვება.



**მაიმუნი. ალბრეხტ დიურერი**
1500-იანი წლები. ქაღალდი. აკვარელი და გუაში. რენესანსის ეპოქის მხატვარი და გრავიურისტი ალბრეხტ დიურერი ცხოველებით იყო გატაცებული. მან ერთ-ერთმა პირველმა აქცია ცხოველი თავისი ნახატების თემად.



**ვეფხვი ტროპიკულ გრიგალში. ანრი რუსო**
1891 წ. ტილო. ზეთი. თვითნასწავლი ფრანგი მხატვარი რუსო ცხოველებს ჯუნგლების ფონზე ხატავდა. ტროპიკულ მცენარეებს პარიზის ბოტანიკური ბაღიდან იხატავდა.



**ცხენები. სუი ბეი-ჰუნი**
1950 წ. ქაღალდი. ჩინური მელანი და სალებავი. ჩინელი მხატვარი სუი ბეი-ჰუნი ცხენების ნახატებით იყო ცნობილი. მელნით შესრულებული ნამუშევრები ცხენების მოძრაობას ასახავდა.

როგორ მოხდა ეს?

# ომის შემდგომი აბსტრაქტული მხატვრობა

XIX საუკუნეში სრულიად ახალი სტილი შეიქმნა – მხატვრებმა ემოციების გამოხატვა ფერებისა და ფორმების დახმარებით დაიწყეს. აბსტრაქტულ ნახატებზე ადამიანების, ადგილების ან საგნების ცნობა თითქმის შეუძლებელი იყო. ახალი სტილი თანდათანობით რამდენიმე მიმდინარეობად დაიყო. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) შემდეგ აბსტრაქტული ნახატები შემოქმედის დაფარულ განცდებზე გვაუწყებდა.



იმპრესიონისტი ედგარ დეგა

**- XIX საუკუნე -**

XIX საუკუნის მიწურულის მიმდინარეობები (იმპრესიონიზმი, ნეოიმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი) შემოქმედებით პროცესს და ნახატს ერთნაირად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა.



ექსპრესიონისტი ედვარდ მუნქი

**- XX საუკუნე -**

XX საუკუნის პირველი ნახევრის მიმდინარეობები (სიმბოლიზმი, ფოვიზმი და ექსპრესიონიზმი) ფერების დახმარებით ძლიერ პიროვნულ განცდებს გადმოგვცემდა.



იმპროვიზაცია 9. 1910 წ. ტილო. ზეთი

კანდინსკი XX საუკუნის 20-იანი წლების აბსტრაქტული მხატვრობის ფუძემდებელია. მას ძალიან მოსწონდა ამოტრიალებული ნახატების ფერები და ფიგურები.

**ვასილი კანდინსკი** (1866-1944 წწ.)



სუპრემატისტული კონსტრუქცია. 1910 წ. დაფა. ზეთი

მალევიჩის სუპრემატისტული მხატვრობა უკომპრომისო და მინიმალისტური იყო. მალევიჩისთვის კვადრატი სულიერ სრულყოფილებას განასახიერებდა.

**კაზიმირ მალევიჩი** (1878-1935 წწ.)



კომპოზიცია წითელ, ლურჯ და ყვითელ ფერებში. 1930 წ. ტილო. ზეთი

მონდრიანის ნახატებზე გეომეტრიული ფორმები დომინირებს. როგორც მხატვარი ამბობდა, ასეთმა ფორმებმა ის გაათავისუფლეს ასაგნისაგან და ამით სულიერი სიმშვიდე მოიპოვა.

**პიტ მონდრიანი** (1872-1944 წწ.)

XX საუკუნის 30-იან წლებში სიურრეალისტებმა წარმოსახვითი ნახატების შექმნა დაიწყეს. ისინი ქვეცნობიერში დალექილ გრძნობებს გადმოსცემდნენ.



სიურრეალისტი სალვადორ დალი

**- 1930 -**



ომის შემდგომი საზოგადოება ახალი ტექნოლოგიებით, მათ შორის რადიოთი, კინოთეატრებითა და ტელევიზიით ერთობოდა. აბსტრაქტული მხატვრობის მიმდევრებმაც გამოხატვის ახალი გზების ძიება დაიწყეს.

# აბსტრაქციონისტი მხატვრები სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ...

## ფერების სამყარო



**დიდი მდელო.**
**ელენ ფრანკენტალერი**
1951 წ. ფრანკენტალერმა ჩაწობა-გადღაბვნის ტექნიკა შეიმუშავა, რაც ზეთისა და აკრილის საღებავების გაზავებაში მდგომარეობდა. ამ ტექნიკის შედეგად მის ნახატებზე მონასმები ან ფაქტურა არ ჩანს.



**უსათაურო. მარკ როტკო**
1960-1961 წწ. როტკო მშვიდ, ფიქრიან ემოციებს ერთი ფერის დიდ სივრცეზე გადღაბვნით ხშირად გადმოსცემდა. მისი უზარმაზარი ტილოები უსასრულო სამყაროში მარტოობის განცდას ტოვებს.

### სხვა მიმდინარეობა



ochoir Stencil, firfita XXIX, Temoignages pour l'art abstrait. **ფარელნისა საიდი.** 1952 წ.
თურქი პრინცესა საიდი აბსტრაქტულ მხატვრობას ისლამურ და ბიზანტიურ სტილებთან აერთიანებდა. ის ამბობდა, რომ ხატვისას ტრანსში იმყოფებოდა და საკუთარ თავს სრულიად კარგავდა.

## მოქმედება



**მდინარისკენ გამავალი კარი.**
**ვილემ დე კუნინგი**
1960 წ. დე კუნინგს და ჯექსონ პოლოკს (იხ. გვ. 88) „მოქმედების" მხატვრებს უწოდებენ. მათ ნახატებზე მოქმედება უმთავრესია, დრამატული განცდებიც კარგად ჩანს.



**ნიუ-იორკი. ფრანც კლაინი**
1953 წ. თავდაპირველად რეალისტმა კლაინმა XX საუკუნის 40-50-იან წლებში აბსტრაქტული, შავ-თეთრი, კალიგრაფიული ნახატების ხატვა დაიწყო, რომლებზეც მისი დაკვირვებები იყო აღბეჭდილი.



**შემოდგომის წვეულება.**
**პოლ-ემილ ბორდუა**
1953 წ. რადიკალური კანადელი მხატვარი ბორდუა „ავტომატურად" ხატვას ცდილობდა – ხატვის დაწყებამდე არასდროს ფიქრობდა იმაზე, თუ რას ხატავდა.

## გეომეტრია



**შახი და მატი.**
**მარია ელენა ვიეირა და სილვა**
1949 წ. პორტუგალიელი მხატვრის, ვიეირა და სილვას ნამუშევრები დეტალებითა და რთული ფორმებითაა სავსე, რაც მხატვრის მიერ სინამდვილის დაუსრულებელ ძიებაზე მიუთითებს.



**ფასადი ლურჯ, თეთრ და ვარდისფერ ფერებში. ალფრედო ვოლპი**
1950 წ. თვითნასწავლმა მხატვარმა ვოლპმა ფერადი, პატარა დროშების აბსტრაქტული ნახატებით გაითქვა სახელი. დროშებს ბრაზილიაში ივნისის ყოველწლიურ ფესტივალზე იყენებენ.



**მატეოს სათამაშო. ომარ რეიო**
2009 წ. კოლუმბიელი გრაფიკოსი რაიო აბსტრაქტული, გეომეტრიული ნახატებით არის ცნობილი. ის კვადრატებს, მართკუთხედებსა და უსწორმასწორო ფიგურებს იყენებს და ძირითადად თეთრ, შ
და ზოგჯერ წითელ ფერებში ხატავს.

# ჯექსონ პოლოკი



„როდესაც ხატვას ვიწყებ, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა მაქვს იმაზე, თუ რას გავაკეთებ“.

ჯექსონ პოლოკი სახელგანთქმული აბსტრაქტული ექსპრესიონისტია. მან ხატვის სრულიად ახალი სტილი გამოიგონა. 1947 წელს პოლოკმა მოლბერტის, პალიტრებისა და ფუნჯების გამოყენებაზე უარი თქვა და იატაკზე დადებულ უზარმაზარ ტილოებზე საღებავის მიშხეფება დაიწყო. ამ გზით ნახატი მანამდე არავის შეუქმნია, შემდეგ კი მისი ტექნიკა ძალიან პოპულარული გახდა.



**ნომერი 1.** 1948 წ. 172,7x264,2 სმ. ტილო. ზეთი და ემალის საღებავი



## მიშხეფება და შესხურება

პოლოკი „მიშხეფებულ“ ნახატებს ქმნიდა, რისთვისაც უზარმაზარ ტილოს იატაკზე ამაგრებდა და შემდეგ საღებავს ზემოდან ასხამდა, აშხეფებდა და აწვეთებდა. მხატვარი ენერგიული, ემოციური და კონტროლირებადი მოქმედებებით ხატავდა. პოლოკის ნახატებს გამორჩეული მონაკვეთები არ გააჩნია, ნახატის თითოეული ნაწილი თანაბრად მნიშვნელოვანია.



პოლოკის ხელმოწერა მხატვრის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. მისი სახელი საღებავის შესხურებით იწერებოდა, თუმცა მხატვარი ტილოს ზოგჯერ ხელის გულითაც ნიშნავდა. ხედავ მხატვრის ხელმოწერას ზედა სურათზე?



### ჯექსონ პოლოკი

*1912:* დაიბადა ვაიომინგში, კოდიში. გაიზარდა კალიფორნიისა და არიზონას შტატებში.

*1930:* 18 წლისა ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად და ტომას ჰარტ ბენტონთან ხატვის შესწავლა დაიწყო.

*1936:* მუშაობდა მექსიკელ კედლის მხატვრებთან. ექსპერიმენტულ სახელოსნოში საღებავების შერევის ტექნიკას გაეცნო.

*1945:* დაქორწინდა მხატვარ ლი კრასნერზე.



*1947-1952:* ამ პერიოდში შეიქმნა მისი ყველაზე ცნობილი „მიშხეფებული“ ნახატები.

*1956:* 44 წლისა ავტო-ავარიაში გარდაიცვალა.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



ამერიკის მკვიდრი ინდიელების მიერ სხვადასხვა ფერის ქვიშით შესრულებულმა სიმბოლისტურმა ნახატებმა.



### სერ სიდნი ნოლანი

*1934:* მელბურნში, ვიქტორიის სამხატვრო სკოლის ნაციონალურ გალერეაში ღამის კურსები მოისმინა.

*1941-1945:* 25 წლისა ავსტრალიის არმიაში გაიწვიეს, თუმცა არ ნასულა.

*1945:* ნედ კელის სამშობლოში იმოგზაურა და მის შესახებ სერიული სურათების ხატვა დაიწყო.

*1950-1951:* იმოგზაურა ევროპაში და გაერთიანებულ სამეფოში დასახლდა.

*1981:* მხატვრობაში შეტანილი წვლილისთვის რაინდად შერაცხეს.

*1991:* გარდაიცვალა ლონდონში.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



ცენტრალური ავსტრალიის თვალისმომჭრელმა ფერებმა.



**ანრი რუსოს** ნაივურმა და ბავშვურმა მხატვრობამ.

# სერ სიდნი ნოლანი



ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ავსტრალიელ მხატვარს, სერ სიდნი ნოლანს მდიდარი წარმოსახვა და ექსპრესიულობა ახასიათებს. ნოლანი ძალიან ოსტატურად გვიჩვენებს სინათლის სხივის ანარეკლს ავსტრალიის უსწორმასწორო და ოღროჩოღრო ბუჩქნარებზე. მხატვრის შემოქმედება ავსტრალიელი გმირების დრამატულ ისტორიებსაც მოგვითხრობს. მაგალითად, XIX საუკუნის ცნობილი დამნაშავის, ნედ კელის ცხოვრებამ ნოლანს ნახატების სერიის შექმნა შთააგონა.





**კონსტებლ სკენლონის სიკვდილი.**
1946 წ. 90,4x121,2 სმ. დაფა. მინანქარი

„თუ პეიზაჟის დახატვა გინდათ, ამისათვის აუცილებელია, გქონდეთ სურვილი, გაიგოთ რაც შეიძლება მეტი ამბავი, რომელიც ამ გარემოში მომხდარა."



ნოლანი სწრაფად მუ
და ზოგჯერ საღებავ
პირდაპირ ტუბიდან
ტილოზე. ის ხშირად
ხატავდა ადამიანებს
ხეებსა და ცხოველე
და ავსტრალიური
პეიზაჟებისთვის შეს
ფერებს იყენებდა.





ნოლანის ნახატებზე ნედ კელი შავი ჩაჩქანით და ხელით დამზადებული ჯავშნით იცნობა. კელის და მისი ბანდის წევრებს ასეთი ჯავშანი ეცვათ და პოლიციას იარაღით ებრძოდნენ.

კელი
ტყავ
ნაჭრ
რკინ
ჭანჭ
და გ
ნაწი
იყო
დამზ

## ნედ კელის სერია

ყაჩაღ ნედ კელის პოლიციასთან ბრძოლის სითამამე ჰყოფნიდა, რის გამოც სახალხო გმირად იქცა. 1878 წელს კელიმ და მისმა ბანდამ სტრინგიბარქ კრიკში მდებარე ბანაკში რამდენიმე პოლიციელი და მათ შორის კონსტებლ სკენლონი მოკლეს. 1945 წელს ნოლანმა ნედ კელის ცხოვრების ისტორიაზე ნახატების შექმნა დაიწყო და ამ თემას არაერთხელ მიუბრუნდა. ნოლანი საკუთარ თავსაც არ მიიჩნევდა კანონმორჩილად, ამის მაგალითად კი ის ფაქტი მოჰყავდა, რომ არმიაში არ წავიდა. მის ნახატებში ხშირად ფიგურირებს ღალატისა და უსამართლობის თემები.



**გლენროუენი.** 1955 წ. დაფა.
სოფელი გლენროუენი კელისა და მისი ბანდის ბოლო გაჩერება აღმოჩნდა. პოლიციამ სასტუმროს ალყა შემოარტყა. განთიადისას კელი სასტუმროდან შეჯავშნილი გამოვიდა და პოლიციისკენ სროლით გაემართა.



**სასამართლო.** 1947 წ. დაფა. მინანქარი
კელი ფეხებში დაიჭრა, სადაც ჯავშანი არ იცავდა. მი
სასამართლო მელბურნში გაიმართა. სასამართლომ
კელი დამნაშავედ ცნო და 1880 წელს სიკვდილით და
(ჩამოხრჩობ) მიუსაჯა.




**WHAAM!**
**როი ლიხტენშტაინი**
1963 წ. ტილო, აკრილი და ზეთი.

# ომი მხატვრობაში

ომი მხატვრობაში სხვადასხვა კუთხითაა ნაჩვენები. ზოგი მხატვარი ზუსტ დეტალებს ხატავს, სხვები ტკივილისა და ტანჯვის გადმოცემას ამჯობინებენ, რამდენიმე მხატვარი კი მოქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას. ამის მაგალითია ლიხტენშტეინის „Whaam!" (ბუუხ!) შენ როგორ გგონია, ომის თემაზე დახატულმა ნახატმა გმირული მოქმედება უნდა განადიდოს თუ მკაცრი რეალობა გადმოსცეს?



**გზა დიდებისკენ.**
**კრისტოფერ რიჩარდ უაინ ნევინსონი**
1917 წ. ტილო. ზეთი. ნევინსონი პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში წითელი ჯვრის სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლად მუშაობდა.





**მოხუცებული წყვილი. კეთე კოლვიცი**
1932 წ.

**ომის ტრიუმფი. რენატო გუტუზო**
1966 წ. ტილო. ზეთი. გუტუზო პაბლო პიკასოს მეგობარი იყო. ამიტომ მისი გავლენით, ამ ნახატზე „გერნიკას" (იხ. გვ. 72) ცხენები გამოსახა.

**ბარიკადა რუ-დე-ლა-მორტელერში.**
ერნესტ მეისონიე
1848 წლის ივნისი (სამოქალაქო ომის მოგონება). 1849 წ. ტილო. ზეთი. მეისონიემ რეალისტური სცენებით გაითქვა სახელი. ამ ნახატზე ნაჩვენებია 1848 წლის ივნისში აჯანყებული მუშების გვამები.





**ომის ალეგორია.** ლუკა ჯორდანო
1690-1700 წწ. ტილო. ზეთი. XVII საუკუნის იტალიელი მხატვარი ჯორდანო რელიგიური და მითიური ნახატებით იყო ცნობილი. ეს ნახატი ომს ეხება, თუმცა მასზე მაინც გამოსახულია მითიური ღმერთი (შესაძლოა ეს იყოს ჯავშნისა და იარაღის დამამზადებელი რომაული ღმერთი ვულკანი).





**კისკას პატრული.** ე.ჯ. ჰიუზი
1945 წ. ტილო. ზეთი. ჰიუზი 1940-დან 1946 წლამდე მშობლიური კანადისთვის ომის ოფიციალური მხატვარი იყო. ამ ნახატზე კანადელი ჯარისკაცები კისკას ყინულიან, მთიან კუნძულზე პატრულირებენ. მოქმედება 1943 წელს ხდება.

**მეორე მსოფლიო ომის პილოტების განგაში** (დეტალი). პოლ დეი
2005 წ. ბრინჯაო. მეორე მსოფლიო ომის ბრიტანეთის ბრძოლის შესახებ შექმნილი მონუმენტი



# ენდი უორჰოლი

„იყო წარმატებული ბიზნესში – სწორედ ესაა ხელოვნების ყველაზე მომხიბვლელი სახეობა“.

ენდი უორჰოლი ამერიკაში პოპ-არტის მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი ხელოვანი იყო. პოპ-არტისტები გამოსახულებებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, მათ შორის რეკლამებიდან და ტელევიზიებიდან ილებდნენ. უორჰოლის საუკეთესო ნაწარმოებები 60-იან წლებში შეიქმნა, როდესაც მხატვარმა კინოვარსკვლავების პორტრეტებიც შექმნა. უორჰოლის პორტრეტები გლამურულ დიდებას, სილამაზესა და დროის წარმავალობას ასახავს. მხატვარმა ხელოვნების ძველი განსაზღვრება ეჭვქვეშ დააყენა. მის შემოქმედებაში რთულია სახვითი ხელოვნებისა და პოპულარული კულტურის გამიჯვნა.





მერილინი. 1967 წ. 91,5x91,5 სმ. ტრაფარეტი

## ენდი უორჰოლი

1928: დაიბადა ამერიკაში, პენსილვანიის შტატის ქალაქ პიტსბურგში, სლოვაკი ემიგრანტების ოჯახში.

1945: 17 წლისამ კარნეგის ტექნოლოგიების ინსტიტუტში კომერციული მხატვრობის შესწავლა დაიწყო.

1949: ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად და ჟურნალების ილუსტრატორის წარმატებული კარიერა დაიწყო.

1956: 28 წლისამ თანამედროვე მხატვრობის მუზეუმში მოაწყო პირველი ჯგუფური გამოფენა.

1962: დააარსა სტუდია „ქარხანა“ და ექსცენტრიული მიმდევრები შემოიკრიბა.

1962: შექმნა ტილოზე ტრაფარეტული ბეჭდვის ტექნიკა.

1968: „ქარხნის“ ერთ-ერთმა გაბრაზებულმა წევრმა ესროლა და მძიმედ დაჭრა.

1987: მორიგი ოპერაციის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა და 59 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## რამ მოახდინა ზეგავლენა



ოქროსფერმა, სინმინდით მოსილმა ბიზანტიურმა ხატებმა, რომლებიც უორჰოლმა ბავშვობაში, რომაულ კათოლიკურ ეკლესიაში ნახა.

## კინოვარსკვლავების სახეები



მერილინ მონრო ჰოლივუდის ძალიან ცნობილი ვარსკვლავი იყო 40-იანებიდან 60-იან წლებამდე. ის სილამაზისა და მომხიბვლელობის ეტალონი გახდა, თუმცა ემოციური პრობლემები ჰქონდა და 1962 წლის 4 აგვისტოს დასაძინებელი აბების ჭარბი რაოდენობის მიღების შედეგად გარდაიცვალა.

„ყველას შეუძლია 15 წუთში გახდეს ცნობილი“.

მერილინ მონროს თვითმკვლელობის შემდეგ უორჰოლმა მისი ფილმის რეკლამისათვის გადაღებული ფოტოსურათი გამოიყენა და 20-ზე მეტი ტრაფარეტი დაამზადა. უორჰოლმა რეკლამებისთვის დამახასიათებელი ღია ფერები გამოიყენა და თითოეული ნაბეჭდი ოდნავ განსხვავებული გახადა. მერილინ მონროს გამარტივებული გამოსახულება იმდენად რეალური პერსონაჟი არ არის, რამდენადაც დიდებისა და გლამურის სიმბოლო. უორჰოლმა იმავე მეთოდით სხვა ვარსკვლავებიც, მათ შორის ელვის პრესლი და ლაიზა მინელი გამოსახა.




კემპბელის სუპის ქილა პირველად 1869 წელს დამზადდა. ახლა მსოფლიოში ყველა ცნობს ამ ქილას.




**კემპბელის პამიდვრის სუპი.** 1968 წ. ტრაფარეტი

## პოპ-არტი

უორჰოლი რეკლამებს, სხვადასხვა პროდუქციის შეფუთვას და სატელევიზიო გამოსახულებებს იყენებდა და ნახატებს ყველასათვის ნაცნობ საგნებსა და ვარსკვლავების ფოტოსურათებს ადებდა. უორჰოლის ნახატებზე ხშირად ნახავთ სარეკლამო გამოსახულებებს, როგორიცაა კონსერვის ქილები, კოკა-კოლას ბოთლები და ა.შ.







მერილინი. 1967 წ. ტრაფარეტი

## უორჰოლი მუშაობის პროცესში

უოჰოლმა თავის სახელოსნოს „ქარხანა“ დაარქვა, რადგან იქ სურათებს დიდი რაოდენობით „აწარმოებდა“. მიუხედავად ამისა, ქარხნულად დაბეჭდილი პლაკატებისა და რეკლამებისგან განსხვავებით, უორჰოლის სახელოსნოში ყველაფერი ხელით კეთდებოდა და ამიტომ განსაკუთრებული იყო.

### ახლა შენი ჯერია...

სცადე და ნამუშევარი უორჰოლის სტილში შექმენი. აიღე შენი ციფრული ფოტოსურათი და კომპიუტერში განათება, ფერები და ეფექტები შეუცვალე. დაამზადე რამდენიმე თვალისმომჭრელი გამოსახულება და დაბეჭდე.



9 წლის ოსკარის შემოქმედება

# ქუჩის მხატვრობა

საჯარო ადგილებში ხატვით შემოქმედი ფართო აუდიტორიას მოიპოვებს – მის შემოქმედებას ბევრად მეტი ადამიანი ნახავს, ვიდრე გალერეაში გამოფენილ ნახატებს. ქუჩის მხატვრები კედლებსა და შენობებს ხშირად უნებართვოდ ხატავენ, რის გამოც ქუჩის მხატვრობა პოლემიკის საგანია. ზოგი ხელოვნებათმცოდნე ასეთ მხატვრობას ღირებულად მიიჩნევს, ხოლო სხვები უბრალოდ ვანდალიზმად თვლიან. შენ რომელ აზრს ემხრობი?



## საოცარი კედლები

**ბენქსი** ქუჩის ყველაზე ცნობილი ბრიტანელი მხატვარია, თუმცა სინამდვილეში ვინაა ის, არავინ იცის. ბენქსის გონებამახვილური და ანტისამთავრობო ნახატები ქალაქების ქუჩებში ღამით ჩნდება.

**პატრის ვან ელსენმა** ამსტერდამის ეს სახლი 1999 წელს მოხატა. სპუისტრაატის ქუჩაზე ბევრი სახლია მოხატული. ამ ნახატს „ძველი ცისარტყელის ფერებში" ეწოდება.




ეს გრაფიტი ინგლისელმა ახალგაზრდა გოგონამ შექმნა. ის საკუთარ თავს „სოლვეიგს" უწოდებს.

### ასე ტოვებენ კვალს

ქუჩის მხატვრების უმეტესობა შესასხურებელი საღებავით ან მარკერებით ხატავს. ზოგი, მაგალითად ბენქსი, სტენსილის ტექნიკას იყენებს, რათა გამოსახულება სწრაფად მიიღოს და არ დაიჭირონ.



გერმანელი მირკო რეისერი ქუჩის სამგანზომილებიან ნახატებს ქმნის. მისი ნახატები თითქოს კედლის ზედაპირზე ტივტივებს. რეისერი ძალიან პოპულარულია, ამიტომ მას ქუჩის ნახატების გასაკეთებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იწვევენ. ეს ნახატი – „auf der Lauer" („დაზვერვაზე") რეისერმა გერმანიაში, ჰამბურგში, კამპნაგელ-ჰალეს კედელზე 2006 წლის აპრილში დახატა.









**კეით ჰერინგი** ამერიკელი მხატვარია, რომელმაც ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის კედლების ცარცით მოხატვით გაითქვა სახელი. კედლის ამ ნახატს „ტუტომონდო“ ეწოდება და ჰერინგის გვიანი სტილისთვისაა დამახასიათებელი. ყურადღებას იპყრობს თამამი მონასმები და მკვეთრი ფერები.

**მაკლეიმი** ქუჩის სიურრეალისტური ნახატების შემქმნელ მხატვართა სამეულია. ეს ნახატი გრან-კანარიის ქუჩის მხატვრობის საერთაშორისო შეჯიბრისთვის დაიხატა. ამ შეჯიბრის დროს გრან-კანარია ერთ დიდ მოხატულ ტილოს დაემსგავსა.

**ესკიფი** ესპანელი ქუჩის მხატვარია. ის ხშირად გამოსახავს პერსონაჟებს მოქმედებაში, რითიც მნახველს ისტო[...] წარმოდგენისკენ უბიძგებს.




ქუჩის მხატვრობის ძირითადი თემებია პოლიტიკური შეტყობინებები, ანტიკომერციალიზმი და პაროდია. ნახატებზე ასოები სხვადასხვა ...ოდით გამოისახება და ზოგი ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ ამოკითხვა რთულდება.




ამერიკელი მარკ ბოდე კომიქსების მხატვარია. ის ახალგაზრდა მხატვარ „კუბასთან“ ერთად ქმნის კედლის ნახატებს. აქ ნაჩვენები ქუჩის ნახატი სან-ფრანცისკოში, ნორთ-ბიჩზეა გამოსახული.

# შრომა მხატვრობაში

მხატვრები ყოველთვის ხატავდნენ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის მშრომელ ადამიანებს. თანამედროვეობის სტრესული სამუშაო ასახულია „ბოლო ვადაში“, „ოქროს საწმისი“ კი სოფლის ფერმის ცხოვრებას გვიჩვენებს.



**თამბაქოს ჭრა. ხოსე ფერას დე ალმეიდა ჟუნიორი**
1893 წ. ტილო. ზეთი. ბრაზილიელმა მხატვარმა ალმეიდა ჟუნიორმა [illegible]



**ბოლო ვადა. პამელა კრუკი**
XX საუკუნის მიწურული. ტილო. ხე. აკრილი. ეს სცენა ძალიან გადატვირთულია და მკვეთრი ფერებითაა დახატული. ნაჩვენებია თანამედროვე სამუშაო დღის ციებ-ცხელება. ნახატი ჩარჩოშია ჩასმული, რაც სამგანზომილებიან ეფექტს ქმნის.



**ნიჰონბაში თოვლიან დღეს. ანდო ჰიროშიგე**
1840 წ. [illegible]. ჰიროშიგე ნელიშნადის დროებს ხშირად ხატავდა. ამ დეტალურ სცენაზე ხალხი თოვლიან ედოში (დღევანდელ ტოკიოში) ნიჰონბაშის („იაპონიის ხიდის") სიახლოვეს მუშაობს.



**ნისლის სიგნალი. უინსლოუ ჰომერი**
1885 წ. ტილო. ზეთი. ჰომერის საყვარელი თემა იყო ზღვა. მხატვარი ბუნებასთან მებრძოლ ადამიანებს ხშირად გამოსახავდა. ამ სურათზე მეთევზეებმ მოახლოებული ნისლი შენიშნეს. საინტერესოა, მოასწრებენ ის გემზე დაბრუნებას?

გაიგე მეტი!
ხის გრავიურების შესახებ მეტს 54-55-ე გვერდებზე შეიტყობ.



**იატაკის მხეხავები.**
**გუსტავ კაიბოტი**
1875 წ. ტილო. ზეთი. იმპრესიონისტების ჯგუფის წევრი კაიბოტი სხვადასხვა სცენას ხშირად უჩვეულო კუთხიდან ხატავდა. ის ადამიანებს ყოველთვის ბუნებრივ პოზაში გამოსახავდა.



**ოქროს საწმისი. ტომ რობერტსი**
1894 წ. ტილო. ზეთი. რობერტსის შემოქმედება თავის დროზე პოპულარული არ ყოფილა, თუმცა სიკვდილის შემდეგ მხატვარი ძალიან ცნობილი გახდა. რობერტსი უმეტესად ავსტრალიელ ფერმერებსა და მეცხვარეებს ხატავდა.



**აქბარნამე. აბულფეზი**
XVI საუკუნე. წყლის საღებავები და ოქროს ფოლგა. ქაღალდი. აქბარნამე ანუ აქბარის წიგნი იმპერატორ აქბარის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ამ სურათზე ნაჩვენებია, როგორ ემზადება აქბარ[ის] ხალხი დღესასწაულისთვის.

### ფრიდენსრაიხ ჰუნდერთვასერი

*1928:* დაიბადა ავსტრიაში, ვენაში. მისი ნამდვილი სახელი იყო ფრიდრიხ შტოვასერი.

*1936-1937:* 8 წლისამ სწავლა დაიწყო მონტესორის სკოლაში, რათა მხატვრის ნიჭი განევითარებინა.

*1948:* ვენის სახვითი ხელოვნების აკადემიაში სამი თვე დაჰყო.

*1949:* 21 წლისამ სახელი შეიცვალა და მოგზაურობა დაიწყო.

*1960:* პირველად მოინახულა იაპონია.

1973: 45 წლისა ახალ ზელანდიაში ჩავიდა და ფერმა შეიძინა.

*2000:* სამგზავრო ლაინერ „დედოფალ ელიზაბეტ 2"-ის ბორტზე გარდაიცვალა.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



**გუსტავ კლიმტის** მდიდარმა დეკორაციებმა და ფერებმა.



**ეგონ შილეს** მიერ დახატულმა სხეულის დამახინჯებულმა ფორმებმა.



# ფრიდენსრაიხ ჰუნდერთვასერი

**„სამოთხე აქ არის, მაგრამ ჩვენ მას ვანადგურებთ. მე მინდა გიჩვენოთ, რა ადვილია დედამიწაზე სამოთხის შექმნა!"**





30-დღიანი ფაქსის ნახატი. 1994 წ. 1512x130 სმ. შერეული მასალა.

ავსტრიელ აბსტრაქციონისტ ფრიდენსრაიხ ჰუნდერთვასერს ეკუთვნის თეორია „ტრანსავტომატიზმი“. ეს თეორია მნახველების განცდებს ეხება და ამტკიცებს, რომ ადამიანები ერთსა და იმავე ნახატზე სხვადასხვა რამეს ხედავენ. ერთი ნახატის შეხედვისას შენი რეაქცია განსხვავებული იქნება შენი მეგობრების რეაქციებისგან. ჰუნდერთვასერი ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა და ბევრს მოგზაურობდა. ზოგჯერ ახირებულობითაც გამოირჩეოდა – თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ფერის ჟაკეტი, შარვალი და წინდები ეცვა.



**რონალდ მაკდონალდის სახლი**. ესენი. გერმანია. დასრულდა 2005 წელს.

## საერთაშორისო არქიტექტორი

ჰუნდერთვასერი მხოლოდ მხატვარი არ იყო. ის არქიტექტურითა და ეკოლოგიითაც ინტერესდებოდა. მან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უჩვეულო სტილით გამორჩეული უამრავი შენობა დააპროექტა. ჰუნდერთვასერის სახლების იატაკები ხშირად არათანაბარია, ჭერიდან და კედლებიდან კი მცენარეებია ამოზრდილი. ფანჯრებს სხვადასხვა ფორმა და ზომა აქვს. ამავე დროს თითო შენობაში გაერთიანებულია ჰიდროელექტროსადგური, ეკლესია და საზოგადოებრივი ტუალეტებიც კი.



ფანჯრის ზუსტი მოხაზულობა უსწორმასწორო ფიგურებითაა გარშემორტყმული.



ჰუნდერთვასერს ბუნება ძალიან უყვარდა და სჯეროდა, რომ მხატვრის შთაგონების წყარო სწორედ ბუნების უჩვეულო ფორმები უნდა იყოს. მისთვის სპირალი ცხოვრებისა და სიკვდილის ბუნებრივი ციკლის სიმბოლო იყო და ამ სიმბოლოს თითქმის ყველა ნახატში იყენებდა. ჰუნდერთვასერი სწორ ხაზებს იშვიათად ხატავდა და მანქანების და შენობების ფანჯრებიც კი მოძრავი ფორმებით აქვს გადმოცემული.



ეს ნახატი 30 A4 ფორმატის ქაღალდისგან შედგება. ყურადღება მიაქციე კაშკაშა, კონტრასტულ ფერებს. ჰუნდერთვასერი ხშირად იყენებდა ოქროსა და ვერცხლის ფირფიტებსაც, რათა ნახატი „მოციმციმე“ გამოსულიყო.

### ახლა შენი ჯერია...

სცადე ჰუნდერთვასერის სტილში დახატვა. თავდაპირველად სპირალები და სხვა არაწესიერი ფიგურები მოხაზე (არ გაავლო სწორი ხაზები) და შემდეგ კედლებიდან ან ჭერიდან მცენარეები ამოზარდე. გამოიყენე თამამი, კაშკაშა ფერები, რათა თვალისმომჭრელი შედევრი შექმნა.



9 წლის დენიელ ტეილორის ნახატი



ჰუნდერთვასერმა 1999 წელს ახალ ზელანდიაში, კავაკავაში, საზოგადოებრივი ტუალეტები დააპროექტა.



ჰუნდერთვასერის დაპროექტებული ეს სახლი ავსტრიაში, ვენაში 1985 წელს დასრულდა.

# თანამედროვე ხელოვნება

XX საუკუნის მხატვრობა ხშირად არ ეთავსება ხელოვნების ჩვეულებრივ განსაზღვრებას, რადგან უამრავ მიმდინარეობას აერთიანებს. როგორც წარსულში, ხელოვნება დღესაც შეიძლება იყოს ექსპერიმენტული, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამყაროს ჩვენეული აღქმა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის ყოველთვის მაინც ყოველდღიური ცხოვრებით იყო და იქნება შთაგონებული.

## XX საუკუნის შუა ხანები



კადმიუმი წითლის პოპულარული ტონია.

### აკრილის საღებავი

50-იან წლებში პლასტმასისგან დამზადებული აკრილის საღებავი ხელმისაწვდომი გახდა. ეს საღებავი სწრაფად შრება. თანაც, მხატვარს საშუალებას აძლევს, ნახატი თავიდან დაამუშაოს, დეტალები დაამატოს და შეცდომები გაასწოროს ისე, რომ ქვედა ფენაზე დადებული ფერი არ გამოჩნდეს.



მერილინი. 1967 წ. ენდი უორჰოლი

პოპ-არტისტები, მათ შორის ენდი უორჰოლი (იხ. გვ. 94) პოპკულტურის ნიმუშებს იყენებდნენ და რეკლამებისა და ცნობილი კინოვარსკვლავების გამოსახულებებისგან ნახატებს ქმნიდნენ.

### პოპკულტურა (1950–2000)

XX საუკუნის კულტურა მკვეთრად შეიცვალა, რადგან კინოსა და პოპმუსიკის ვარსკვლავები ძალიან პოპულარულები გახდნენ. მატერიალური კეთილდღეობის სურვილმა იმძლავრა, ხოლო მასმედიაში კომიქსების სტილი დამკვიდრდა.





### მსოფლიო ქსელი (1989-)

70-იან წლებში პერსონალური კომპიუტერი ძალიან პოპულარული გახდა. 1989 წელს შეიქმნა მსოფლიო ქსელი, რის შემდეგაც მხატვრებმა საკუთარი ნამუშევრების მსოფლიო ბაზარზე გატანა და გაყიდვა დაიწყეს.





ოთხი რაინდი. 1980. გილბერტი და ჯორჯი

ტექნოლოგიები გაუმჯობესდა. შეიქმნა ფოტოკოპირების მოწყობილობა, ფაქსი, სკანერი, ციფრული ფოტოგრაფია და ვიდეო. თანამედროვე მხატვრებმა ახალი ტექნოლოგიები გამოიყენეს ან მათი მოქმედების იმიტაცია მოახდინეს.

### ახალი ტექნოლოგიები





მთელ მსოფლიოში შეიქმნა თანამედროვე მხატვრობის მუზეუმები, რომლებსაც კორპორაციები ან კერძო კოლექციონერები აფინანსებენ. ზოგი მუზეუმის შენობა თავადაც ხელოვნების ნიმუშია.

### თანამედროვე მუზეუმები

# აი, თანამედროვე ხელოვანების რამდენიმე ექსპერიმენტული ნამუშევარი:

## ინსტალაცია



**GRANDE NUCLEO, NC3, NC4, NC6. MNIFESTACAO AMBIENTAL N.2.**
**ჰელიო ოიტიციკა**
1960-1963 წწ.
ინსტალაცია სხვადასხვა საინტერესო მასალის განლაგებას და მათი მეშვეობით სივრცის შევსებას ნიშნავს. ოიტიციკამ ოთახი ფერადი დაფებით გაავსო.

## კონცეპტუალური მხატვრობა




**მხატვრის სუნთქვა. პიერო მანზონი**
1960 წ. ნამუშევრის იდეა ანუ კონცეფცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად შესრულება. მანზონის ნახატზე ბუშტი იფუშება და სიმბოლურად სუნთქვას ასახავს.

## ფოტოგრაფია



**ჟეფრეის ფიჭვი, სენტინელ დოუმი.**
**ანსელ ადამსი**
დაახლ. 1940 წ. ადამსი ფოტოსურათებს იღებს და მათზე ექსპერიმენტებს ატარებს. მისი შავ-თეთრი, დრამატული ფოტოსურათები მკვეთრი და ღრმაა.



**ლინდა. ჩაკ ქლოუზი**
1975-1976 წწ. ჩაკ ქლოუზი ნახატებს ფოტოსურათებისგან აკეთებს. ფოტოსურათს ჯერ ბადეებად ყოფს და შემდეგ ბადეების ასლი ტილოზე გადააქვს. მხატვრობის ამ მიმდინარეობს სუპერრეალიზმი, იგივე ფოტორეალიზმი ეწოდება.

## პერფორმანსი



**უსათაურო**
**გილბერტი და ჯორჯი**
XX საუკუნე პერფორმანსი მხატვრობას, მუსიკასა და თეატრს აერთიანებს. XX საუკუნის 60-იან წლებში გილბერტი და ჯორჯი „ცოცხალ ქანდაკებებად" გვევლინებოდნენ. მხატვრებს საფირმო უნიფორმა ეცვათ, ხოლო ხელები და სახეები ოქროსფრად ჰქონდათ შეღებილი.

## ვიდეო არტი



**მარსი. ნამ იუნ პაიკი**
1990 წ. ნამ იუნ პაიკი სატელევიზიო გამოსახულებებს იყენებს და ნაწარმოებებს ჩვეულებრივი საგნების ჩაწერილი გამოსახულებებისგან ქმნის.

# ქანდაკება



ქანდაკება დეკორაციული მნიშვნელობის მქონე
სამგანზომილებიანი ფიგურა ან ცალკე მდომი კონსტრუ
თანამედროვე მოქანდაკეები სამრეწველო და ყოველდღ
მასალასაც იყენებენ, თუმცა არც ქვაზე კვეთის და ბრინ
ჩამოსხმის ტრადიციული ტექნიკა დაკარგულა.



# ქვაში გამოკვეთილი ქანდაკება

ისტორია ასეთია...

ადამიანებმა ქვისგან სხვადასხვა საგნის გამოკვეთა 26000 წლის წინ დაიწყეს. პირველი ქანდაკებები მნიშვნელოვან პერსონაჟებს – მმართველებს, ღმერთებს, მითიურ არსებებს ან წინაპრებს განასახიერებდა. უძველესი ქანდაკებების უმეტესობა ძალიან დიდი ზომისა იყო, რათა მნახველზე შეხედვისთანავე უდიდესი შთაბეჭდილება მოეხდინა.





**ლეშანის გიგანტური ბუდა**
VIII საუკუნე.
მჯდომარე ბუდას ამ უზარმაზარი ქანდაკების სიმაღლე 71 მ-ია, მხრების სიგანე 28 მ-ს აღწევს, ხოლო ფეხების სიგრძე 8 მ-მდეა. ეს ქანდაკება ჩინეთში, შიხუანის პროვინციაში კლდეშია გამოკვეთილი. ბუდას ყურები ხისგანაა გამოთლილი.





**ვილენდორფის ვენერა.**
ძვ.წ. დაახლ. 24000 წ.
ევროპაში აღმოჩენილი უძველესი ქვის ქანდაკებები შიშველი ქალების პატარა ფიგურებია. ეს ქანდაკება ვილენდორფში, ერთ-ერთ ავსტრიულ სოფელში აღმოაჩინეს.

ისტორიკოსები მეფე-მღვდელს მიწოდებენ, რადგან მდიდრულად მაცვია და სამკაულებით ვარ მორთული, მაგრამ ჩემი ნამდვილი ვინაობა უცნობია.



**ფიგურა მოჰენჯო-დაროდან.**
ძვ.წ. დაახლ. 2500 წ.
მოჰენჯო დარო ინდუსების სოფელში, თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარეობს. აქ აღმოჩენილი ქანდაკებები ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.



**სფინქსი.** ძვ.წ. დაახლ. 2520-2494 წ
ადამიანის თავის და ლომის სხეული
მითიური ქმნილების უზარმაზარი ფ
ეგვიპტეში გიზის პირამიდებს იცავს
ეგვიპტური ფიგურები, როგორც წე
პირდაპირ იყურებიან.



**ლომის კარიბჭე მიკენში.** ძვ.წ. დაახლ. 1250 წ.
ეს შთამბეჭდავი კარიბჭე ძველ ბერძნულ ქალაქ მიკენს ეკუთვნის. კარიბჭეს ორი ძუ ლომი იცავს, რომელთაც თავდაპირველად ლითონის თავები ჰქონდათ.



**ნეფერტიტი.**
ძვ.წ. დაახლ. 1340 წ.
ფარაონ ეხნატონის
ნეფერტიტი სილამ
განთქმული. ეს ქან
კირქვისგანაა დამზად
ზემოდან მობათქაშებუ



**ასურული ხარი.** ძვ.წ. 713-706 წწ.
4 მ სიმაღლის ეს უზარმაზარი, მითიური ქმნილება ადამიანის თავის მქონე ფრთოსანი ხარი ლამასუა. ასეთი ფიგურების წყვილი სარგონ II-ის სასახლეში, თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე იდგა.



**ოლმეკის თავი.** ძვ.წ. 1400-400 წწ.
ოლმეკები მექსიკაში ძვ.წ. 1400-400 წლებში ცხოვრობდნენ. მათ ჩაჩქანიანი თავების უზარმაზარი ქვის ქანდაკებები დაამზადეს. თავები სავარაუდოდ ოლმეკების მმართველებს ეკუთვნოდა.

**მოაი.**
1250-1500 წწ.
ეს მოაი ერთ-ერთია ასობით უზარმაზარი ფიგურიდან, რომლებიც წყნარი ოკეანის აღდგომის კუნძულზე დგას. გადმოცემის მიხედვით, მოაი კუნძულზე მცხოვრებთა მკვდარი წინაპარია.





# ტერაკოტის არმია

ძვ.წ. დაახლ. 246 წელს ჩინეთის პირველმა იმპერატორმა, ცინ შიხუანმა აკლდამის ასაგებად დაახლოებით 700000 მუშა დაიქირავა. ასწლეულების შემდეგ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა, რომ იმპერატორის აკლდამას წითელი თიხისგან, ე.წ. ტერაკოტისგან გამოძერწილ არმია იცავდა. სავარაუდოდ, ცინ შიხუანს სწამდა, რომ ეს არმია მას საიქიო იმპერიის მართვაში დაეხმარებოდა.



გადმოცემის თანახმად, ცინ შიხუანი უკვდავების საიდუმლოს ამოხსნაზე გამუდმებით ფიქრობდა.



ტერაკოტის არმიის აღმოჩენამ მთელი სამყარო აღაფრთოვანა. დღეს ამ არმიას ძველი სამყაროს მერვე საოცრებას უწოდებენ.



1974 წელს ჩინეთში სიანის ადგილობრივი ფერმერები ჭას თხრიდნენ, როდესაც შემთხვევით თხრილს მიაგნეს. თხრილში ტერაკოტისგან გამოძერწილი ათასობით მეომარი აღმოჩნდა. მეცნიერებმა გათხრები განაგრძეს და 1976 წელს კიდევ ორი თხრილი აღმოაჩინეს, სადაც კიდევ უფრო მეტი მეომარი იპოვეს.



მეომრების სიმაღლე 2 მეტრამდეა, ხოლო წონა 300 კგ-ს აღწევს. მეომრებს შორის არიან არბალეტის მსროლელები, მეეტლეები, ოფიცრები და გენერლები.

## უზარმაზარი წარმოება

იმპერატორის ტერაკოტის არმიის შექმნას 700000-ზე მეტი ხელოსანი და მუშა დასჭირდა. ასეთი დიდი მასშტაბის სამუშაოზე თითოეულ მუშას კონკრეტული დავალება ჰქონდა შესასრულებელი (როგორც ეს თანამედროვე ქარხნებში ხდება). საოცარია, მაგრამ თითოეული მეომრის ქანდაკება გამორჩეულია. მათი სიმაღლე, ჩაცმულობა და ვარცხნილობა რანგზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, თითოეული ქანდაკება დეტალურადაა გამოკვეთილი, მეომრებს ფეხსაცმლის ლანჩებიც კი დაკბილული აქვთ.



ტერაკოტის არმია 1974 წელს აღმოაჩინეს. ზოგი მეომარი უკვე დამტვრეული ან დაბზარული იყო, მაგრამ უმეტესობის აღდგენა მოხერხდა. ისტორიკოსებმა გაარკვიეს, რომ მეომრები ცალკეული ნაწილებისგან იყვნენ აგებულნი. ზოგიერთ ქანდაკებაზე სახელოსნოს სახელწოდებასაც კი მიაგნეს.

### ახლა შენი ჯერია...

ცინ შიხუანი მხოლოდ 13 წლის იყო, როდესაც ტერაკოტის არმიის მშენებლობა დაიწყო. თუ მოინდომებ, თიხისგან პრიმიტიული მეომრის გამოძერწვა არც შენ გაგიჭირდება. სცადე და შექმენი შენი არმია.



ბავშვების სახელოსნოში დამზადებული ეს მოდელები ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

# როგორ გამოვთალოთ ხის ქანდაკება

ხის ფიგურები ან დეკორაციები სპეციალური საჭრელი იარაღით კეთდება. ოსტატები ხისგან უამრავ რამეს ამზადებენ – ნიღბებით დაწყებული და შენობებით დამთავრებული.





## ხეზე ჭრის ისტორია

ხისგან დეკორაციული ფიგურების ან ქანდაკებების დამზადება უძველესი ტრადიციაა.



ძვ.წ. დაახლ. 1327 წ. ახალგაზრდა ფარაონის აკლდამაში შავი ლეოპარდით მოჯირითე ტუტანხამონის ოქროსფერი ქანდაკება აღმოაჩინეს. ქანდაკება საიქიოში მოგზაურობის სიმბოლოა.



თარიღი უცნობია. ახალზელანდიელი მაორების მიერ დამზადებული სახეები შესაძლოა ტომის წინაპარს ეკუთვნოდეს, თუმცა, სავარაუდოდ, დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს.



დაახლ. 1407 წ. იაპონიაში, იცუკუშიმა ჯინჯას სალოცავის ხუთსართულიანი პაგოდას სახურავებზე დიდი ზომის შვერილები აქვს.

## ტოტემის სვეტი

მკვიდრი ამერიკელების ტომები ტოტემის სვეტებს ძირითადად ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე ამზადებდნენ. ტოტემის სვეტი კედრისგან ითლებოდა. კედარი 61 მეტრამდე იზრდება და სხვა ხეებთან შედარებით გვიან ლპება. ტოტემის სვეტების სიმაღლე 3 მ-დან 30 მ-მდე მერყეობს. მათი აგებულება საკმაოდ რთულია. ინდიელები სვეტებით კონკრეტული ოჯახების უძველეს მითებს გადმოსცემდნენ და ზედ ოჯახის გერბს (ხშირად ტყის ან მთის ცხოველს), წინაპრის ფიგურას და მითიურ ან ნაწ[illegible] ისტორიულ მოვლენებს გამოს[illegible]



1501-1505 წწ. გერმანელი მოქანდაკე ტილმან რიმენშნაიდერი ძირითადად ხეზე მუშაობდა. მისი ზოგი ნამუშევარი გერმანიის ეკლესიებში დღემდეა შემორჩენილი. ამ სურათზე რიმენშნაიდერის მიერ გამოთლილი „საიდუმლო სერობაა" (დეტალი) გამოსახული.



XVII საუკუნე. გრინლინგ გიბონსმა ხის დეკორაციული ფიგურებით გაითქვა სახელი. ის ხილის, გვირგვინებისა და ცხოველების ფიგურებს აქანდაკებდა.



1969 წ. ლუი ნეველსონი ხის კედლების გამოქანდაკებით და მოხატვით გახდა ცნობილი. ის ხშირად იყენებს ყოველდღიურ საგნებს და აბსტრაქტულ ფორმებს. აქ ნაჩვენებია „სარკის გამოსახულება 1".



XX საუკუნე. სტივენ ბალკენჰოლი ფიგურებს ხისგან აქანდაკებს. ფიგურების ზედაპირი უხეშია და საჭრისის კვალი ეტყობა, რაც ჩრდილებს ქმნის და ქანდაკებას აცოცხლებს. ბალკენჰოლი ქანდაკებებზე ხატავს



## ასე მზადდება ტოტემის სვეტი



**1** ხის ნაჭერს ქერქი სცილდება და შემდეგ ზედ ესკიზი იხატება. დიდი ზომის ტოტემის სვეტების დამზადებისას შალაშინი გამოიყენება.



**2** მოღუნული დანით დეტალები იჭრება. ოსტატი ანათალებს ნელ-ნელა იღებს და ხეს სასურველ ფორმას აძლევს. საჭრისი ოსტატის მიმართულებით მოძრაობს.



**3** დანის არამჭრელი პირით ხე სწორდება და პრიალდება. საბოლოოდ ტოტემის სვეტი იხატება და აღიმართება.




# აფრიკული ქანდაკება

აფრიკული ქანდაკებები ძირითადად ადამიანის ფიგურებია და სხვადასხვა მასალისგან, მათ შორის ქვისგან, ცხოველების რქებისგან, ბრინჯაოსგან, ტერაკოტისა და ხისგან მზადდება. ნილბები, თავები და პატარა ფიგურები აფრიკის მრავალ რეგიონში გვხვდება. თითოეულ რეგიონს საკუთარი სტილი აქვს. ძველად ამ ქანდაკებების დანიშნულება კედელზე ჩამოკიდება ან მუზეუმში გამოფენა როდი იყო. მათ რელიგიურ ცერემონიებში იყენებდნენ.



**დოგონის ნილაბი.**
მალის დოგონის ხალხმა ხის 80-ზე მეტი სახეობის ნილაბი გამოჭრა. გადმოცემის თანახმად, ზოგ ნილაბს ჯადოსნური ძალა აქვს, ხოლო ზოგი ცხოველებს ან ადამიანებს განასახიერებს.



**ფენგის ნილაბი.**
ეს ნილაბი ეკვატორულ გვინეაში მცხოვრებმა ფენგის ხალხმა დაამზადა. მას ნგილი ეწოდება. გრძელი სახე კაოლინითაა (თეთრი თიხით) მოხატული.



**ობას ფიგურა.**
ეს ქანდაკება იფეს სამეფოს მმართველს, ობას ეკუთვნის. იფე თანამედროვე ნიგერიის ტერიტორიაზე დაახლოებით 700-900 წლებში ყვაოდა. ქანდაკება ბრინჯაოსგან ჩამოასხეს, თუმცა მოდელი თიხისგან იყო დამზადებული.



**იბეჯის ტყუპები.**
ნიგერიის იორუბას ტომის ხალხში ხშირად იბადებოდნენ ტყუპები. თუ ერთი ტყუპი დაილუპებოდა, მოქანდაკე ხის პატარა ფიგურას, იბეჯის თლიდა, რომელიც დაკარგულ ბავშვს განასახიერებდა. დედა ფიგურას ინახავდა და „შვილივით“უვლიდა.



**დენის ნიღბები.**
ასეთ ხის ნილბებს კოტ-დივუარის მოცეკვავე მამაკაცები ატარებენ. დენის ტომის ხალხს სწამს, რომ როდესაც მოცეკვავე ნილაბს გაიკეთებს, სულად ან წინაპრად იქცევა.



**გბაკუნონი.**
ბენინელი თანამედროვე ხელოვანი რომუალდ ჰაზუმე ქანდაკებებს გადაყრილი ნივთებისგან, მაგალითად ძველი ქილებისგან, ყუთებისა და დოქებისგან აკეთებს. მოქანდაკის ბევრი ნამუშევარი ტრადიციულ აფრიკულ ნილბებს წააგავს. ამ ქანდაკებას „გბაკუნონი“ ჰქვია.



**მადაგასკარული საფლავის ნიშნები.**
მაგადასკარის მაჰაფალის ტომის ხალხი საფლავებს ხის სვეტებით და ზებუს რქებით რთავდა. ქანდაკებები გარდაცვლილი ადამიანის ცხოვრების ისტორიებს ასახავს.



**პართენონის ფრიზი** (დეტალი).
ძვ.წ. 447-432 წწ. 160 მ. მარმარილო

## მარმარილოს ქანდაკების ისტორია

მარმარილოში კვეთის ტექნიკა ისტორიის მანძილზე ვითარდებოდა და იხვეწებოდა. მოქანდაკის ხელობა ყოველთვის ძალიან შთამბეჭდავი იყო.



ძვ.წ. 447-432 წწ. პართენონის ფრიზი კლასიკური ბერძნული სტილის ნიმუშია. ბერძნები სრულყოფილ ფიგურებს აქანდაკებდნენ.



ძვ.წ. I-ახ.წ. V საუკუნე. რომის იმპერიაში დღევანდელი თურქეთის ქალაქი აფროდიზიასი ქანდაკების სკოლით იყო ცნობილი.



XV საუკუნე. რენესანსელმა მოქანდაკემ, დონატელომ კლასიკური სტილი გააცოცხლა და რეალისტური ქანდაკებები შექმნა. ეს მის მიერ გამოქანდაკებული წმინდა იოანეა.



XVII საუკუნე. ბაროკოს ეპოქის მოქანდაკე ჯანლორენცო ბერნინი მეფეებისა და დიდგვაროვნების ბიუსტებს ხშირად აქანდაკებდა.





ბერძენმა მოქანდაკე ფიდიასმა ათენის პართენონი (მათ შორის შიდა სვეტების გარშემო გაკეთებული ფრიზები) დააპროექტა და ააგო.

# როგორ გავაკეთოთ მარმარილოს ქანდაკება

ბევრი მოქანდაკე კრისტალური კირქვით, მარმარილოთი მუშაობს. მარმარილო სხვადასხვა ფერისა და ფორმის გვხვდება. მისი გაპრიალება გასაოცარ შედეგს იძლევა.



მოქანდაკეები თვეებისა და წლების განმავლობაში მუშაობენ. ისინი ჩაქუჩების და სხვადასხვა ტიპის სატეხის მეშვეობით ფიგურებს ნელ-ნელა კვეთდნენ.

## ასე კეთდება მარმარილოს ქანდაკება

მარმარილოს გამოქანდაკება ხანგრძლივი პროცესია. მოქანდაკე ჩაქუჩისა და სატეხის დახმარებით დიდი მოთმინებით თლის მარმარილოს, სანამ მას სასურველ ფორმას მიაღებინებს.



1 მოქანდაკეს მძიმე ან წაწვეტებული სატეხი უჭირავს და ჩაქუჩით რაც შეიძლება მაგრად ურტყამს, შემდეგ ქანდაკებას ნამსხვრევებისგან ასუფთავებს და მომდევნო ადგილზე გადადის. ასე იკვეთება ქანდაკების ფორმა.



2 დეტალების დასამზადებლად და ქანდაკების დასახვეწად ბრტყელი სატეხი გამოიყენება. ძველი ბერძნები ქანდაკების ზედაპირს სპეციალური ქვით, კორუნდით ასწორებდნენ, თანამედროვე მოქანდაკეები კი სველ ზუმფარას ქაღალდს იყენებენ. საბოლოოდ ქანდაკება უნდა გაპრიალდეს. ბერძნები გასაპრიალებლად მსუბუქ ქვას ხმარობდნენ.

## კლასიკური ბერძნული სტილი

ძვ.წ.480-300 წლებში ძველმა ბერძენმა მოქანდაკეებმა რეალისტური და იდეალისტური სტილი დაამკვიდრეს, რომელსაც დღეს კლასიკურს უწოდებენ. ბერძნები ადამიანის „სრულყოფილ“ ფიგურებს აქანდაკებდნენ და ბუნებრივი თვისებებით „აჯილდოებდნენ“. იმდროინდელ ქანდაკებებზე ძირითადად ახალგაზრდა, ათლეტური აღნაგობის ადამიანები არიან გამოსახულნი, მათი ჩაცმულობა მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის. კლასიკური სტილის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფიდიასს.



დაახლ. 1770-იანი წლები. რუსეთის დედოფალ ეკატერინე II-ის ეს ბიუსტი როკოკოს სტილის ფრანგი მოქანდაკის, ეტიენ-მორის ფალკონეს მოსწავლეს მერი-ენ კოლოტს ეკუთვნის.



1800-1805 წწ. ალეიჟადინიუ კეთრით იყო დაავადებული და ხელებზე თითები არ ჰქონდა, თუმცა ჩაქუჩით და სატეხით მუშაობას მაინც ახერხებდა.



1886-1901 წწ. ოგიუსტ როდენმა „დაუსრულებელი“ ქანდაკებების სტილი დაამკვიდრა. ამ ქანდაკებას „შტორმი“ ჰქვია.



1913 წ. იაკობ ეპსტეინის „დედა-შვილი“. ნამუშევრის სიმარტივე პრეისტორიული აფრიკული ქანდაკებების ანარეკლია.

# მიქელანჯელო ბუონაროტი

„როგორი მდიდარიც უნდა ვყოფილიყავი, მაინც ღარიბი კაცის ცხოვრებით ვიცხოვრებდი“.

მიქელანჯელოს შემოქმედებითი ცხოვრება 70-წელზე მეტხანს გაგრძელდა. ის იმ დროის ერთ-ერთ საუკეთესო ხელოვანად ითვლებოდა ევროპაში. მიქელანჯელო რომის სიქსტის კაპელას ჭერის მოხატვაზე ოთხი წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ'ის სწორედ ამ ფანტასტიკური ფრესკით არის ცნობილი, მიქელანჯელო საკუთარ თავს მაინც მოქანდაკედ მიიჩნევდა.



**მიქელანჯელო.** დაახლ. 1540წ. დანიელე და ვოლტერა

## მიქელანჯელო ბუონაროტი

*1475:* დაიბადა იტალიაში, ტოსკანაში.

*1488:* 13 წლისა მხატვრის მოსწავლე გახდა, თუმცა მოგვიანებით ქანდაკების აკადემიაში დაიწყო სწავლა.

*1490-1492:* მუშაობდა ფლორენციაში, სადაც გაიცნო მედიჩების ძლევამოსილი ოჯახი.

*1496-1501:* რომში მოქანდაკედ მუშაობდა.

*1501:* 26 წლისამ ბიბლიური მეფე დავითის გამოქანდაკება დაიწყო. დასრულებული ქანდაკება ფლორენციაში სამი წლის შემდეგ გამოფინეს.

*1508-1512:* მოხატა სიქსტის კაპელას ჭერი.

*1564:* გარდაიცვალა 88 წლის ასაკში.



დავითს ხელში შურდული უჭირავს, რომლითაც გოლიათს ქვა ესროლა და მოკლა.

როგორც ბიბლიური მითი მოგვითხრობს, მხოლოდ ახალგაზრდა მწყემსმა დავითმა გაბედა გოლიათთან შებრძოლება.

## დავითი

მიქელანჯელომ ბიბლიური დავითის ქანდაკება 1504 წელს დაასრულა. ქანდაკება ფლორენციის ახლად ჩამოყალიბებული რესპუბლიკის ძლიერების სიმბოლო გახდა. დავითი მამაცი და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი იყო. სწორედ ასეთებად მიიჩნევდნენ ფლორენციელი მოქალაქეები თავიანთ თავს.



ეს დავითის ერთ-ერთი ადრეული ესკიზია, სადაც ბიბლიურ გმირს შურდული უჭირავს. მიქელანჯელოს სწამდა, რომ ყოველ ქვაში ქანდაკება ისედაც არსებობს და მოქანდაკემ ფიგურა უბრალოდ უნდა გამოათავისუფლოს.

## რამ მოახდინა ზეგავლენა?



**ვეროკიოს** „დავითმა“. ვეროკიოს მამაკაცი გმირების იდეალიზირებული ფიგურები მიქელანჯელოს შემოქმედებაზე აისახა.



## დეტალები

მიქელანჯელოს გამოქანდაკებულ ყველა ადამიანს ძალიან რეალისტური სხეული აქვს. გადმოცემების მიხედვით, მიქელანჯელო გვამებსაც კი კვეთდა, რათა ანატომია საფუძვლიანად შეესწავლა. მისი „დავითი“ მაქსიმალურად დეტალური და რეალისტური ქანდაკებაა.





დავითის ქანდაკება 1873 წელს ფლორენციის აკადემიის გალერეაში გადაიტანეს. [illegible] წელს ქანდაკება გამოხდილი წყლით განმინდეს, რომ 500-წლიანი ჭუჭყი მოეცილებინათ.



## დავითის სრულყოფილი ცხვირი

მიქელანჯელოს ბიოგრაფი ჯორჯო ვაზარი გასაოცარ ისტორიას მოგვითხრობს: თურმე ერთ-ერთი დიდებულის აზრით, დავითს მეტისმეტად დიდი ცხვირი ჰქონდა. მიქელანჯელომ დიდებულის საამებლად ცხვირის გასწორება დაიწყო და იატაკზე მტვერი და მარმარილოს ნამსხვრევები დაყარა. დიდებული კმაყოფილი დარჩა. სინამდვილეში, მიქელანჯელომ მარმარილოს ნამსხვრევები ჯიბიდან ამოიღო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ცხვირს მართლა ხელახლა აქანდაკებდა.



დავითი დაახლოებით 5 მსიმაღლისაა, რაც მოზრდილი ადამიანის სიმაღლეს სამჯერ აღემატება.

ფრედერიკ-ოგიუსტ ბართოლდი

1834: დაიბადა საფრანგეთში, ალზასში.

1856: 22 წლისა ეგვიპტეში მოგზაურობისას იქაური მონუმენტებით მოიხიბლა.

1874-1886: მუშაობდა „თავისუფლების ქანდაკებაზე“.

1879: „თავისუფლების ქანდაკებისთვის“ მიიღო ამერიკის პატენტი.

1880: 46 წლისამ აღმოსავლეთ საფრანგეთში „ბელფორტის ლომი“ დაასრულა.

1904: გარდაიცვალა პარიზში.

რამ მოახდინა ზეგავლენა?



უზარმაზარმა ეგვიპტურმა ქანდაკებებმა, მათმა სიმყარემ და სიმარტივემ.

# ფრედერიკ-ოგიუსტ ბართოლდი

„მისი ჩირაღდანი მთელ მსოფლიოს ეგებება“.

*ემა ლა ზარუსის „ახალი კოლოსიდან“*

ბართოლდი პარიზში მხატვრობასა და არქიტექტურას სწავლობდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისი მთავარი გატაცება ქანდაკება იყო და მთელი ცხოვრება ამ საქმეს მიუძღვნა. ბართოლდი ორი მონუმენტური ქანდაკებით არის ცნობილი – კირქვაში გამოკვეთილი „ბელფორტის ლომით“ და სპილენძის ფირფიტებისგან დამზადებული „თავისუფლების ქანდაკებით“. ეს ქანდაკება საფრანგეთმა ამერიკას ხანგრძლივი მეგობრობის ნიშნად აჩუქა.



**ფრედერიკ-ოგიუსტ ბართოლდი**
1834-1904 წწ.
ბართოლდი პატრიოტი იყო. მან „ბელფორტის ლომი“ საფრანგეთ-გერმანიის ომში (1870-1871 წწ.) ქალაქ ბელფორტის გმირ მოსახლეობას მიუძღვნა.



ქანდაკების გვირგვინზე შვიდი სხივია, რაც შვიდი ზღვისა და შვიდი კონტინენტის სიმბოლოა.

## თავისუფლების ქანდაკება

ქანდაკება ბართოლდიმ დააპროექტა, აგებით კი გუსტავ ეიფელმა ააგო. ეიფელსვე ეკუთვნის პარიზის საყოველთაოდ ცნობილ[illegible] მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი, თავისუფლების სიმბოლოდ ქცეული „თავისუფლების ქანდაკება“ ნიუ-იორკის შტატის თავისუფ[illegible] დგას. მას წელიწადში დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი ნახულობს.

ამ ქანდაკებას მეორე სახელსაც უწოდებენ: „თავისუფლება ანათებს მსოფლიოს“. ის ხის მოდელის მიხედვით დაამზადეს –შიდა კარკასი რკინის არმატურით ააწყვეს, გარედან კი სპილენძის ფირფიტებით დაფარეს.





**ბერტელ ტოვალდსენის** წარმოუდგენლად რეალისტურმა „ლომმა“ (1821 წ.). ეს მონუმენტი საფრანგეთის რევოლუციის დროს დაღუპულ შვეიცარიელ ჯარისკაცებს მიეძღვნა.

**ფაქტები და მონაცემები**

**სიმაღლე ძირიდან ჩირაღდნამდე:** 46 მ

**ხელის სიგრძე:** 5 მ

**ცხვირის სიგრძე:** 1,4 მ

**წონა:** 204 ტ



თავისუფლების ქანდაკებას დაფა უჭირავს, რომელზეც დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადების თარიღი – 1776 წლის 4 ივლისია ამოტვიფრული.

ქანდაკების ძირი ბრინჯაოთია მოპირკეთებული და ზედ პოეტ ემა ლაზარუსის სონეტია ამოტვიფრული. 1883 წელს დაწერილ



## საფრანგეთის საჩუქარი

ქანდაკება გუსტავ ეიფელმა საფრანგეთში ააგო, რის შემდეგაც 1886 წელს ატლანტიკის ოკეანის გავლით ნიუ-იორკში ჩაიტანეს და აღმართეს. ქანდაკების ნაწილების ტრანსპორტირებას ხის 214 უზარმაზარი ყუთი დასჭირდა.

„თავისუფლების ქანდაკების“ თავი და მხრები პარიზის საყოველთაო გამოფენაზე 1878 წლის ივნისში გამოიტანეს. მანამდე ქანდაკების მშენებლობა საკმაოდ ცუდად ფინანსდებოდა, ქანდაკების თავმა კი ენთუზიაზმი გააღვივა. საფრანგეთის ხელისუფლებამ ლატარიის გათამაშებაც კი დაიწყო, რათა ფული მოეძიებინა და ბერტოლდსა და ეიფელს ქანდაკების დასრულების საშუალება მისცემოდათ.



**გუსტავ ვიგელანდი**

*1869:* დაიბადა ნორვეგიაში, მანდალის ფერმაში.

*1888:* 19 წლისამ მოქანდაკეობა გადაწყვიტა და ნორვეგიელ მოქანდაკე ბრიუნულფ ბერგსლინთან დაიწყო სწავლა.

*1891-1896:* მოინახულა ევროპული ქალაქები, მათ შორის – პარიზი. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოგიუსტ როდენმა.

*1894-1896:* ნორვეგიაში რამდენიმე გამოფენა მოაწყო, რითაც ხელოვანთა სამყაროსთვის გახდა ცნობილი.

*1898-1902:* ტრონდჰეიმში ნიდაროსის ტაძრის აღდგენაზე მუშაობდა.

*1921:* 52 წლისამ ქალაქ ოსლოსთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის თანახმად, მოქანდაკე ხელფასს მიიღებდა, ხოლო მისი ქანდაკებები ქალაქის საკუთრება გახდებოდა.

*1924:* კირკევეიენის სახელოსნოში გადავიდა და მომდევნო 19 წელიწადი ფრონერ- პარკის შექმნაში გაატარა.

*1943:* გარდაიცვალა ოსლოში.

## რამ მოახდინა ზეგავლენა?



**ოგიუსტ როდენის** რეალისტურმა ფორმებმა და ქალსა და მამაკაცს შორის მჭიდრო კავშირის გამომსახველმა ქანდაკებებმა; როდენის ამ ცნობილ ქანდაკებას „მოაზროვნე“ ჰქვია (1880-1882 წწ. ბრინჯაო).

# გუსტავ ვიგელანდი

ნორვეგიელმა მოქანდაკე გუსტავ ვიგელანდმა ქალაქ ოსლოსთან უნიკალური კონტრაქტი გააფორმა: მას ხელფასი დაუნიშნეს და სახელოსნო გამოუყვეს იმ პირობით, რომ მისი ქანდაკებები ქალაქის საკუთრება გახდებოდა. ასე დაიწყო ვიგელანდმა ყველაზე ამბიციურ პროექტზე მუშაობა, რომელსაც ვიგელანდის ქანდაკებების პარკი ეწოდა.





პარკს გრძელი, სწორი, ფეხით სავალი ბილიკი გასდევს. ბილიკი „დიდი კარიბჭიდან“ იწყება და „სიცოცხლის ბორბალსა“ და „ხიდს“ მიუყვება.

## გავიაროთ ცხოვრების გზა

ვიგელანდის ქანდაკებების ძირითადი თემა ადამიანის ცხოვრებაა დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ქანდაკებებზე ნაჩვენებია დაუბადებელი ბავშვი, მოთამაშე ბავშვები, მოზრდილი ადამიანები და მშობლები. ვიგელანდის ქანდაკებები, როგორც წესი, ყოველდღიური საქმიანობით არიან გართულნი, სახეზე კი სიყვარულის, ბედნიერების, სიბრაზისა და სევდის განცდა აწერიათ.





## ვიგელანდის ქანდაკებების პარკი

ამ პარკში ბრინჯაოსა და გრანიტის 200-ზე მეტი შიშველი ფიგურაა თავმოყრილი. ყველა ქანდაკება გუსტავ ვიგელანდმა დააპროექტა, მისმა დამხმარეებმა კი დაამზადეს. პარკის ფართობი 320000 კვადრატული მეტრია და მოზრდილი ფრონერ-პარკის ნაწილს წარმოადგენს. ქანდაკებების პარკი ძირითადად 1939-1949 წლებში აშენდა.



### სიცოცხლის ბორბალი

ეს ერთმანეთზე მოჭიდებული ადამიანების ბრინჯაოს ქანდაკება ცხოვრებისეულ ციკლის სიმბოლოა. ვიგელანდს „ბორბალი“ ძალიან მოსწონდა და ერთხელ თქვა კიდეც, ასეთი დახვეწილი აქამდე არაფერი გამიკეთებიაო.



ვიგელანდის პარკი ერთი მოქანდაკის მიერ შექმნილი ქანდაკებების უდიდესი პარკია.



### ხიდი

ხიდის ნაპირებზე კაცების, ქალებისა და ბავშვების 58 ქანდაკება დგას. მარტოსული ადამიანები, წყვილები ან ჯგუფები ადამიანურ ემოციებს გადმოგვცემენ. ქანდაკებებს შორის დიდი ზომის ფარნებია.





ეს ქანდაკებები გრანიტისაა.

### გუსტავ ვიგელანდი

*1869:* დაიბადა ნორვეგიაში, მანდალის ფერმაში.

*1888:* 19 წლისამ მოქანდაკეობა გადაწყვიტა და ნორვეგიელ მოქანდაკე ბრიუნულფ ბერგსლინთან დაიწყო სწავლა.

*1891-1896:* მოინახულა ევროპული ქალაქები, მათ შორის – პარიზი. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოგიუსტ როდენმა.

*1894-1896:* ნორვეგიაში რამდენიმე გამოფენა მოაწყო, რითაც ხელოვანთა სამყაროსთვის გახდა ცნობილი.

*1898-1902:* ტრონდჰეიმში ნიდაროსის ტაძრის აღდგენაზე მუშაობდა.

*1921:* 52 წლისამ ქალაქ ოსლოსთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის თანახმად, მოქანდაკე ხელფასს მიიღებდა, ხოლო მისი ქანდაკებები ქალაქის საკუთრება გახდებოდა.

*1924:* კირკევეიენის სახელოსნოში გადავიდა და მომდევნო 19 წელიწადი ფრონერ- პარკის შექმნაში გაატარა.

*1943:* გარდაიცვალა ოსლოში.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



**ოგიუსტ როდენის** რეალისტურმა ფორმებმა და ქალსა და მამაკაცს შორის მჭიდრო კავშირის გამომსახველმა ქანდაკებებმა; როდენის ამ ცნობილ ქანდაკებას „მოაზროვნე" ჰქვია (1880-1882 წწ. ბრინჯაო).

# გუსტავ ვიგელანდი

ნორვეგიელმა მოქანდაკე გუსტავ ვიგელანდმა ქალაქ ოსლოსთან უნიკალური კონტრაქტი გააფორმა: მას ხელფასი დაუნიშნეს და სახელოსნო გამოუყვეს იმ პირობით, რომ მისი ქანდაკებები ქალაქის საკუთრება გახდებოდა. ასე დაიწყო ვიგელანდმა ყველაზე ამბიციურ პროექტზე მუშაობა, რომელსაც ვიგელანდის ქანდაკებების პარკი ეწოდა.





პარკს გრძელი, სწორი, ფეხით სავალი ბილიკი გასდევს. ბილიკი „დიდი კარიბჭიდან" იწყება და „სიცოცხლის ბორბალსა" და „ხიდს" მიუყვება.

## გავიაროთ ცხოვრების გზა

ვიგელანდის ქანდაკებების ძირითადი თემა ადამიანის ცხოვრებაა დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ქანდაკებებზე ნაჩვენებია დაუბადებელი ბავშვი, მოთამაშე ბავშვები, მოზრდილი ადამიანები და მშობლები. ვიგელანდის ქანდაკებები, როგორც წესი, ყოველდღიური საქმიანობით არიან გართულნი, სახეზე კი სიყვარულის, ბედნიერების, სიბრაზისა და სევდის განცდა აწერიათ.





## ვიგელანდის ქანდაკებების პარკი

ამ პარკში ბრინჯაოსა და გრანიტის 200-ზე მეტი შიშველი ფიგურაა თავმოყრილი. ყველა ქანდაკება გუსტავ ვიგელანდმა დააპროექტა, მისმა დამხმარეებმა კი დაამზადეს. პარკის ფართობი 320000 კვადრატული მეტრია და მოზრდილი ფრონერ-პარკის ნაწილს წარმოადგენს. ქანდაკებების პარკი ძირითადად 1939-1949 წლებში აშენდა.



### სიცოცხლის ბორბალი

ეს ერთმანეთზე მოჭიდებული ადამიანების ბრინჯაოს ქანდაკება ცხოვრებისეულ ციკლის სიმბოლოა. ვიგელანდს „ბორბალი“ ძალიან მოსწონდა და ერთხელ თქვა კიდეც, ასეთი დახვეწილი აქამდე არაფერი გამიკეთებიაო.



ვიგელანდის პარკი ერთი მოქანდაკის მიერ შექმნილი ქანდაკებების უდიდესი პარკია.



### ხიდი

ხიდის ნაპირებზე კაცების, ქალებისა და ბავშვების 58 ქანდაკება დგას. მარტოსული ადამიანები, წყვილები ან ჯგუფები ადამიანურ ემოციებს გადმოგვცემენ. ქანდაკებებს შორის დიდი ზომის ფარნებია.





ეს ქანდაკებები გრანიტისაა.

# აბსტრაქტული ქანდაკება

XX საუკუნის მოქანდაკეებმა ბევრი ახალი იდეა და ტექნიკა გამოსცადეს. ზოგმა ხელოვანმა ფოლადით, მინით და სხვა სამრეწველო მასალით დაიწყო ქანდაკებების გაკეთება, სხვებმა კი შედუღება და მსგავსი მეთოდები გამოიყენეს; ბევრი მოქანდაკე ახლად გამოგონილი ნივთიერებებით (მაგალითად, პლასტმასით) დაინტერესდა, რამდენიმემ კი ე.წ. „მოძრავი ქანდაკებების“ გაკეთება სცადა. ასეა თუ ისე, XX საუკუნის ყველა მოქანდაკეს ერთი რამ – აბსტრაქტული სტილი აერთიანებდა.

**როგორ მოხდა ეს?**

აბსტრაქციონისტი მოქანდაკეების შთაგონების წყარო XIX საუკუნეში მოღვაწე ოგიუსტ როდენის ნოვატორული იდეები, ასევე აბსტრაქტული მხატვრობა, კერძოდ კუბისტები და პაბლო პიკასოს ნამუშევრები იყო (იხ. გვ. [illegible]



**ბარბარა ჰეპვორტი**
(1903-1975 წწ.)
ჰეპვორტი ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე გაშენებულ ქალაქ სენტ-ივში ცხოვრობდა. მისი შთაგონების წყარო იქაური პეიზაჟები – კლდეები და ზღვები იყო.

**გახვრეტილი ფორმა**
(ტოლედო). 1957წ. მაჰაგონი

ჰეპვორტის ქანდაკებები ხშირად გახვრეტილია.

ჰეპვორტი ბრინჯაოზე, ხეზე და მარმარილოზე მუშაობდა. მისი ბევრი ქანდაკება ღია ცის ქვეშ ჩვენებისთვის იყო განკუთვნილი.

**ოვალური ქანდაკება.**
1959 წ. ბრინჯაო



**შტორმი.**
**ოგიუსტ როდენი**
1886-1901 წწ. როდენის უხეში, დაუსრულებელი და გამარტივებული ფიგურები ძველ ტრადიციებსა და სამყაროს რეალისტურად ასახვის პრინციპს უპირისპირდება.



**კოცნა.**
**კონსტანტინ ბრანკუზი**
1907-1908 წწ. ბრანკუზის ქანდაკებები არსის ჩანვდომის მცდელობაა და არა საგნების გარეგნული ფორმების გადმოცემა. მისმა ნამუშევრებმა კიდევ უფრო აბსტრაქტულ ქანდაკებას დაუდო საფუძველი.



**კუბი XXVIII.**
**დევიდ სმიტი**
1965 წ. ამერიკელი მოქანდაკე დევიდ სმიტის ნამუშევრებს გონსალესის შედუღებული ქანდაკებებისა და პიკასოს შემოქმედების ზეგავლენა ეტყობა. ის ფოლადის დიდი ზომის, აბსტრაქტულ ქანდაკებებს ქმნიდა. სმიტის ყველაზე ცნობილი ნამუშევრები 60-იან წლებში შექმნილი კუბის ქანდაკებებია. ეს ქანდაკებები შედგება კვადრატებისგან, მართკუთხედებისა და სხვა გეომეტრიული ფიგურებისგან. დროთა განმავლობაში სმიტი სულ უფრო და უფრო დიდი ზომის ქანდაკებებს აკეთებდა.



**სამი საცეცი.**
**ალექსანდრე კალდერი**
1975 წ. ამერიკელი მოქანდაკე ალექსანდრე კალდერი, მარსელ დიუშანის სიტყვით რომ ვთქვათ, „მოძრავი ქანდაკებების" გამოგონებითაა ცნობილი. კალდერის ქანდაკებები მავთულებისა და ლითონის ფირფიტებისგან მზადდება და ოდნავ შეხებაზეც კი მოძრაობს.



**ქანდაკება სიმებით.**
**ბარბარა ჰეპვორტი**
1939 წ. (ჩამოისხა 1961 წელს) ჰეპვორტის ქანდაკებები აბსტრაქტულია, თუმცა ხშირად პეიზაჟებს ან ადამიანების ფიგურებსაც ასახავს. ბარბარა სხვა მოქანდაკეებთან, მათ შორის ჰენრი მურთან (იხ. გვ. 124) ხშირად ატარებდა არდადეგებს და მათ თავის მოსაზრებებს უზიარებდა.



**კაცი-კაქტუსი №1.**
**ხულიო გონსალესი**
1939-1940 წწ. ესპანელმა მოქანდაკე გონსალესმა შედუღებული ლითონის ქანდაკებებით გაითქვა სახელი. მოქანდაკე ლითონების დამუშავებას მამამისის სახელოსნოში დაეუფლა, ხოლო საწვავი აირისა და ჟანგბადის შერევა, ანუ აცეტილენო-ჟანგბადოვანი შედუღება მანქანების ქარხანაში მუშაობისას ისწავლა.

**ქალის თავი. ნაუმ გაბო**
დაახლ. 1917-1920 წწ.
გაბო მოძრავი მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელია, რომელმაც კონსტრუქტივიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ის მუშაობისას სამრეწველო მასალებს, მათ შორის ხეს, ლითონებს, მინასა და პლასტმასას იყენებდა. გაბოს ამ ქანდაკებას „ქალის თავი" ეწოდება და პლასტმასის ერთ-ერთი პირველი ფორმისგან – ცელულოიდისგანაა დამზადებული.



### ჰენრი მური

*1898:* დაიბადა ინგლისში, კასტლფორდში.

*1917:* 19 წლისა არმიაში წავიდა, სადაც ქიმიური თავდასხმის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო.

*1919:* დაენიშნა ყოფილი სამხედრო პირის სტიპენდია. მხატვრობისა და დიზაინის ლიდსის კოლეჯში ქანდაკების შესწავლა დაიწყო.

*1924:* მოიპოვა მოგზაურის სტიპენდია და ჩრდილოეთ იტალია მოინახულა.

*1932-1939:* 34 წლისა ჩელსის მხატვრობის სკოლაში ქანდაკების განყოფილების უფროსი გახდა.

*1948:* მოიგო მოქანდაკის საერთაშორისო პრიზი.

*1972:* დააფუძნა ჰენრი მურის ფონდი.

*1986:* გარდაიცვალა 88 წლის ასაკში.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



**შუმერულმა ქანდაკებებმა,** რომელთაც მური ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში სწავლობდა.



**ჯინ არპის** აბსტრაქტულმა ქანდაკებებმა.



# ჰენრი მური

„ნებისმიერ ხელოვნებას უნდა ჰქონდეს საიდუმლო და მნახველისგან გონების დაძაბვას მოითხოვდეს".

ჰენრი მური იორკშირელი მეშახტის 8-შვილიან ოჯახში დაიბადა. 11 წლისამ მოქანდაკეობა გადაწყვიტა და XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოქანდაკე გახდა კიდეც. მურის ქანდაკებებში უძველესი ხელოვნების გავლენა უფრო იგრძნობა, ვიდრე რენესანსის ეპოქის ქანდაკებებისა და ნახატების მშვენიერება.

## წამოწოლილი ფიგურები

მურის ქანდაკებების უმეტესობას ქალის ფორმები აქვს და გვერდზეა გადაწვენილი. ქანდაკებების გამრუდებული ფორმები მურის მშობლიური იორკშირის უსწორმასწორო პეიზაჟებთანაა დაკავშირებული. მურის კიდევ ერთი საყვარელი თემა დედაშვილობაა. ეს თემა განსაკუთრებით ხშირად მეორდება მოქანდაკის პირველი შვილის, მერის დაბადების შემდეგ.



ეს ქანდაკება, „დიდი წამოწოლილი ფიგურა", ლონდონში, კიუ-გარდენსში დგას. ქანდაკება მსუბუქი მინაბოჭკოსგანაა დამზადებული და ამიტომ მისი გადაადგილება უფრო იოლია, ვიდრე ბრინჯაოს ქანდაკებისა.

მური კარიერის მიწურულს ძირითადად ბრინჯაოს იყენებდა და დიდი ზომის ქანდაკებებს ქმნიდა.



**წამოწოლილი ფიგურა.** 1981წ. ბრინჯაო



ალბერტო ჯაკომეტი

*1901:* დაიბადა შვეიცარიაში, ბორგონოვოში, მხატვარ ჯოვანი ჯაკომეტის ოჯახში.

*1922:* 21 წლისა პარიზში გადავიდა საცხოვრებლად და ემილ-ანტუან ბურდელის მოსწავლე გახდა. ბურდელი მოქანდაკე იყო და ოგიუსტ როდენთან ერთად მუშაობდა.

*1927-1935:* მუშაობდა სიურრეალიზმის ჟანრში.

*1941-1945:* მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შვეიცარიაში ცხოვრობდა, შემდეგ პარიზში დაბრუნდა.

*1947:* პირველი გამოფენისთვის ერთი ღამის განმავლობაში დაასრულა „მამაკაცი თითს იშვერს“.

*1962:* ვენეციის ბიენალეზე გამოფენილ 100-მდე ნამუშევარს შორის 61 წლის ჯაკომეტის ქანდაკებამ გაიმარჯვა.

*1966:* გაირდაიცვალა გულის ავადმყოფობით.

### რამ მოახდინა ზეგავლენა?



**მაქს ერნსტის** და სხვა დადაისტი თუ სიურრეალისტი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრებმა.

# ალბერტო ჯაკომეტი

„მე ადამიანის ფიგურას კი არა, მის ჩრდილებს ვაქანდაკებ“.

შვეიცარიელი მოქანდაკე და მხატვარი ალბერტო ჯაკომეტი პარიზში მუშაობდა. მან ძალიან მაღალი და გამხდარი ფიგურების გამოქანდაკებით გაითქვა სახელი. ჯაკომეტის შემოქმედების პირველ პერიოდს აფრიკული და ოკეანეთის ქვეყნების მხატვრობის გავლენა ეტყობა, იგრძნობა კუბიზმისა და სიურრეალიზმის ზეგავლენაც. მოგვიანებით მოქანდაკე მინიატურული სკულპტურებით დაინტერესდა და საბოლოოდ უნიკალური, სრულიად განსაკუთრებული სტილი შეიმუშავა.



**დიდი ქალი IV.** ოთხი ფიგურიდან ერთ-ერთი

## სრულყოფილების ძიებაში

პერფექციონისტი ჯაკომეტი ფიგურებს ხშირად რამდენჯერმე ამუშავებდა. მაშინაც კი, უკვე ძალიან ცნობილი და წარმატებული მოქანდაკე იყო, მაინც ანადგურებდა იმ ქანდაკებებს, რომლებიც არ მოსწონდა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ძველ ნამუშევრებზე მუშაობა შეიძლება კვლავ გაეგრძელებინა.



ნიუ-იორკში ჩატარებულ პირველ გამოფენამდე ჯაკომეტი მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა ქანდაკებაზე რომელსაც „კაცი თითს იშვერს“ უნოდა. მეორე დღეს, როცა ქანდაკება გამოფენაზე გაიტანეს, ის ჯერ კიდევ სველი იყო.

## მსხვრევადი შედევრები

ჯაკომეტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია „კაცი თითს იშვერს“. ეს 1,7 მ სიმაღლის ქანდაკება ბრინჯაოსგანაა დამზადებული.



ჯაკომეტის ქალები, როგორც წესი, მშვიდები არიან, ხოლო მამაკაცები თითქმის ყოველთვის მოქმედებენ. ამ ქანდაკებას „მოსიარულე კაცი“ ჰქვია (1960 წ.).



## ხელოვანის ხედვა

როგორც ჯაკომეტის ყველა ფიგურას, „მოსიარულე კაცსაც“ (მარცხნივ) რეალურზე ბევრად გრძელი, წვრილი და მსხვრევადი ხელები, ფეხები და სხეული აქვს. ექსპერტების აზრით, სუსტი, მარტოსული და დაძაბული ფიგურები ხელოვანის მიერ სამყაროს პესიმისტურად აღქმაზე მიუთითებს.

### ახლა შენი ჯერია...

წვრილი და დრეკადი მავთულებით ადამიანების ან ცხოველების გამოძერწვა ჯაკომეტის სტილში სცადე. ზოგი ფიგურა უძრავ პოზაში გამოსახე, სხვები კი „აამოძრავე“ ან მოხარე.



7 წლის კელი ფუტის ნამუშევარი



ეს მოქანდაკის მეგობარ ელი ლოტარის ბიუსტია. ჯაკომეტს არ სურდა ბიუსტების რეალურ პერსონაჟებთან ფიზიკური მიმსგავსება და უფრო პიროვნული თვისებების გადმოცემას ცდილობდა.



## როგორ კეთდება ბრინჯაოს ქანდაკება

ჯაკომეტი ბრინჯაოს ქანდაკებებს „ცვილის დაკარგვის“ მეთოდით ამზადებდა. ამ მეთოდის მიხედვით, ჯერ თიხის მოდელი კეთდება, რომელსაც „მომავალი“ ქანდაკების ყველა დეტალი და ფაქტურა ეტყობა. თიხის გაშრობის შემდეგ მოდელი ბათქაშის ან არამდგრადი კაუჩუკის ნაზავის რამდენიმე ფენით იფარება.



# რა არის ლენდ-არტი



ლენდ-არტის ნიმუშები ქვებით, ტოტებითა და ფოთლებით იქმნება და ბუნებრივ პირობებშია გამოფენილი. ლენდ-არტი XX საუკუნის 60-იან წლებში გახდა პოპულარული, თუმცა ის საფუძველს პრეისტორიულ ეპოქაში იღებს. ლენდ-არტის ზოგი ნიმუში მიუვალ ადგილზე მდებარეობს, ზოგის დანახვა კი მხოლოდ თვითმფრინავიდანაა შესაძლებელი.



ასე ველის მცველი. საფრანგეთის ალპები. 2000 წ.

## გოლდსუორთის სტილი



ბრიტანელი ხელოვანი ენდი გოლდსუორთი ბუნებრივ პირობებში მუშაობს. ის ფოთლებს, კენჭებს, ტოტებს, ქვიშას, თოვლსა და ყინულს იყენებს. მისი ქმნილებები ხშირად დიდხანს ვერ ძლებს – დნება ან იშლება. გოლდსუორთი ამ პროცესს სამუშაოს ბოლო სტადიად თვლის.

„თითოეული ქმნილება იზრდება, ცოცხლობს და შემდეგ ქრება...“

## ლენდ-არტის ისტორია

დღემდე გაუგებარია, როგორ ქმნიდნენ უძველესი ცივილიზაციების ადამიანები ასეთ მონუმენტებს, თუმცა ერთი რამ ცხადია – ამ მონუმენტებს სარიტუალო დანიშნულება უფრო ჰქონდა, ვიდრე ესთეტიკური.



ძვ.წ. დაახლ. 3000-1600 წწ. უელსიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით ადამიანებმა უზარმაზარი ლოდებისგან სთოუნჰენჯი ააგეს.



ძვ.წ. დაახლ. 2560 წ. ათასობით მუშა წლების განმავლობაში ტეხდა და ფორმას აძლევდა ქვებს, რომლებითაც გიზის პირამიდები შენდებოდა.



ძვ.წ. 200-ახ.წ. 700 წ. პერუში, ნაზკას უდაბნოს მიწაზე გაკეთებული უზარმაზარი ნიშნები მხოლოდ დიდი სიმაღლიდან ჩანს.





ენდი გოლდსუორთი ფორმებსა და მასალებზე ექსპერიმენტებს ატარებს და ნაწარმოებებს ხშირად ბუნებრივ პირობებში ქმნის.

## როგორ მუშაობს გოლდსუორთი?

გოლდსუორთის ნამუშევრები შექმნისა დ განადგურების ბუნებრივ ციკლს გადის:

1 გოლდსუორთი მხოლოდ ბუნებრივ პირობებ ხელმისაწვდომ მასალებს იყენებს და იარაღებადაც ბუნებრივ საგნებს ხმარობს.

2 მასალას რაიმე ბუნებრივი ქმნილების ფორმას აძლევს. მაგალითად, გოლდსუორთ ფოთლებისგან ლოკოკინას ნიჟარას ამზადე ქვებისაგან კვერცხს თლის.

3 მუშაობის პროცესს ხელოვანი ფოტოსურათ აღბეჭდავს, დასრულებულ ნამუშევრებს კი სტიქიების ზემოქმედების ქვეშ ტოვებს.



1970 წ. „სპირალური მიწაყრილი" რობერტ სმიტსონის ლენდ-არტია. ის ბაზალტის ქვებისა და მიწისგანაა აგებული და სიგრძით 460 მ-ია.



1983 წ. გოლდსუორთის „ქვიშის მატლი" ბუნებრივი მასალებისგანაა დამზადებული და გაწთიადისას შთამბეჭდავი სანახავია.



1995 წ. კრისტო და ჟან-კლოდი ბუნებრივი მასალებით შე ხელოვნებით გახდნენ ცნობილნი. მათ ნამუშევრებს შორ ბერლინის რაიხსტაგის შენობა.

# თანამედროვე ქანდაკება

თანამედროვე მოქანდაკეები ახალ და უჩვეულო მასალებს იყენებენ, მათ შორის – ფოლადს, ქსოვილს, ქრომსა და გადამუშავებულ საგნებსაც კი. რამდენიმე თანამედროვე უზარმაზარი ქანდაკება საჯაროდ არის გამოფენილი და მისი ნახვა ყველას შეუძლია, ზოგი კი უჩვეულო ადგილებზე, მაგალითად, სახლის სახურავებზე ან ზღვის სანაპიროებზე დგას.



**ბუშტის ძაღლი** (ყვითელი).
**ჯეფ კუნსი**
1994-2000 წწ. კუნსი, ბევრი სხვა შემოქმედის მსგავსად, თვითონ კი არ ქმნის ქანდაკებებს, არამედ უბრალოდ იდეებს ამბობს. ის ყველასთვის ცნობილ საგნებსა და არსებებს იუმორისტულად გამოსახავს. მაგალითად, ძალიან დიდი ზომის და მბზინვარე ძაღლი ამრეკლავი, უჟანგავი ფოლადისგანაა დამზადებული და „სადღესასწაულო“ სერიის ნაწილია, რომელიც ბავშვებისთვის კარგად ნაცნობ არსებებს ეხება.



**ჩრდილოეთის ანგელოზი. ენტონი გორმლი**
1994-1998 წწ. გორმლი თავისი ნამუშევრების გამოსაფენად ეფექტურ ადგილებს ირჩევს. მაგალითად, „ჩრდილოეთი ანგელოზი" გეიტსჰედში დგას და მსოფლიოში ერთ-ერთია იმ ქნადაკებებს შორის, რომლებსაც ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს.

ეს 46 მ სიმაღლის ქანდაკება ქალაქ ჩიხუახუას სამხრეთ შესასვლელთან დგას.



**LA PUERTA DE CHICHUAHUA.**
**სებასტიანი**
1992 წ.
„La Puerta de Chichuahua" „ჩიხუახუას კარიბჭეს" ნიშნავს. სებასტიანი თავისი ქანდაკებებისთვის ფოლადს, ალუმინსა და მუყაოს იყენებს, ქმნის გასაოცარ გეომეტრიულ ფიგურებს და საგნებსა და სივრცეს შორის ბალანსს ყოველთვის იცავს.



**უსათაურო.**
**დონალდ ჯადი**
დაახლ. 70-იანი წწ.
ჯადის აზრით, ხელოვნება არაფერს არ უნდა ასახავდეს. ის უბრალოდ განცალკევებულად უნდა არსებობდეს. ჯადის ბევრი ქანდაკება მარტივი, ერთგვარი კუბებისგან ან ყუთებისგან შედგება და უბრალოდ სივრცეშია განფენილი. ჯადის თანახმად, მისი ქანდაკებები სამრეწველო პროცესების შედეგად დამზადებული „საგნებია".



დონალდ ჯადის ქანდაკებები მინიმალისტური ხელოვნების ნიმუშია.





**ჰურმა** (ბრბო).
**მაგდალენა აბაკანოვიჩი**
1994-1995 წწ. პოლონელი აბაკანოვიჩი სხვადასხვაგვარი მასალისგან ადამიანის სხეულებს ან მის ნაწილებს ამზადებს. სხვადასხვა პერიოდში ის იყენებდა თოკებს, ლითონებსა და ტილოებს. ეს ქანდაკება 250 ბავშვისა და მოზრდილი ადამიანის უთავო ფიგურისგან შედგება და ადამიანის უსუსურობის სიმბოლოა.

**ღრუბლის კარიბჭე.**
**ენიშ კაპური**
1999-2005 წწ.
კაპური მარტივი, მომრგვალებული ფორმების ლითონის უზარმაზარი ქანდაკებებითაა ცნობილი. მისი ზოგი ქანდაკება კაშკაშა ფერისაა, სხვებს მოსარკული ზედაპირი აქვს და გარემოს ირეკლავს. სწორედ ასეთია ჩიკაგოში მდებარე ეს ქანდაკებაც. მნახველები შემოქმედების ნაწილები თავად ხდებიან, რადგან სარკეში საკუთარ გამოსახულებას ხედავენ.



„ღრუბლის კარიბჭე" 10 მ სიმაღლისაა. მისი 80 % ცას ირეკლავს.

## დემიენ ჰერსტი

*1965:* დაიბადა ინგლისში, ბრისტოლში.

*1986:* 21 წლისამ ლონდონის უნივერსიტეტში გოლდსმიტებთან დაიწყო სახვითი ხელოვნების შესწავლა.

*1988:* ლონდონის დოკების ტერიტორიაზე სტუდენტების გამოფენას გაუკეთა ორგანიზება.

*1991:* 26 წლისამ შექმნა ნამუშევარი „სიკვდილის ფიზიკური შეუძლებლობა ცოცხალი ადამიანის გონებაში". ესაა ფორმალინში მცურავი ზვიგენი, რამაც პოპულარობა მოუტანა. იმავე წელს ლონდონში პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო.

*1991-2003:* მილიონერ კოლექციონერ ჩარლზ სააჩის დაფინანსებით დაიწყო მუშაობა.

*1995:* 30 წლისამ ტერნერის ჯილდო მოიპოვა „განშორებული დედა-შვილისთვის" (1993 წ.).

*1998:* გამოაქვეყნა ავტობიოგრაფია.

*2007:* შექმნა „ღვთის მადლით".

*2008:* ჩაატარა საკუთარი ნამუშევრების ორდღიანი აუქციონი „მშვენიერება ჩემ თავში". მიღებულმა თანხამ 111 მილიონ ევროს გადააჭარბა.

### შთაგონების წყარო

ჰერსტის შთაგონების წყარო ირლანდიელი მხატვრის, ფრენსის ბეკონის კოშმარები გახდა. ბეკონის დამახინჯებულ ფიგურებს ხშირად აქვთ გროტესკული, გადღაბნილი ნაკვთები.



**ავტოპორტრეტი.** ფრენსის ბეკონი. 1969 წ.

ეს თავის ქალის თანამედროვე ხელოვნების ყველაზე ძვირი ექსპონატია. მისი ფასი 50 მილიონ ევროს აღწევს.

მსხლის ფორმის მოვარდისფრო ბრილიანტი 52,4 კარატს იწონის და 4 მილიონი ევრო ღირს.



ამ ქანდაკების შექმნას 14 მილიონი ევრო დასჭირდა, გასაყიდად 2007 წელს გამოვიდა და 50 მილიონ ევროდ შეფასდა. უცნობია, გაიყიდა თუ არა თავის ქალა. თუ ეს ასეა, მაშინ ის ცოცხალი ხელოვანის მიერ ყველაზე ძვირად გაყიდული ექსპონატი იქნება.

ჰირსტმა დაახლოებით 1720-1810 წლებში მცხოვრები 35 წლის ადამიანის თავის ქალა პლატინითა, ბრილიანტებით დაფარა.

**ღვთის მადლით.** 2007 წ. რეალური ადამიანის თავის ქალა. პლატინა, ბრილიანტები და ადამიანის კბილები



# დემიენ ჰერსტი

**„ღვთის მადლით, კიდევ რის გაკეთებას აპირებ?“**

*დემიენ ჰერსტის დედა*

*ჰერსტის თქმით, სწორედ დედის ნათქვამმა ამ ფრაზამ შთააგონა ცნობილი ნამუშევრის სახელწოდება.*



ჰერსტი მოქანდაკე, ინსტალაციების შემოქმედი, მხატვარი და პლაკატების შემქნელია. ის ერთდროულად პოპულარული და წინააღმდეგობრივი ადამიანია. მისი ნამუშევრები არნახულ ფასად იყიდება და ხელოვნების რაობის შესახებ დებატებს იწვევს. ნუთუ ეს ხელოვნებაა? თქვენი გადასაწყვეტია!



**სიკვდილის ფიზიკური შეუძლებლობა ცოცხალი ადამიანის გონებაში**
1991 წ. მინა. ფოლადი. სილიციუმი. ფორმალინის ხსნარი და ზვიგენი



## მოციმციმე თავის ქალები

ჰერსტმა განაცხადა, რომ „ღვთის მადლით“ ბრიტანეთის მუზეუმში გამოფენილი აცტეკების თავის ქალის ნახვის შემდეგ შეიქმნა. აცტეკების იმპერია XV-XVI საუკუნეებში ცენტრალურ მექსიკაში არსებობდა. აცტეკები ფირუზით დაფარული ხის ნილბებით ღმერთებს გამოსახავდნენ.

## აკვიატებული სიკვდილი

სიკვდილი ჰირსტის ნაწარმოებების ძირითადი თემაა. „ღვთის მადლით“ პლატინით დაფარული რეალური თავის ქალაა, რომელიც 8601 ბრილიანტითაა მორთული. ეს ნამუშევარი ე.წ. „გახსოვდეს სიკვდილის“ სერიის ნაწილია და სიცოცხლის ხანმოკლეობას გვახსენებს. ჰერსტი პირველ ნამუშევრებში ხშირად მკვდარ ცხოველებს (მათ შორის ზვიგენი, ცხვარი და ძროხა) იყენებდა და მათ ფორმალინით – მომწამვლელი, უფერო აირის შემცველი ხსნარით სავსე მინის ჭურჭლებში ინახავდა.



**გელზემიუმ**
პრიალა მეტალ

## კოპლები

ჰერსტმა სამგანზომილებიანი ნამუშე
გარდა უამრავი კოპლებიანი სურათი
შექმნა. სინამდვილეში კოპლებიან
ნამუშევრებზე ბევრი ადამიანი მუშაო
თუმცა, ნახატს შევხედავთ თუ არა, მ
ვხვდებით, რომ ავტორი დემიენ ჰერს

# მიიღე რეალური სიამოვნება!

წიგნში წარმოდგენილი მრავალი ნახატი და ქანდაკება ხელოვნების მუზეუმებსა და გალერეებშია დაცული. იქნებ მოახერხო და უშუალოდ მოინახულო ისინი? მერწმუნე, უდიდეს სიამოვნებას მიიღებ.

ამავე დროს, გირჩევ, არ გამოტოვო ადგილობრივ გალერეებში გამოფენილი ნამუშევრები ან სულაც ახლომდებარე პარკში მდგარი საინტერესო ქანდაკება. კარგი იქნება, თუ იმ სალონებსაც ესტუმრები, სადაც ხელოვნების ნიმუშები იყიდება.

არავინ იცის, კიდევ რომელი ხელოვანი გაითქვამს მომავალში სახელს – ეს შეიძლება იყოს გამოხატვის ახალი ფორმების მაძიებელი და ახალი მიმდინარეობების შემქმნელი ადამიანი. თუ ხელოვნება გიყვარს, ასეთი ადამიანი შენც შეიძლება აღმოჩნდე!

ცივი, ბნელი მატერია: ნაწილობრივი გამოსახულება.
კორნელია პარკერი.
1991 წ.



# ლექსიკონი



**აბსტრაქცია** – XX საუკუნის მხატვრობის სტილი. საგნების ცნობა თითქმის შეუძლებელია; ფიგურებითა და ფერებით მხატვარი საკუთარ ემოციებს გადმოსცემს.

**ავტომატიზმი** – კანონზომიერებას მოკლებული და უკონტროლო მოქმედებით სიურრეალისტური ნახატის შექმნა, ქვეცნობიერისკენ ლტოლვა

**ავანგარდი** – მხატვრობის ახლებური, ექსპერიმენტული მიმდინარეობა

**აკადემია** – 1. სკოლა, სადაც ხელოვნება ისწავლება; 2. მხატვრობის რაიმე სტილის ექსპერტ მხატვართა ჯგუფი

**აკვარელის საღებავი** – წყლისგან დამზადებული თითქმის გამჭვირვალე საღებავი

**აკრილის საღებავი** – XX საუკუნის 50-იან წლებში პლასტმასის საფუძველზე დამზადებული სწრაფად შრობადი საღებავი

**არქიტექტორი** – ადამიანი, ვინც შენობებს გეგმავს და ზუსტ ესკიზებს აკეთებს.

**ბაროკო** – XVII საუკუნის ევროპული მხატვრობისა და არქიტექტურის სტილი; ახასიათებს გრანდიოზულობა და დრამატულობა.

**ბიზანტიური ხელოვნება** – რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის ხელოვნება 330-დან 1453 წლამდე. ბიზანტიური ხელოვნება ძირითადად რელიგიურ თემებზე შექმნილი მოზაიკები და ხატებია.

**ბიომორფიზმი** – არაგეომეტრიული ფიგურებით ცოცხალი არსებების გამოსახვა

**ბრინჯაო** – სპილენძისა და კალის შენადნობი; გამოიყენება ქანდაკებისთვის. ბრინჯაოს მოყავისფრო სპილენძსაც უწოდებენ.

**გამოფენა** – ხელოვნების ნიმუშის ან ნიმუშების საჯარო ჩვენება

**გოთიკა** – არქიტექტურის, ხატვისა და ქანდაკების დასავლეთევროპული სტილი XII-XV საუკუნეებში

**გრავირება** – რაიმე საგანზე, როგორც წესი, ლითონის ან ხის ფირფიტის საშუალებით ნახატის შექმნის მეთოდი.

**გრავიურა** – ლითონის ან ხის ფირფიტის საშუალებით შექმნილი ნახატი

**გრავიურის გაკეთება ლითონზე** – ლითონის ფირფიტაზე ნახატს კაწრავენ. შემდეგ ფირფიტას მელნით ფარავენ, რომ ჩაღრმავებული ადგილები ამოავსონ; ზემოდან ნოტიო ქაღალდს აფარებენ და წნეხში ატარებენ, რათა ქაღალდმა მელანი შეიწოვოს.

**გრავიურის გაკეთება ხეზე** – ხის დაფაზე გამოსახულებას კაწრავენ, ამოწეული ზედაპირს მელნით ფარავენ, დაფას ქაღალდზე დებენ და ანაბეჭდის მისაღებად წნეხში ატარებენ.

**გუაში** – აკვარელის მუქი, გაუმჭვირვალი საღებავი

**დადაიზმი** – XX საუკუნის პირველი ნახევრის მიმდინარეობა, რომელიც მხატვრობის ტრადიციულ მიმდინარეობებს დაუპირისპირდა და საგნების უჩვეულოდ, ხშირად შოკის მომგვრელად გადმოცემა დაიწყო.

**დასავლური ხელოვნება** – ევროპული და მსგავსი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნების, მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკის ხალხების ხელოვნება

**ექსპრესიონიზმი** – XIX საუკუნის მიწურულის მხატვრობის სტილი, რომელიც გაზვიადებული ფერებისა და ფორმების საშუალებით მხატვრის შინაგანი ემოციების გადმოცემას გულისხმობს.

**ვანიტასი** – ხშირად სიკვდილის სიმბოლოებით დატვირთული, XVII საუკუნის ჰოლანდიაში პოპულარული ნატურმორტი

**ვიდეო-არტი** – ვიზუალური მხატვრობის სტილი, რომელიც მოძრავ გამოსახულებებს იყენებს. კინოსა და ტელევიზიისგან განსხვავებით, ყოველთვის გართობის მიზნით როდი იქმნება.

**ვინიეტი** – ძველ ეგვიპტეში „მიცვლაებულთა წიგნის“ ილუსტრაცია

**ზეთის საღებავი** – ზეთისა და პიგმენტების შერევით დამზადებული ნელა შრობადი საღებავი

**იეროგლიფები** – სიმბოლოებისა ნახატებისგან შედგენილი ძველეგვიპტური დამწერლობა

**ილუსტრირებული ხელნაწერი** – ფერადი ნახატებით და ზოგჯერ ოქროთი ან ვერცხლით მორთული წიგნი ან ქაღალდი

**იმპასტო** – საღებავის სქლად დადების ხელოვნება

**იმპრესიონიზმი** – ტერმინი 1874 წელს დამკვიდრდა, თავად მიმდინარეობა კი XIX საუკუნის 60-იანი წლების საფრანგეთში ჩამოყალიბდა. იმპრესიონისტები ხშირად ხატავენ ბუნებრივ პირობებში, რადგან განათებასა და ფერების ეფექტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მათი ნახატები ხშირად სპონტანური და ესკიზური იყო.

**ინსტალაცია** – საინტერესო მასალების განლაგება და რაიმე სივრცის შევსება

**კალიგრაფია** – ფუნჯით ან კალმით ასოების დეკორაციულად ან ორნამენტულად გამოსახვა

**კედლის მხატვრობა** – კედელზე შესრულებული დიდი ზომის ნახატი

**კლასიკური ხელოვნება** – ძველი ბერძნებისა და რომაელების ხელოვნება. კლასიკური ხელოვნების ნიმუშები ძალიან რეალისტური და დეტალურია.

**კოლაჟი** – ბრტყელ ზედაპირზე მიწებებული სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ნახატი ან მორთულობა

**კომპოზიცია** – ნახატზე სხვადასხვა ელემენტის განლაგება, რაც სასიამოვნო სანახავია ან რაიმე სხვა ეფექტს იძლევა.

**კონსტრუქტივიზმი** – რევოლუციის შემდგომ რუსეთში ჩამოყალიბებული თანამედროვე, აბსტრაქტული მხატვრობის სტილი, რომელიც ძირითადად ახალ, ინდუსტრიულ საზოგადოებას ასახავდა.



**კონცეპტუალური ხელოვნება** – სტილი, რომელშიც იდეა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეგნული შეხედულება.

**კუბიზმი** – XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული მხატვრობის სტილი. კუბისტურ ნახატებზე საგნების ფრაგმენტები სხვადასხვა კუთხიდანაა გამოსახული. კუბიზმის ფუძემდებლები არიან პაბლო პიკასო და ჟორჟ ბრაკი.

**„ლურჯი მხედარი“** – ვასილი კანდინსკისა და ფრანც მარკის მიერ 1911 წელს გერმანიაში დაფუძნებული ექსპრესიონისტი მხატვრების ჯგუფი

**ლენდ-არტი** – ხელოვნების სტილი, რომლის მიმდევრები ბუნებრივ მასალებს იყენებენ და ნამუშევრებს ბუნებრივ პირობებში ქმნიან.

**მანიერიზმი** – მხატვრობის სტილი 1520-1600 წლებში

**მოზაიკა** – ფერადი მინის, ქვის, კერამიკის ან სხვა მყარი ნივთიერების პატარა ნაწილებისგან გამოსახულებების შექმნის ხელოვნება

**მოქმედების მხატვრობა**– აბსტრაქტული მხატვრობის სტილი, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ხატვის პროცესს ენიჭება.

**ნაივური მხატვრობა** – ფორმალური განათლების არმქონე მხატვრების შემოქმედება

**ნატურმორტი** – ხილის, ავეჯის, ყვავილებისა და სხვა მსგავსი საგნების ხატვა

**ნეოიმპრესიონიზმი** – XIX საუკუნის 80-იანი წლების მხატვრობის სტილი, რომლის მიმდევრები ნახატებს პატარა წერტილებისგან ქმნიდნენ. ამ მიმდინარეობას პუანტილიზმსაც უწოდებენ.

**არტ-ნუვო** – XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბებული სტილი. ხშირად გამოიყენება ყვავილები და სტილისტური დეკორაციები.

**პასტელი** – დაფხვნილი პიგმენტისა და შემკვრელი ნივთიერების, მაგალითად კაუჩუკის შერევით დამზადებული ფერადი ჯოხი

